

„რუსული" ამერიკის ყველაზე ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის დაკავება

A4



მედია - როგორც ბრძოლის იარაღი თუ...?

A5



რეცენზიის სანაცვლოდ...

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 27 მარტი, 2006 წელი. №65 (1217)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "უკრაინელი მშვიდობისდამცველების გაგზავნა სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში არ ღირს"

ინტერვიუ უკრაინისა და რუსეთის ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის დამფუძნებელთან სტანისლავ ბელკოვსკისთან.

A2

## ამბები

### კოფი ანანი მიხეილ სააკაშვილსა და სერგეი ბაგაფშს შეხვედრისკენ მოუწოდებს

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს მოუწოდა, საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატი ექვსი თვით, 30 სექტემბრამდე გააგრძელოს.

A2

## სპორტი

### ელენემ მსოფლიო ათეულს ჩაუსრიალა

ტურინის ოლიმპიური თამაშებიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ ფიგურული სრიალის დიდოსტატებსა თუ ახალბედებს კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატზე სრიალი მოუწიათ. თუ აქამდე სპორტის ქართველი გულშემატკივრისთვის ფიგურულ სრიალს უფრო თავშესაქცევი დატვირთვა ჰქონდა, ელენე გედევანიშვილის გამოჩენის შემდეგ, მან წმინდა სპორტული დატვირთვაც შეიძინა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 27/03 | 28/03 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 14 |
| ყვარელი | 9 | 17 |
| სოხუმი | 10 | 17 |
| დმანისი | 6 | 7 |
| გორი | 10 | 12 |
| ონი | 3 | 8 |
| ზუგდიდი | 10 | 20 |
| ახმეტა | 15 | 13 |
| გაგრა | 12 | 16 |
| სამტრედია | 10 | 19 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.2061 |
| ბირთანეთა სტერლ. | 3.1859 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# უკრაინის საპარლამენტო არჩევნები შედგა

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისთვის", კიევიდან

*როგორც ერთი წლის წინ, უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იაროსლავ დავიდოვიჩი ორი კვირის განმავლობაში ყველაზე პოპულარული ადამიანი იქნება უკრაინაში. ეს ის დროა, რომელიც საჭიროა მთელი უკრაინის მასშტაბით საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგების დასადგენად. თუმცა, მთავარი შედეგები 26 მარტის 16 საათისათვის იყო ცნობილი.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*გუშინ ჩვენი დროით 23 საათისთვის, "უკრაინის ნაციონალური ეგზითპოლის" მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის ბლოკმა "უკრაინის რეგიონებმა" მოიპოვა. მან ხმების 33 პროცენტი მიიღო. იულია ტიმოშენკოს ბლოკმა - 22 პროცენტი, ხოლო პრეზიდენტ იუშჩენკოს ბლოკმა - 15 პროცენტი.*

# მალხაზ სონღულაშვილი: თვით ქართული ენაც თავისუფლების სიმბოლოა

ნოდარ ლადარია

*ქართველი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია ჩვენი სამი თანამოქალაქის, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსის, მალხაზ სონღულაშვილის, მართლმადიდებელი დეკანოზის, ვასილ კობახიძისა და რელიგიურ საკითხთა შემსწავლელი ცენტრის დირექტორის, ვლადიმერ გოგიაშვილის ბელარუსში დაპატიმრებისა და იქიდან დეპორტაციის ამბავი. თუმცა ეს ისტორია, საბედნიეროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა, მას მაინც ბევრი დეტალი აქვს და მის გარშემო დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი მაინც განსაკუთრებული თანამოსაუბრეა და ამიტომაც გადავწყვიტე, ინტერვიუსათვის უფრო განმაზოგადებელი და შემაჯამებელი მიმართულება მიმეცა, სადაც კონკრეტული დეტალები მხოლოდ დამხმარე როლს შეასრულებენ...*

გაგრძელება A3 გვერდზე



*მალხაზ სონღულაშვილი და ვასილ კობახიძე მინსკიდან დეპორტაციის შემდეგ მატარებელში*

# რუსეთი ალკოჰოლზე აქციზურ მარკებს ცვლის

### ქართული კომპანიები ფინანსური ზარალის მოლოდინში

B

ნინო ნატროშვილი

*2006 წლის პირველი აპრილიდან, ახალი კანონის თანახმად (რომელიც ალკოჰოლური და სპირტის შემცველი სასმელების ბაზარს არეგულირებს), რუსეთის აქციზური მარკების სამსახური ქვეყანაში ალკოჰოლური პროდუქციის იმპორტზე ახალი მარკების შემოღებას იწყებს.*



# უკრაინა და საქართველო

### ერთად შეეცდებიან, დაიკავონ ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში

კობა ლიკლიკაძე
რადიო „თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისთვის" კიევიდან

***ანატოლი კინახი, უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი, მმართველი ბლოკის "ჩვენი უკრაინის" საარჩევნო სიის ლიდერი:***

- 2004 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით, ეს არჩევნები თანაბარი კონკურენციის პირობებში ტარდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს ნების თავისუფლად გამოხატვა, ყოველგვარი ძალისმიერი თუ ადმინისტრაციული ზეწოლის გარეშე. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი მიღწევაა, რომ ადამიანები არჩევნებზე გულღიად მოვიდნენ. ვფიქრობ, რომ უკრაინელი ხალხის სიბრძნე და პასუხისმგებლობა შესაძლებლობას მოგვცემს, გავაძლიეროთ შანსი, ვიცხოვროთ დემოკრატიულ და თავისუფალ უკრაინაში.

**- მიმდინარეობს თუ არა კონსულტაციები მომავალი კოალიციური მთავრობის შემადგენლობის შესახებ?**

- კონსულტაციები გამუდმებით მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით კონსულტაციებს პრიმიტიულ პრინციპზე, რაც მხოლოდ პორტფელების გაყოფაში მდგომარეობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავაერთიანოთ პროგრამები, იდეოლოგია, მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, გავაძლიეროთ და განუხრელად ვაქციოთ უკრაინის სამართლებრივ და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბების პროცესი. და თუ ამ მთავარში კონსენსუსს მივაღწევთ, დანარჩენ საკითხებს იოლად მოვაგვარებთ.

**- შესაძლებელია თუ არა "ნარინჯისფერი" პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება მომავლის კოალიციურ მთავრობაში?**

- შესაძლებელია. ჩვენ ამ საკითხს არ ვხსნით დღის წესრიგიდან. ამ საბედისწერო მომენტში პრაგმატულმა, დემოკრატიულმა ძალებმა უკრაინაში უნდა გაიცნობიერონ, რომ არსებობს ეროვნული ფასეულობები, რომელთა მიმართებაში მიმდინარე კონიუნქტურა მეორეხარისხოვანი უნდა იყოს. და საჭიროა, ამ ეროვნული და დემოკრატიული ფასეულობების გარშემო გაერთიანება.

**- მაგრამ ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკური ლიდერი უკრაინაში მოითხოვს, ხელისუფლებამ გადახედოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებს. ბლოკი "ნე ტაკ"(ანტიპოდი ვიქტორ იუშჩენკოს ცნობილი დევიზისა "ტაკ") საკონსტიტუციო სასამართლოთი ითხოვს, ჩატარდეს რეფერენდუმი ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე, რაც, მათი აზრით, ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბელარუსში რეპრესიები გრძელდება

"ევროპის უკანასკნელი დიქტატორის", ბალარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ოპონენტთა უმრავლესობა მინსკის ცენტრიდან პირდაპირ საგამოძიებო იზოლატორში მოხვდა. შაბათს ბელარუსის მილიციამ ოქტომბრის მოედანზე ოპოზიციის მიერ გამართული არასანქცირებული მიტინგი ხელკეტების დახმარებით დაშალა. სხვადასხვა ინფორმაციით, დაკავებულია 178-დან 200-მდე ადამიანი. ამათგან უმრავლესობას უკვე შეეფარდა 10-დან 15-დღემდე თავისუფლების აღკვეთა. დაკავებულები არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობის, ხულიგნობისა და უცენზურო სიტყვებით ლანძღვისთვის არიან გასამართლებული.

ბელარუსის ჟურნალისტთა ასოციაციის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის 35-ზე მეტი ჟურნალისტია. მათ შორისაა საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტი ნინო გიორგობიანი და ოპერატორი გიორგი ლალიძე.

ქართველ ჟურნალისტებს ოპოზიციის ინიციატივით პროვოცირებულ მასობრივ არეულობებში მონაწილეობა ედებათ ბრალად და ისინი შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ადვოკატი გამომძიებლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

*შარშან სექტემბერში კახეთის სამხარეო პოლიციამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, ნარკოტიკების შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით, ამავე რაიონის სოფელ ახალსოფლის მკვიდრი გიორგი გულოშვილი დააკავა. როგორც ბრალდებულის ადვოკატი ამტკიცებს, გულოშვილი უკანონოდ არის დაკავებული და ნარკოტიკები მას თავად სამხარეო პოლიციის თანამშრომელმა, ფრიდონ ციგროშვილმა ჩაუდო. სამართალდამცველები ამ ბრალდების ირგვლივ კომენტარს არ აკეთებენ.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკების ჩადების შესახებ განცხადებები, როგორც წესი, ყველა ნარკოსაქმეს ახლავს ხოლმე. ცხადია, ამის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ, როგორც ადვოკატთა უმრავლესობა აცხადებს, ამის პრეცედენტი უამრავია.

შარშან კახეთის სამხარეო პოლიციმ და შსს ყვარლის რაიონის სამმართველომ ერთობლივი სპეცოპერაცია ჩაატარეს. სამართალდამცველთა განცხადებით, მათ ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გიორგი გულოშვილი შემჩნეული იყო ნარკოტიკების შენახვა-გადაზიდვაში. მისი დაკავება კი იმ დროს მოხდა, როცა იგი ახალსოფლიდან კაბალისკენ მიდიოდა. ამ ყველაფრის თვითმხილველი მისი შვილი - 14 წლის არსენ გულოშვილი გახლდათ.

**"კაბალში "სალიარკის" საყიდლად მივდიოდით, როცა წითელმა "ოპელმა" გზა გადაგვიკეტა. ჯერ მამაჩემი გადმოათრიეს მანქანიდან და ხელები გადაუტრიალეს, შემდეგ კი მეც გადმომიყვანეს. მას თავზე პოლიციელი ფრიდონ ციგროშვილი დატრიალებდა და ისიც დავინახე, ჩუმად შარვლის მარჯვენა ჯიბეში რაღაც რომ ჩაუდო. მე დავიყვირე, მამა, რაღაც ჩაგიდეს-მეთქი, ამის შემდეგ მე მომვარდა პოლიციელი, ხელები გადმომიტრიალა და მომაბრუნა, რომ მამაჩემი აღარ დამენახა. შემდეგ გაჩხრიკეს მამაჩემი, ის რაღაც, ჯიბეში რომ ჩაუდეს, ნარკოტიკი აღმოჩნდა, ამოუღეს და ნივთმტკიცებადაც გამოიყენეს",** - იხსენებს არსენ გულოშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ღია წერილი ბატონ მიხეილ სააკაშვილს

გთხოვთ გულისხმიერად წაიკითხოთ ეს წერილი ყველა იმ პირმა, ვისაც ეხება დაპატიმრებული ახალგაზრდა ჟურნალისტის ნინო გიორგობიანის და ოპერატორ გიორგი ლალიძის გათავისუფლება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოჯახის წევრები - ელენე, ნინო, პირადად მეც ტელევიზიის სფეროს ძალიან კარგად ვიცნობთ, რადგან პირველ არხზე 40 წელი ვმუშაობდი "მოამბის" რედაქციაში.

წარმოიდგინეთ, როგორ ვნერვიულობთ ოჯახის ყველა წევრი, როცა ჩემი უმცროსი შვილი ბელარუსშია დაპატიმრებული. დიდი იმედი მაქვს, რომ მალე გაათავისუფლებენ. მართალია, ამ საკითხის ყურადღებით ეკიდებიან ყველა სტრუქტურაში, მაგრამ როგორც დედას, მსურს კიდევ ერთხელ მივმართო საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და საერთაშორისო საზოგადოებას. **გვჭირდება მხარდაჭერა**.

ჩვენ დიდი სიმპათიით შევხვდით საქართველოში მომხდარ ცვლილებებს და ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტი თავისი პროფესიონალური მოვალეობის შესრულების გამო არ უნდა დაისაჯოს.

ბატონო პრეზიდენტო, დავუბრუნოთ საქართველოს საუკეთესო კადრი ნინო გიორგობიანი. დარწმუნებული ვარ, თქვენ დამეხმარებით.

*გწერთ დედა*
*გულიკო ბოლქვაძე*

## უკრაინის საპარლამენტო არჩევნები შედგა

პირველი გვერდიდან

ამ დროისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 40 პროცენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები უკრაინაში შედგა!

26 მარტს ერთი მეორის მიყოლებით, ოღონდ უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში ჩაყარეს ბიულეტენები მოქმედმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ და ორი უმსხვილესი ოპოზიციური ბლოკის - "უკრაინის რეგიონების" და "ბიუტის" ლიდერებმა ვიქტორ იანუკოვიჩმა და იულია ტიმოშენკომ. სამივე მათგანი დარწმუნებულია გამარჯვებაში, თუმცა ფაქტია, რომ უკრაინა ვერ ასცდება კოლიციურ მთავრობას.

ხმის მიცემის პროცესი უკრაინაში ნორმალურად არსებითი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა. თუმცა, იყო ცალკეული ექსცესები, განსაკუთრებით დისკომფორტს ქმნიდა დიდი რიგები ურნებთან, სადამკვირვებლო ორგანიზაცია "სრულიად უკრაინული ალიანსი" იტყობინება, რომ საარჩევნო კომისიის წევრები უარს ამბობენ, შეიტანონ შესწორება სიაში, თუკი მოქალაქის გვარი არასწორად არის მითითებული. ქალაქ ჩირნიგოვში ადგილი ჰქონდა გარკვეულ საფასურად ამომრჩევლის მოსყიდვას. ეუთო-ს და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა მისია საკუთარ შეფასებებს 27 მარტს საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაქვეყნებს. მაგრამ ცხადია, რომ განმეორებითი ტური საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში არ ჩატარდება. ასეთი ალბათობა მაღალია კიევის მერის არჩევნების შემთხვევაში, სადაც ხმები შეიძლება გაიყონ მოქმედმა მერმა ალექსანდრ ომელჩენკომ და ცნობილმა პროფესიონალმა მძიმეწონოსანმა მოკრივე ვიტალი კლიჩკომ, რომელსაც მხარს ცნობილი "პორა" უჭერს. წინასწარი სოციოლოგიური გამოკვლევით, სამპროცენტიან საარჩევნო ბარიერს ექვსი საარჩევნო სუბიექტი გადალახავს. მათგან ყველაზე მეტის, დაახლოებით ხმათა 30 პროცენტის მოპოვების შანსი აქვს ბლოკს "უკრაინის რეგიონები", რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი ხელმძღვანელობს.

## ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი ავსტრიაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ავსტრიაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მისი შეხვედრა ავსტრიის პრეზიდენტ ჰაინს ფიშერთან, ავსტრიის კანცლერ ვოლფგანგ შიუსელთან, ეუთო-ს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოსთან და ავსტრიის ფედერალური ეკონომიკის პალატის პრეზიდენტ ქრისტოფ ლაიტლისთან. ამასთან, ზურაბ ნოღაიდელი სიტყვით გამოვა ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე.

28 მარტს ვენაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ავსტრიის ფედერალური ეკონომიკის პალატის ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ შენზი ავსტრია-საქართველოს ბიზნეს საბჭოს სესიას გახსნიან. სესიაზე ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ასევე საბანკო სექტორების შესახებ მოხსენებით წარდგებიან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე არჩილ მამათელაშვილი, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უაითი, "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი, Silk Road Group-ის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ბორგერი, ასევე TBC ბანკისა და ბანკ "რესპუბლიკის" წარმომადგენლები.

ვიზიტისას საქართველოს დელეგაცია შეხვედრებს ავსტრიის ბიზნესწრეებთან გამართავს. დელეგაცია საქართველოში 30 მარტს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*

## ოსური მხარე რესტიტუციის კანონს არ განიხილავს

ოსური მხარე ვლადიკავკასში საქართველოს ინიციატივის განხილვაში მონაწილეობას არ აპირებს. საკითხი, რომელიც დევნილთა ქონების რესტიტუციას ეხება, შესაძლებელია, არაღიარებული სამხრეთ ოსეთის პოზიციის გამო შსკ-ის სხდომაზე განხილვის გარეშე დარჩეს. "ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ მოცემულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას, რადგან დარწმუნებუნი ვართ, რომ ქართული მხარე ყველაფერს პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენებს და არაფერი შეიცვლება არც კანონში და არც დევნილების ცხოვრებაში," - ნათქვამია ოსური მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ოსური მხარის აზრით, ვლდიკავკაზში დაგეგმილი კონფერენცია იაფფასიანი პიარკამპანიაა, რომელიც მიმართულია ოსი ეროვნების დევნილების პირობების გაუარესებისკენ. "ქართული მხარის მიერ განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტი რესტიტუციის შესახებ ბოლო შვილი წლის მანძილზე მესამე თუ მეოთხეა. როგორც ცხოვრებამ აჩვენა, ეს კანონი არაფერია, თუ არა ადამიანის უფლებების ნაციონალური ნიშნით დარღვევის დაკანონების მცდელობა," - აღნიშნულია ოსური მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# უკრაინა და საქართველო

პირველი გვერდიდან



- აი სწორედ ეს არის უბადრუკი, მიმდინარე კონიუნქტურა. ვინაიდან არსებობს ფასეულობები, რომელიც არ შეიძლება იქცეს ვაჭრობის საგნად პოლიტიკური კონკურენციის პირობებში. ეს ფასეულობებია - ენა, რელიგია, ტერიტორიული მთლიანობა და ინტეგრაცია. ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უკრაინელმა ხალხმა სიმართლე იცოდეს და არ დაუშვას ნეგატიური სტეტრეოტიპების გავრცელება. ნატო, თანამედროვე პიროებში, ეს არის უსაფრთხოების სიტემა. სისტემა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, განვავითროთ დემოკრატიული პროცესები, ვებრძოლოთ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, ტექნოგენური გამოწვევები, ნარკობიზნესი და უკანონო მიგრაცია. უკრაინამ აირჩია სტრატეგია ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ამ კურსის შეცვლას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ.

**- შესაძლოა თუ არა ამ არჩევნების შემდეგ უკრაინამ შეცვალოს დამოუკიდებულება პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობის და, საერთო ჯამში, საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართ?**

- არა, თავად გახლდით ცოტა ხნის წინ თბილისში, სადაც გავმართე მოლაპარაკებები პრეზიდენტ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ უკრაინელ და ქართველ ხალხს შორის მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ასწლეულების წინ, ეს ძლიერი ფუნდამენტია ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის. ეს ნდობა არ შეიძლება იქცეს კონიუნქტურის საგნად. აბოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა და საქართველო ურთიერთობას აღმავალი ხაზით განავითარებენ და ერთად შეეცდებიან, დაიკავონ ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში.

## "უკრაინელი მშვიდობისდამცველების გაგზავნა სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში არ ღირს"

ინტერვიუ უკრაინისა და რუსეთის ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის დამფუძნებელთან სტანისლავ ბელკოვსკისთან



**- როგორ შეფასებთ საპარლამენტო არჩევნებს უკრაინაში?**

- ეს არის პირველი ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევნები პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ამ თვალსაზრისით მე დიდი ენთუზიაზმი მაქვს. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში, შედეგი იქნება ლეგიტიმური. ეს კი უკრაინის პოლიტიკურის სიტემის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

**- ცოტა არაკორექტული განცხადება ხომ არ არის? საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ დემოკრატიულ და სამართლიან არჩევნებს პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში სწორედ საქართველოში ჰქონდა ადგილი 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ?**

- არა, მე ასევე ვთვლი, რომ საქართველოში ჩატარდა დემოკრატიულ არჩევნები, მაგრამ უკანასკნელი არჩევნების დროს რეალური პოლიკური ბრძოლა არ ყოფილა და სააკაშვილმა გაიმარჯვა უდიდესი უპირატესობით. უკრაინაიში კი, მე დავაზუსტებ, დემოკრატიული არჩევნები უსასტიკესი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ჩვენ ვხედავთ, რომ ოპოზიცია არაფრით ჩამოუვარდება ხელისუფლებას. საინფორმაციო საშუალებებით საგებლობის უფლებაც თანაბარია და უმნიშვნელო დარღვევებს, რომესლაც ადგილი ექნება, არ ექნება სისტემური ხასიათი.

**- როგორ წარმოგიდგენიათ უკრაინის პოლიტიკური მმართველობა არჩევნების შემდეგ, თუკი ისე განაწილდა ამომრჩეველთა ხმები, როგორც წინასწარმეტყველებენ – იანუკოვიჩი, იუშჩენკო და ტიმოშენკო?**

- უკრაინის გძელვადიანი ინტერესების და სტაბილურობის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესი იქნება, თუკი ჩამოყალიბდება დიდი კოალიცია, რომელშიც გაერთიანდებიან ხელისუფლება და ოპოზიცია, და ნაპოვნი იქნება კომპრომისი. ასეთ კოალიციად მესახება - "ჩვენი უკრაინა", "რეგიონების პარტია" და "სოციალისტური პარტია". უკრაინის ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტმა, რომლის დამფუძნებელიც მე ვარ, მოამზადა ასეთი კომპრომისის პროგრამა. მე ვთვლი, რომ არის პოზიციათა წყება, რომლის ირგვლივაც შეიძლება შეთანხმდეს ეს სამი პოლიტიკური ძალა. თუ ეს მოხდება, ეს იქნება ახალი პოლიტიკური ერის დასაწყისი უკრაინაში. უკრაინა თავს დააღწევს გუშინდელი დღის კონფლიქტებს და ძირითადი პოლიტიკური ძალები საერთო მიზნის მისაღწევად დაიძვრებიან.

**- სიტყვამ მოიტანა, და თქვენმა ინსტიტუტმა ცოტა ხნის წინ უკრაინის პრეზიდენტს რეკომენდაციები მოუმზადა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკრაინელი მშვიდობისმყოფელების შესაძლო გაგზავნის გამოც და როგორც ამბობენ, თქვენ ურჩიეთ, თავი შეიკავოს ამ ნაბიჯისაგან.**

- დიახ, ცოტა ხნის წინ იყო ასეთი დისკუსია უკრაინაში - ღირს თუ არა უკრაინელი მშვიდობისმყოფელების გაგზავნა სამხრეთ ოსეთში და მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არ ღირს. უკრაინელი სამშვიდობოები აფხაზების და სამხრეთელი ოსების თვალში ვერ ისარგებელებენ ისეთი ავტორიტეტით, როგორითაც რუსები სარგებლობენ. ეს კი ნიშნავს, რომ უკრაინელ მშვიდობის დამცველებს შორის იქნება დიდი რაოდენობით მსხვერპლი. და ამით თავი აეხდება "პანდორას ყუთს", რომელმაც შესაძლოა კავკასიური ომის ცეცხლი უკრაინის ტერიტორიაზეც გადმოიტანოს, რაც ახლა არ არსებობს.

**- დაეთანხმა თქვენს ასეთ რეკომენდაციას პრეზდენტი იუშჩენკო?**

- არა, რა თქმა უნდა, საკითხი უკრაინელი მშვიდობის დამცველების გაგზავნის თაობაზე ისევ ძალაშია. მე მხოლოდ ჩემი პოზიცია დავაფიქსირე, რასაც სხვა პოლიტიკური ძალებიც იზიარებენ.

**-ალბათ, ეს ის პოლიტიკური ძალები არიან, ვინც უკრაინის ნატოშ-ი გაწევრიანების წინააღმდეგნი არიან და რეფერენდუმის ჩატარებასაც მოითხოვენ. საერთოდ. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თუ არა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, თუკი უკრაინაში იანუკოვიჩის მომხრეები გამარჯვებას მიაღწევენ?**

- მე ვფიქრობ, რომ უკრაინის საგარეო პოლიტიკა, როგორც ასეთი, ობიექტურად არსებული რეალობაა. და იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება მომავალი მთავრობის შემადგენლობა, ამ მიმართულებით აქტიური სვლა გაგრძელდება მომავალშიც. უკრაინა არ იქნება ერთიანი ეკონომიკური სივრცის წევრი - რუსეთთან, ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად, რადგან ასეთი სივრცე ბუნებაში არ არსებობს. უკრაინა არ იქნება ნატო-ს წევრი, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა გაერთიანების წინააღმდეგია. მაგრამ უკრაინა გააგრძლებს სვლას ერთიანი ევროპისაკენ, თუმცა ეს იქნება ხანგრძლივი და რთული პროცესი და ცხადია, რომ 20 წელზე უფრო ადრე ევროკავშირის ფორმალურ წევრობაზე ნაადრევი იქნება საუბარი. კიდევ საკითხავია, თუ ამ ოცი წლის განმავლობაში თავად ევროკავშირს რა დაემართება.

**- ხომ არ გგონიათ, რომ უკრაინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაუახლოვდება რუსეთის ორბიტას და ნელ-ნელა მოხდება დისტანცირება სუამის სივრცისაგან, რომლის ხერხემალსაც საქართველო-უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობა წარმოადგენს?**

- სრულიადაც არა. საქმე ისაა, რომ ობიექტურად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეზე. უფრო სწორად, აღარ არსებობს ერთიანი მოსკოვცენტრისტული პოსტსაბჭოთა სივრცე. არსებობს ევრაზიული სივრცე სიმძიმის სამი ცენტრით - რუსეთი, შემდეგ უკრაინა, როგორც დასავლეთის ფლანგის მაკოორდინებელი და ყაზახეთი, რომელიც ცენტრალური აზიის ქვეყნების კონსოლიდაციის ცენტრს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა საქართველოსა და უკრაინას შორის ნაკარნახევი იქნება სწორედ ამ ლოგიკით. ეს ობიექტური, ისტორიული გეოპოლიტიკური პროცესია.

### მოკლედ

## კოფი ანანი მიხეილ სააკაშვილსა და სერგეი ბაგაფშს შეხვედრისკენ მოუწოდებს

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს მოუწოდა, საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატი ექვსი თვით, 30 სექტემბრამდე გააგრძელოს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოსადმი თავის მოხსენებაში კოფი ანანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ჟენევაში გაერო-ს ეგიდით თებერვალში გამართული შეხვედრის შედეგების შესაბამისად უნდა იმოქმედონ, რაც სხვა ღონისძიებებთან ერთად, ნდობის აღდგენის საკითხსაც ითვალისწინებს.

"მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა შეასრულონ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჟენევის შეხვედრაზე იქნა მიღწეული, კერძოდ, ცეცხლის განუახლებლობისა და დევნილთა დაბრუნების შესახებ დოკუმენტების შემუშავების დასრულება. გარდა ამისა, მხარეთა უმაღლეს ლიდერებს შორის შეხვედრა ნდობის აღდგენისკენ მიმართული მთავარი და მისასალმებელი ნაბიჯი იქნება," - აცხადებს კოფი ანანი.

*მედიანიუსი*

## სააკაშვილი ევროპის ორ ქვეყანას ესტუმრება

მომავალ კვირას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპის ორ ქვეყანას ესტუმრება. 28 მარტს სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით ხორვატიის რესპუბლიკაში ჩავა, სადაც ორ დღეს დარჩება, 30-31 მარტს კი პრეზიდენტი ვიზიტით იტალიას ეწვევა. ვიზიტების მიზანი ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცებაა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კიდევ ერთი ვიზიტი უკრაინაში საქართველოს დღეების დახურვის აღსანიშნავად

4-5 აპრილს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინას ესტუმრება, - ამის შესახებ განცხადება უკრაინის პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელმა ოლეგ რიბაჩუკმა გააკეთა. მისი თქმით, პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის ძირითადი მიზანია იმ ღონისძიებებში მონაწილეობა, რომელიც უკრაინაში საქართველოს დღეების დახურვის აღსანიშნავად იმართება. ორი სახელმწიფოს ლიდერებმა უკრაინაში საქართველოს წელი შარშან, 25 მარტს გახსნეს.

*მედიანიუსი*

## გერმანიის მარშალის ფონდის ეგიდით

საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ნატოს შტაბ-ბინაში ნიდერლანდებისა და დანიის მუდმივ წარმომადგენლებს, ევროკავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. აღნიშნული ვიზიტი გერმანიის მარშალის ფონდის (German Marshall Fund) ეგიდით მიმდინარეობდა. შეხვედრაზე მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებსა და საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს ეკონომიკის, სასამართლო და განათლების სისტემებში მიმდინარე რეფორმები.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ბელარუსში რეპრესიები გრძელდება

პირველი გვერდიდან



როგორც "24 საათს" მინსკში დაკავებული ჟურნალისტის, ნინო გიორგობიანის დამ ელენე ფარადაშვილმა განუცხადა, ამ ეტაპზე დაკავებულებთან დაკავშირებით, არანაირი სიახლე არ არის. უკრაინის კონსულს ზურაბ კვაჟაძეს კვლავ არ უშვებენ ქართველ ჟურნალისტებთან. როგორც ელენე ფარადაშვილი აცხადებს, მათ ოჯახს დაუკავშირდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე და ოჯახის წევრებთან საუბრისას იმედი გამოთქვა, რომ ორშაბათიდან სიტუაცია შედარებით დარეგულირდება და მათთან კონსულს შეუშვებენ. ქართველი ჟურნალისტები მინსკში პატიმრობაში უკვე მესამე დღეა, იმყოფებიან. ბელარუსის დედაქალაქში გუშინ დილით საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს. ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში საქართველოს საკონსულოს მრჩევლის ვლადიმერ სადოვსკის დაკავების მიზეზები უცნობი იყო, თუმცა მისი გათავისუფლება მალევე მოხერხდა. დაკავებული და სასტიკად ნაცემია ასევე რუსეთის ტელეკომპანია ორტ-ს ჟურნალისტი პაველ შერემეტი. დაკავებულთა შორისაა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ალექსანდრ კოზულინი, რომლის ადგილსამყოფელსაც სამართალდამცავები არ ახმაურებენ. უცნობია ასევე პრეზიდენტობის კანდიდატის ალექსანდრ მილინკევიჩის პრეს-მდივნის პაველ მაჟეიკას ადგილსამყოფელიც, რომელიც ასევე მიტინგის დარბევის დროს იქნა დაკავებული.

ოფიციალური მონაცემებით, მინსკის ცენტრში ოპოზიციური მიტინგის დარბევის შედეგად მსუბუქად დაშავდა ერთი მომიტინგე, მძიმედ არის დაშავებული 8 მილიციელი.

ალექსანდრე მილინკევიჩის ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციით კი, დაზარებულ მომიტინგეთა რიცხვი გაცილებით მეტია.

გუშინ რადიო "თავისუფლების" ბელარუსის ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში მილინკევიჩმა ხალხს მოუწოდა, **"დროებით შეწყდეს საპროტესტო აქციები და მთავარი აქცენტი ინფორმაციულ კამპანიაზე გაკეთდეს"**. აქციების შეწვეტის მთავარ მიზეზად მილინკევიჩმა დაასახელა ის, რომ **"ოპოზიციას ამ ეტაპზე ქუჩის აქციების გასამართად საჭირო ხალხის რაოდენობის შეგროვება არ შეუძლია"**.

**"ამ ეტაპზე მთავარია, ინფორმაცია მივაწოდოთ ბელარუს ხალხს, რადგან ბევრმა არც კი იცის, რა მოხდა. ჩვენ უნდა მოვამზადოთთ მასალები ინტერნეტ საიტებისთვის; უნდა გავავრცელოთ ბროშურები, პროკლამაციები,"** – აცხადებს მილინკევიჩი და სოლიდარობას უცხადებს იმ ადამიანებს, ვინც სასტიკად სცემეს მიტინგის დარბევის დროს. მილინკევიჩის თქმით, იგი ფართომასშტაბიან მიტინგს 26 აპრილს გამართავს.

ამავე ინტერვიუში მილინკევიჩი პრეზიდენტობის კიდევ ერთ ოპოზიციონერ კანდიდატს ალექსანდრ კოზულინს გაერთიანებას სთავაზობს: **"ის ჩემი მტერი არ არის, ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს - ლუკაშენკოს ხელისუფლებას ვებრძვით."** მილინკევიჩის ამ წინადადებას დაპატიმრებულმა კოზულინმა გუშინ ვერ უპასუხა, თუმცა რადიო "თავისუფლებამ კოზულინის პრეს-მდივნის ნინა შიდლოვსკაიას კომენტარი გაავრცელა.

**"მილინკევიჩი და მისი გუნდი ერთი და იგივე არ არის. ამ გუნდში არიან ნორმალური, გონიერი ადამიანები. თუ ამ ადამიანებთან გაერთიანებაზეა საუბარი, ცხადია, ჩვენ ამას მივესალმებით... რაც შეეხება თავად მილინკევიჩს, ეჭვი მეპარება, რომ მასთან ნორმალური თანამშრომლობა შესაძლებელია,"** – აღნიშნა შიდლოვსკაიამ.

ბელარუსულ ინტერნეტ ფორუმებზე კვლავ ისმის ქუჩაში გამოსვლის მოწოდება. ერთ-ერთ ოპოზიციურ საიტზე ხალხს მოუწოდებენ, 26 მარტს 6 საათზე ოქტომბრის მოედანზე გამოვიდნენ და სანთლები აანთონ.

ევროკავშირი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ბელარუსში განვითარებული მოვლენების გამო და დემონსტრანტების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.

*24 საათი*

# ემიგრანტების პროტესტი ლოს ანჯელესში

ლოსანჯელესში დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში, რომელიც აშშ-ს საიმიგრაციო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების წინააღმდეგ იყო მიმართული. თეთრ მაისურებში, რაც მშვიდობის სიმბოლოა, გამოწყობილი დემონსტრანტები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ - "მექსიკა!", "ამერიკის შეერთებული შტატები!" და "ში, სე პუედე" ("დიახ, ჩვენ შეგვიძლია").

**"ჩვენ კრიმინალებს გვიწოდებენ მაშინ, როცა ჩვენ სულაც არ ვართ დამნაშავენი. ყველა იმსახურებს უკეთესი ცხოვრების უფლებას. ჩვენ ამჟამად, ამერიკელთა წინაპრების მსგავსად, სხვა ქვეყნებიდან ოფიციალური დოკუმენტების გარეშე შემოვდივართ აშშ-ს ტერიტორიაზე. ჩვენ ზარმაცებსა და ბინძურებს გვიწოდებენ მაშინ, როცა ჩვენ აქ ჩამოსვლა მხოლოდ სამუშაოსთვის გვჭირდება, რადგან ჩვენც გვყავს ოჯახები,"** - აცხადებდნენ აქციაზე შეკრებილები.

აქციის მონაწილეებმა ქალაქის ცენტრში ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება გამოიწვიეს. ადგილობრივი პოლიციელების თქმით, ისინი განცვიფრებულნი არიან დემონსტრაციების მასშტაბებით.

**"ოდესმე გინახავთ, მექსიკელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრი აეშენებინოს? და ვინ გგონიათ, რომ ააშენა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი?"** - ისმოდა აქციაზე.

ლოსანჯელესის ქუჩებში მსვლელობა მას შემდეგ დაიწყო, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერისადმი თავის ყოველკვირეულ რადიომიმართვაში მისი მთავრობის მიერ საიმიგრაციო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების დაცვა სცადა.

**"ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ კანონის ქვეყანაც ვართ და ჩვენი საიმიგრაციო კანონები რეფორმას საჭიროებს,"** - განაცხადა ბუშმა.

ახალი კანონპროექტი, რომელსაც დღეს კონგრესი განიხილავს, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ქვეყანაში არალეგალური ყოფნისა და მუშაობისთვის, ასევე ამერიკელი ფირმების ხელმძღვანელებისგან თავისი თანამშრომლების სტატუსის საგულდაგულო შემოწმებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ვერც დამქირავებელი გაექცევა. გარდა ამისა, ამერიკის ხელისუფლება გამოდის წინადადებით, აღმართონ 700 მილის სიგრძის კედელი აშშ-ს და მექსიკის საზღვრის გასწვრივ, საიდანაც შეერთებულ შტატებში არალეგალურ ემიგრატთა უმეტესი ნაწილი გადადის.

ხელისუფლების განცხდებით, აღნიშნული ცვლილებით გარკვეული წრეები ველარ ისარგებლებენ არალეგალთა უუფლებობით და ვერ გაუწევენ მათ ექსპლუატაციას. იაფი მუშახელი, ნარკოტრეფიკინგი და პროსტიტუცია 21-ე საუკუნის მონობის ინსტიტუტად რჩება, რასაც ძველი კანონიც გარკვეულწილად უწყობდა ხელს, რადგან სათანადოდ ვერ არეგულირებდა მას.

ამჟამად, აშშ-ში დაახლოებით 12 მილიონი უკანონო ემიგრანტი ცხოვრობს. ფერმების მუშათა დაახლოებით 24 პროცენტი, მეეზოვეთა და მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა 17 პროცენტი არალეგალია.

# წინასაარჩევნო განწყობა ისრაელში

ისრაელში საპარლამენტო არჩევნები 28 მარტსაა დანიშნული, მანამდე კი პარტიათა ლიდერები სულ უფრო აქტიურად საუბრობენ პროგრამასა და სამომავლო გეგმებზე. ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ეჰუდ ოლმერტის განცხადებით, გამარჯვების შემთხვევაში იგი ქვეყნის შიდა ძალებთან დიალოგს დაიწყებს და კონსულტაციებს გაივლის საერთაშორისო აქტორებთან სახელმწიფოს მუდმივი საზღვრების დადგენის მიზნით.

ქვეყნის საზღვრების საბოლოოდ განსაზღვრა ოლმერტმა მართლაც აქცია თავისი წინასაარჩევნო პროგრამის ქვაკუთხედად. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის მტკივნეული საკითხის მოგვარების დაპირება შესაძლოა, ყველაზე მომგებიანი აღმოჩნდეს სხვა კანდიდატების პოლიტიკურ პროგრამებთან შედარებით. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ოლმერტსა და მის პარტიას "კადიმა" არჩევნებში გამარჯვების საკმაოდ დიდ შესაძლებლობას ანიჭებს.

**"ჩვენ გვსურს, დავადგინოთ ისრაელის მუდმივი საზღვრები, რისთვისაც საბოლოოდ უნდა გავემიჯნოთ პალესტინელებს, ხოლო იმისთვის, რომ გავემიჯნოთ პალესტინელებს, ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ "წითელი ხაზები,"** - განაცხადა ოლმერტმა რადიო "კოლ ისრაელისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

თანაც "კადიმას" ლიდერს ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მხრიდან. მისი თქმით, ამ იდეის სერიოზულად აღქმისა და განხილვისათვის საერთაშორისო საზოგადოება მზად იქნება, გადალახოს ბარიერები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრების დადგენის პარალელურად ეჰუდ ოლმერტი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, იორდანეს ველსა და მთელ იერუსალიმში მსხვილი ებრაული დასახლებების შენარჩუნებასაც აპირებს.

*24 საათი*

პრესომბუდსმენი

## მალხაზ სონღულაშვილი:

# თვით ქართული ენაც თავისუფლების სიმბოლოა

პირველი გვერდიდან

**- ჩემთვის სრულიად ცხადია თქვენი მინსკში ჩასვლის მოტივაცია. მაგრამ წინასწარ ვიცით, რომ შეკითხვები მაინც წარმოიქმნება. შესაძლოა იკითხონ: რა ესაქმებათ რელიგიურ მოღვაწეებს უცხო ქვეყანაში პოლიტიკურ მიტინგზე? მართალია, ასეთ შეკითხვას ბევრი არ დასვამს, მაგრამ ამის გამო უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ მას... ჩვენში მიღებულია მხოლოდ იმათი სურვილების გათვალისწინება, ვინც რაოდენობრივად 80 პროცენტს აჭარბებს. ნუ შევიქნებით ამ მანკიერი ჩვევის მიმდევარნი და იმ მცირედთა საჭიროებაც გავითვალისწინოთ, ვისთვისაც თქვენი სულიერი სტიმულები გაუგებარია...**

- ჩვენი მოტივაცია შემდეგი იყო: როგორც ქრისტიანებმა, ადამიანებმა და მოქალაქეებმა გამოვხატეთ თანადგომა იმ ხალხის მიმართ, რომელიც ეს-ესაა ილვიძებს, რათა მოიპოვოს თავისუფლება, კარი გაუხსნას დემოკრატიას და შეძლოს საკუთარი ღირსების დაცვა. ვფიქრობ, რომ ამ მიზნის მიღწევა შევძელით: ჩავუტანეთ იქ მყოფ ადამიანებს ნუგეში და გამხნევება, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენც ბევრი რამ მივიღეთ მათგან. შეიძლება ისიც ვთქვა, რომ ის, რაც მე მივიღე ამ ჩვენი მოგზაურობის შედეგად, უფრო მნიშვნელოვანია იმაზე, რისი გაცემაც შევძელი...

მესმის, რომ საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას შეკითხვა: რა უნდათ სასულიერო პირებს ასეთ ადგილას? მახსოვს, იგივე აინტერესებდათ დაკითხვაზე ბელარუსის სუკ-ის თანამშრომლებსაც. მაგრამ რამდენად გამართლებულია ეს სტერეოტიპი, რომლის მიხედვით სასულიერო პირის ინტერესები ეკლესიის კედლებით უნდა იყოს შემოსაზღვრული? გავიხსენოთ, რომ მხოლოდ წარმართები ზღუდავდნენ ქურუმის კომპეტენციას ტაძრის კედლებით. მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ქრისტიანობა არის სიყვარულის რელიგია, მაშინ ღვთისმსახური იქ უნდა იყოს, სადაც არის ადამიანი, თანაც ყველაზე უფრო დამცირებული, შეურაცხყოფილი, დაჩაგრული და საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანი. სწორედ იქაა ყველაზე საჭირო ქრისტიანის სიტყვა და სულიერი სიმხნევე.

სხვათა შორის, როცა ჩემი მრავალსაათიანი დაკითხვა დასრულდა და ვიდეოკამერა გამორთეს, ჩემსა და ოფიცერს შორის გულახდილი საუბარი გაიმართა. მან მითხრა, რომ ბელარუსის ხასიათი ისეთია, ლურსმანზე რომ დაჯდეს, იფიქრებს, ალბათ ასეა საჭიროო. მაგრამ ვინ უნდა უთხრას ბელარუსებს, რომ ამგვარი სკამიდან ადგომა სამართლიანია? — ვფიქრობ, ესეც ჩვენი ქრისტიანული ვალია.

**- კეთილი. თქვენ ბრძანებდით საფრთხეზე, რომელშიც დღეს ბელარუსები არიან ჩავარდნილნი. იქნებ შევაფასოთ ეს საფრთხე?**



მომავალ ორშაბათამდე!

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



- საფრთხე საკმაოდ რეალურია. ქვეყნის მთელი ცხოვრება მოქცეულია ერთი ახირებული კაცის ხელში. ეს კაცი თავისი კულტურით, განათლებით, თვალსაწიერით ერთი ჩვეულებრივი მდაბიოა, რომელიც მოულოდნელად დაეპატრონა ლამის აბსოლუტურ ძალაუფლებას. ბელარუსში ხშირია ადამიანის გაუჩინარების, ფიზიკური ხელყოფის შემთხვევები. მახსოვს ჩვენი შთაბეჭდილება საზღვრის გადაკვეთისას: ღამე იყო და განათებულ სარკინიგზო ბაქანზე ყოველ ხუთ მეტრში ჩამწკრივებული იყვნენ ჯარისკაცები ძაღლებით. მეგონა, რომ მეორე მსოფლიო ომის თემაზე გადაღებულ ფილმში ამოვყავით თავი. ეს შემდეგაც დადასტურდა, როცა ვნახეთ, რომ ხალხიც ზომბირებულია და ყველგან შიში მეფობს. წარმოიდგინეთ, რომ ბელარუსის ბაპტისტთა წინამძღოლმა, რომელსაც მე რეგლამენტის დაცვით ვაცნობე ქვეყანაში ჩემი ჩამოსვლის ამბავი, პასუხად შემომითვალა, მოხარული ვარ, რომ ჩამობრძანდით პრეზიდენტის მხარდასაჭერადო! რა თქმა უნდა, იქ არავის მხარდასაჭერად არ ვიყავით ჩასულნი, მაგრამ იმ ადამიანსაც ხომ შიში აიძულებდა ამის თქმას.

მაგრამ ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ დაშინებულია ახალგაზრდობა. ისინი ტელევიზიით ისევე ლაპარაკობენ, როგორც 30-40 წლის წინ მათი საბჭოთა თანატოლები. ქვეყანაში რაღაც სტალინის დროინდელი სულისკვეთება სუფევს, თუმცა კი გარემო თანამედროვეა. სუკის იზოლატორშიც კი დგას კომპიუტერები, თუმცა თანამედროვეობის ეს ვიზუალური სურათი სინამდვილის შინაარსზე გავლენას ვერ ახდენს.

**- აღწერილი სურათის შედარებაც არ შეიძლება საქართველოს რევოლუციამდელ ვითარებასთან. ბელარუსის ვითარება განუზომლად უფრო მკაცრი და ულმობელია. მაგრამ მაინც ვცადოთ შედარება: სად უფრო მოსალოდნელი და სავარაუდოა რევოლუცია?**

- თეორიულად, ბელარუსში. რადგან იქ, სადაც ჭანჭიკები უფრო მოჭერილია, უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო მოსალოდნელია აფეთქება. რეალურად, რა თქმა უნდა, საქმე სხვაგვარადაა. ჯერ ერთი, ჩვენც ბევრი ვითმინეთ. როცა ათი წელია შუქი არა გაქვს და მეათე წელს იწყებ ყვირილს, დიდი ვერაფერი გმირობაა. გაცილებით უფრო ძნელადაა საქმე ბელარუსში: იქ საზოგადოების ინერტულობა საკმაოდ დიდია და რევოლუციამდეც უფრო გრძელი გზაა გასავლელი, ვიდრე საქართველომ ან უკრაინამ გაიარეს. მაგრამ მე მჯერა, რომ თუ ბელარუსში ხალხმა გაიღვიძა და თავისუფლების მოპოვება მოახერხა, ის უფრო სწრაფად შეძლებს ევროპაში ინტეგრირებას...

**- რა გაძლევთ ამ ვარაუდის საფუძველს?**

- ბევრი რამ. თუნდაც ამ ხალხის შრომისმოყვარეობა, სისუფთავე, აკურატულობა. ეს პოტენციალი ნამდვილად აქვთ. და კიდევ: ბელარუს ინტელექტუალებთან შეხვედრამ ძირფესვიანად შეცვალა ჩემი წარმოდგენა ამ ერზე. ისინი არიან ღრმა ფესვების მქონე კულტურის მატარებელნი, კულტურისა, რომელსაც უკვე ას წელზე მეტია, დევნიან და რომელიც ახლა იწყებს თავისუფლებისკენ სწრაფვას.

**- გეთანხმებით. რომში ყოფნისას ბევრი ბელარუსი გავიცანი და დავრწმუნდი, რომ ეს სულ სხვა ქვეყანაა, რუსეთისგან არსებითად განსხვავებული. ევროპული ძირები აქ ყველაფერს უფრო აშკარად ეტყობა, მათ შორის ტაძრების არქიტექტურას და ამ ტაძრებში დაკიდებულ ხატებსაც. ვიტყოდი, რომ რუსეთში ამგვარ შეუმჩნეველ და ბუნებრივ, თვით პროვინციულობაზე აღბეჭდილ ევროპულობას მხოლოდ სმოლენსკი თუ მიუახლოვდება. მაგრამ აქ კიდევ ერთი შეკითხვა იბადება: აქვს თუ არა ბელარუსში ახლადგამოღვიძებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი მითები?**

- ჩემი დაკვირვებით, ბელარუსის საზოგადოება თავისუფალია იმ მითოლოგიისაგან, რომელსაც, როგორც ვატყობ, თქვენ გულისხმობთ. მაგალითად, მათ არა აქვთ ჩვენნაირი მონური დამოკიდებულება საკუთარ წარსულთან, იქ არ არსებობს რელიგიური ნაციონალიზმის მუხტი. ჩვენ შევესწარით იქაურ ინტელექტუალთა საუბრებს... როცა, მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ ვინმეს აქვს უნარი, ესა თუ ის საზოგადოებრივი როლი შეასრულოს, არასოდეს არ დგება საკითხი მისი კონფესიური კუთვნილების შესახებ. შემიძლია ვთქვა, რომ ძირითადი სულისკვეთება იქ ევროპულია და ეს ხალხი ძალითაა გამოგლეჯილი მისთვის ბუნებრივი ევროპული კონტექსტიდან.

**- საკვირველია, რანაირად მოახერხა ლუკაშენკომ ამ ხალხის ასე დამონება?**

- რა თქმა უნდა, დიდი გავლენა ჰქონდა რუსეთის ეკონომიკურ მხარდაჭერას. მაშინ, როცა თვით რუსეთის მოსახლეობას ძალიან უჭირს, ეს ქვეყანა დიდძალ სახსრებს ახარჯავს ლუკაშენკოს რეჟიმის გამყარებას. ბელარუსში ხდება რუსეთიდან შემოსული ენერგორესურსების გადამუშავება და დასავლეთისთვის მიწოდება. ეს საგრძნობლად აუმჯობესებს ხალხის ცხოვრების დონეს. სიღატაკე და გაჭირვება იქ თვალშისაცემი არაა. თვით სუკ-ის ოფიცრები, როცა დემონსტრაციაზე გადაღებულ სურათებს გვიჩვენებდნენ, ამბობდნენ: რა აქვთ ამათ საპროტესტო, ნახეთ, რა კარგად აცვიათო?!

**- ჰო, ამ მხრივ, ერთი ქართველი დეპუტატის დედა მახსენდება, საკუთარ რძალზე რომ ამბობდა: ნეტა რა უნდოდა მეტი, ფეხსაცმელებს და "კალგოტკებს" ხომ ვყიდულობდით მისთვისო... ერთი სიტყვით, საკმაოდ გავრცელებულია ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ერისადმი: ნაჭამია და დაბინავებული, სხვა რაღა უნდა. თითქოს საქმე პირუტყვთან ჰქონდეთ და არა ადმიანებთან. მაგრამ აქ უნდა დაისვას სხვა შეკითხვა: რა გაკვეთილი მიიღო ბელარუსის მოვლენებიდან საერთაშორისო საზოგადოებამ. მახსოვს, ვარდების რევოლუციის დროს ჭორები მომდიოდა, ჩვენში აკრედიტებული დიპლომატები ამბობდნენ, რა საჭიროა ამდენი აურზაური, როცა საქმეს ერთი სნაიპერი გადაწყვეტსო. იმედი მაქვს, ეს ჭორები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავენ რეალობას, მაგრამ ზოგადი საფუძველი კი ნამდვილად სარწმუნო აქვთ. ამისაგან განსხვავებით, დავინახე, რომ მინსკში უცხო ქვეყნების ელჩები მხარში ამოუდგნენ დემონსტრანტებს...**

- ვფიქრობ, რომ ბელარუსი ხალხის ჩაგრული მდგომარეობა დასავლეთისთვის უფრო თვალსაჩინოა. დემონსტრანტები ნამდვილად უმწეო და უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ეს ბუნებრივად აღძრავდა მხარდაჭერის სურვილს და სულაც არ გამკვირვებია, რომ ევროპის ქვეყნების ელჩები გამოვიდნენ და მათ გვერდით დადგნენ. არ შეიძლება მთელი ერის, მისი მომავალი თაობების ბედი ერთი კაცის ნებაზე იყოს დამოკიდებული. ეს იმდენად აშკარაა ყველასათვის, რომ ძნელია განზე გადგომა...

**- სიამოვნებით დაგეთანხმებით, რადგან ნამდვილად არ შემიძლია ფიქრი, რომ ყველაფერი მხოლოდ ინტერესთა კარნახით და ტაქტიკურ გათვლებზე დაყრდნობით ხდება. ასეთ სამყაროში ცხოვრება არ იქნებოდა სასურველი...**

- დემონსტრანტებს არანაირი სერიოზული მხარდაჭერა არ ჰქონიათ. ორგანიზების დონეც უმწეო იყო. მხოლოდ მეორე დღეს გაჩნდა მეგაფონი. წარმოიდგინეთ, რომ თავიდან საქართველოს დროშები უფრო მეტი იყო, ვიდრე ბელარუსის ეროვნული დროშები. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მათთვის არა მარტო ქართული დროშა, არამედ თვით ქართული ენაც არის თავისუფლების სიმბოლო. როცა ვინმეს ტელეფონს გვაწერინებდნენ, ქართულად გვკარნახობდნენ რიცხვებს. საოცარია, რომ იცოდნენ. იცოდნენ რაღაც ფრაზები. სუკ-ის იზოლატორის დერეფანში დემონსტრაციაზე დაპატიმრებული ახალგაზრდები შეგვხვდნენ, რომლებმაც ქართულად მოგვმართეს: "გამარჯობა! როგორა ხარ!". ჩემი ლოცვაა, რომ თავისუფლების სიმბოლოდ დარჩენილიყოს ქართული დროშა არა მარტო მათთვის, არამედ ჩვენთვისაც.

**- და მაინც, დავყოთ იქაური ადამიანები ორ ნაწილად: ვინც მოედანზე დგას, და ვინც მოედანზე მდგომებს არბევს. არის თუ არა შანსი, რომ ისინი გაუგებენ ერთმანეთს? თუნდაც იმ დარწმუნებულობის დონეზე, რომელიც ჩვენ გვქონდა ვარდების რევოლუციის დროს: ჩვენები არ გვესვრიან...**

- მოედანზე მყოფები გვეუბნებოდნენ, რომ ბელორუსი მილიციელები მათ არ ესვრიან. მაგრამ სპეციალური დანიშნულების რაზმისა კი ძალიან ეშინოდათ. ესენი საგანგებოდ არიან კაცისკვლისათვის გაწვრთნილი. მათი ძალის დემონსტრირება სპეციალურად მოგვიწყვეს იზოლატორში ჩვენს ფსიქოლოგიურად დასათრგუნად. მაგრამ მთავარი ეს არაა: მთავარი არგუმენტაციაა. ხელისუფლებისა და მის მხარდამჭერ გარეგან ძალთა ძირითადი არგუმენტი იგივე იყო, რაც რევოლუციამდელ საქართველოში: სტაბილურობა. წამდაუწუმ ამბობდნენ: ლუკაშენკო, შეიძლება, დიქტატორია, მაგრამ სტაბილურობის გარანტია.

**- ძალიან ვერაგი სიტყვაა ეგ სტაბილურობა...**

- ძალიან ვერაგი... თუ გავითვალისწინებთ, რომ სტაბილურობის ყველაზე მაღალი ხარისხი სასაფლაოზეა.

**- დაპატიმრების შემდეგ გქონდათ თუ არა იმედი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება?**

- ეს იმედი, სხვათა შორის, ჩაგვისახა პირველი არხის გადამღებმა ჯგუფმა, რომელიც მოგვიანებით დააპატიმრეს. ვგულისხმობ **ნინო გიორგობიანსა** და ოპერატორ **გიორგი ლაღიძეს**. როცა აგვიყვანეს, ნინომ დარეკვა მოასწრო და ჩვენ ვთხოვეთ, არ მოსულიყო, ოღონდ კი საქართველოში გადაეცა ცნობა ჩვენს შესახებ. მასთან საუბრის შემდეგ კი უფრო იმედიანად ვიყავით, რადგან ვიცოდით, ის ყველაფერს მოიმოქმედებდა, რომ ჩვენი ამბავი მიეწვდინა საქართველომდე. უნდა აღვნიშნო: დღეს რომ აქ ვართ, მნიშვნელოვნად არის ამ ახალგაზრდების დამსახურება.

**- ბელარუს მეგობრებზე არაფერს გეკითხებით, რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მაგრამ გისურვებთ, მიუხედავად თქვენი დეპორტაციისა და ბელარუსში შესვლის ხუთწლიანი აკრძალვისა, საქმე ისე დატრიალდეს, რომ სულ მალე შეძლოთ მათთან შეხვედრა და ნაყოფიერი ურთიერთობის გაგრძელება.**

- აქ კი ერთი აღსარება უნდა გითხრათ. სანამ ჩავიდოდი, ერთგვარი ნეგატიური თვალსაზრისი მქონდა ბელარუსებზე შექმნილი. ყველაზე მეტი წინააღმდეგობა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიას სწორედ ბელარუსის ბაპტისტებისგან ჰქონდა. შესაძლოა, პოლიტიკური ზეწოლის მიზეზით ან რუსეთის მხრიდან ინსპირაციის გამო, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენი ეკლესიის დისკრედიტაციას და მისი დამოუკიდებლობის დაბრკოლებას. მაგრამ ბელარუსებთან შეხვედრებმა ეს ნეგატიური განწყობა მთლიანად წაშალა. ახლა უკვე ჩემს წარმოდგენაში ბელარუსი იმათი ქვეყანა კი არაა, ვინც ოდესღაც ხელს გვიშლიდა და გვაბრკოლებდა, არამედ იმათი, ვისაც გულწრფელად უყვარს სამშობლო, დაინტერესებულია საკუთარი ქვეყნის თავისუფლებითა და შემოქმედებითი განვითარებით. პირადად ჩემთვის ამ მოგზაურობას ჰქონდა სულიერი კურნების მნიშვნელობა.

მოკლედ

## აფხაზეთში დაპატიმრებული ჟურნალისტები გაათავისუფლეს

თითქმის სამკვირიანი პატიმრობის შემდეგ აფხაზებმა ქართველი ჟურნალისტები - თეა შარია, ტარიელ სოხაძე და მათი თანმხლები გია ელიავა გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, ქართველი კინოდოკუმენტალისტები აფხაზმა სამართალდამცავებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით 5 მარტს, ოჩამჩირისა და გალის რაიონის საზღვარზე მდებარე ბედიის ტაძრის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღების დროს დააკავეს. ისინი გათავისუფლებამდე სოხუმის იზოლატორში იმყოფებოდნენ და მათ საქმეს აფხაზეთის უშიშროების სამსახური იძიებდა.

ჟურნალისტებს ენგურის ხიდზე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩიქოვანი, აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ტაბლიაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის სამმართველოს თანამშრომლები დახვდნენ.

ირაკლი ტაბლიაშვილის განცხადებით, ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლება კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის ირაკლი ალასანიას უშუალო ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი.

**"ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მხარეებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე შედეგის მიღწევა შესაძლებელია"**, - ამბობს ირაკლი ტაბლიაშვილმა. გათავისუფლებულები უკვე თბილისში არიან და თავს კარგად გრძნობენ. **ინტერპრესნიუსი**

## ბაკურიძის საქმე გრძელდება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დღეს ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის საქმის განხილვა განახლდება. ბაკურიძის დაცვის მხარე ბათუმის საოლქო სასამართლოს მიერ, გასული წლის 21 ივნისს გამოტანილ განაჩენს ასაჩივრებს, რომლითაც ჟურნალისტს თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალებით, ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ბაკურიძის საქმესთან დაკავშირებით, მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ჟურნალისტის საქმის სასამართლო გამოძიების პროცესს უპრეცენდენტოს უწოდებენ.

**"პირველი ინსტანციის სასამართლოში უპრეცენდენტო რამ გამოვლინდა - თავად ბრალდების მხარის მიერ საქმეში დაზარალებულად ცნობილმა ორგანიზაციებმა: საინფორმაციო სააგენტო "აჭარამ", აჭარის ტელერადიო მაუწყებლობამ, ასევე მოწმის სახით დაკითხულმა პირებმა არ დაადასტურეს ბაკურიძის მიმართ წაყენებული არც ერთი ბრალდება",** - განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ბაკურიძეს 2 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვის ბრალდება მოუხსნა და აღნიშნულ ნაწილში ჟურნალისტი გაამართლა. მონიტორინგის ჯგუფი იმედოვნებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე პრინციპულობასა და ობიექტურობას გამოიჩენს და სამართლიან განაჩენს გამოიტანს. **ინტერპრესნიუსი**

## სახელმწიფო კანცელარიაში ცუდი მდგომარეობაა

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სახელმწიფო დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებების მიღებისა და რეგისტრაციის კანონთან შესაბამისობის მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებენ. მონიტორინგის ჩასატარებლად სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს სახელმწიფო კანცელარია, იუსტიციის სამინისტრო, თბილისის საკრებულო, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგადასახადო სამსახური, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის პროკურატურა, საჯარო რეესტრი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ ყველაზე ცუდი მდგომარეობა სახელმწიფო კანცელარიასა და თბილისის პროკურატურაში აღმოჩნდა. კერძოდ, ამ უწყებებში მოქალაქეთა განცხადებები მისაღებებში დადგმულ სპეციალურ ყუთებში გროვდება, ხოლო რეგისტრაციის ნომრის გაგება მოქალაქეებს პროკურატურაში მხოლოდ მეორე დღეს შეუძლიათ, კანცელარიაში კი ერთი კვირის შემდეგ.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს თბილისის პროკურატურაში განუმარტეს, პროკურატურაში ამჟამად მიმდინარეობს მოქალაქეთა მისაღების რემონტი და სულ მალე მოქალაქეები განცხადების ჩაბარებისთანავე მიიღებენ რეგისტრაციის ნომერს. **ინტერპრესნიუსი**

## იზოლატორებში მძიმე პირობებია

სახალხო დამცველის აპარატი დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილების მონიტორინგს აგრძელებს. სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა თელავის, დედოფლისწყაროს, წალკისა და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის განყოფილებების განმეორებითი მონიტორინგი ჩაატარა. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ იზოლატორებში მდგომარეობა ჯერჯერობით არ შეცვლილა - შენობები კვლავაც დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს. რაც შეეხება პოლიციის განყოფილებებს, როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, წალკის პოლიციის განყოფილებაში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში არც ერთ დაკავებულზე სრულყოფილად არ იყო შევსებული შესაბამისი გრაფები, ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორში, აღრიცხვის წიგნის ნახვა შეუძლებელი აღმოჩნდა. განყოფილების მორიგის განცხადებით, წიგნი უფროსს ჰქონდა შენახული, რომელიც ადგილზე არ იმყოფებოდა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული მძიმე პირობები და ანტისანიტარია იქ მყოფი დაკავებული პირების ადამიანურ ღირსებას ლახავს, არღვევს ადამიანის უფლებებს და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას. **ინტერპრესნიუსი**

## სტუდენტები იმიტირებულ სასამართლოზე

უზენაეს სასამართლოში სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, მე-4 ეროვნული ოლიმპიადის ფარგლებში, სტუდენტური გუნდების მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება დაიწყო. სტუდენტები რეალურ პროცესთან მაქსიმალურად მიმსგავსების მიზნით, იმიტირებული პროცესებს უზენაესი სასამართლოს დარბაზებში, საქმის განხილვის პროცესუალური წესების სრული დაცვით, უკვე განხილული სასამართლო საქმეების საფუძველზე მართავენ.

როგორც ჟიურის წევრი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი რეზო გოცირიძე აცხადებს, იმიტირებული პროცესები სტუდენტებს მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზების საშუალებას აძლევს, გარდა ამისა, ისინი მოსამართლის, პროკურორისა თუ ადვოკატის უნარ-ჩვევებსაც გამოიმუშავებენ.

ოლიმპიადა ორ ეტაპად გაიმართება. პირველ ტურში მონაწილეობას მიიღებს 42 გუნდი, მეორე ტურში – 18. ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ადვოკატები და სამართლის ექსპერტები, 12 გამარჯვებულ გუნდს გამოავლენს. ასევე დასახელდებიან საუკეთესო მოსამართლეები და საუკეთესო ორატორები სამართლის სამივე დარგში.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემა სიგელები და სხვადასხვა სახის იურიდიული ლიტერატურა. აგრეთვე, გაივლიან სტაჟირებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში და სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებაში. ოლიმპიადის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა (ABA/CEELI) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ოლიმპიადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეგიდით იმართება. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესახებ პირველ სასწავლო სემინარს ჩაატარებს.

სემინარების ციკლი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, ახალგაზრდა იურისტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებისთვისაა განკუთვნილი.

სემინარის მიზანია, მონაწილეებისთვის ადამიანის უფლებების ევროპული სისტემის გაცნობა. სემინარი საქართველოში ევროსაბჭოს ოფისში გაიმართება და 28 მარტს დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში სასამართლო პროცესი საპროტესტო აქციაში გადაიზარდა. სიგარეტის კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული ლაშა გაბედავას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ეჭვმიტანილისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება გააპროტესტეს. როგორც თავად გაბედავას ოჯახის წევრები ირწმუნებიან, ეჭვმიტანილი უდანაშაულოა და მას ბრალი უსამართლოდ წაუყენეს. ოჯახის წევრები სასამართლოს გირაოს სახით 10 ათასი ლარის გადახდასაც სთავაზობდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

# ადვოკატი გამომძიებლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

პირველი გვერდიდან

არსენ გულოშვილი პოლიციაშიც დაკითხეს და მისი მამის ადვოკატის, ქეთევან გულიაშვილის თქმით, გამოძიებაში დარღვევებიც სწორედ აქედან დაიწყო. ჯერ ერთი, არასრულწლოვანი ისე დაკითხეს, რომ ამ პროცესს არც მისი მასწავლებელი და არც მშობელი არ ესწრებოდა. **"დაკითხვა ჩატარდა უხეში საპროცესო დარღვევით, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი დაიკითხა არა თავისი, არამედ სხვა პედაგოგის თანდასწრებით და მოხდა ჩვენების მთლიანად ფალსიფიცირება",** - ამბობს ადვოკატი. ქეთევან გულიაშვილის თქმით, არსენ გულოშვილმა ის პოლიციელი ამოიცნო, ვინც მამამისს ნარკოტიკი ჩაუდო და ამის შესახებ ჩვენებაც მისცა გამომძიებელ გიორგი დათუაშვილს, მაგრამ გამოძიებამ არასრულწლოვანის ჩვენებაში პოლიციელის ვინაობა არ დააფიქსირა, რითიც, როგორც ქეთევან გულიაშვილი აცხადებს, გამომძიებელმა დათუაშვილმა დამნაშავე პოლიციელს ხელი დააფარა და მიჩქმალა ჩხრეკის დროს გიორგი გულოშვილისთვის ნარკოტიკული ნივთიერების ხელოვნურად ჩადების ფაქტი.

გამოძიება რომ მთელი რიგი პროცესუალური დარღვევებით მიმდინარეობდა, ადვოკატის რწმუნებით, ამის დასტურია ის ჩხრეკის ოქმიც, რომელიც მთლიანად გაყალბებულია. მასზე ხელს თავად ის პოლიციელები - ალექსანდრე ხაჩიშვილი (სამხარეო პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე), ფრიდონ ციგროშვილი (ამავე უწყების ინსპექტორი), გიორგი ალადოშვილი და იოსებ იმერლიშვილი აწერენ, რომლებიც გულოშვილის დაკავებაში მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომაც, ოქმს კანონიერი ძალა არა აქვს და ჩატარებული ჩხრეკაც უკანონოა.

**"ამასთან, პოლიციელების - ხაჩიშვილისა და ციგროშვილის ჩხრეკის და დაკითხვის ოქმებზე სხვადასხვანაირად აქვთ მოწერილი. არსებული ხელმოწერები ვიზუალურად, ერთი შეხედვითაც კი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, უკანონო ჩხრეკისას ამოღებული არც ერთი საგანი არ წარმოადგენს მტკიცებულებას",** - აღნიშნავს ადვოკატი.

ზემოთმოყვანილი ფაქტების გარდა, საქმეში კიდევ უამრავი დარღვევებია. ადვოკატის ნაამბობის თანახმად, მტკიცებულებების დალუქვის დროს გამომძიებელ დავითაშვილს დამსწრეებად ისევ პოლიციის თანამშრომლები ჰყავს და ოქმსაც ხელს სწორედ ისინი აწერენ, რაც, როგორც ადვოკატი ამბობს, საპროცესო კანონმდებლობის სრული უგულებელყოფაა და რეალურ ეჭვს იწვევს, რომ შესაძლოა ნივთმტკიცებებიც შეცვლილი იყოს. აქვე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქმეში არსებული კიდევ სამი მოწმე, ყვარლის პოლიციის თანამშრომლები კახი ოზგელდაშვილი, ნოდარ ქარელაშვილი და გია ალადოშვილი გამომძიებელს არ დაუკითხავს.

გიორგი გულოშვილის დაკავების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით "24 საათთან" საუბარს გამომძიებელმა გიორგი დავითაშვილმა თავი, მოუცლელობის მომიზეზებით, აარიდა, ხოლო ყვარლის პოლიციის უფროსმა ალექსანდრე ონანაშვილმა გიორგი გულოშვილის დაკავების ფაქტი საერთოდ ვერ გაიხსენა. კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა თეიმურაზ ანჯაფარიძემ კი სატელეფონო საუბარში განაცხადა: **"ამ ეტაპზე არაფრის თქმა არ შემიძლია. ვინ არის მტყუანი და მართალი, ამას სასამართლო გაარკვევს".**

ადვოკატი ქეთევან გულიაშვილი გურჯაანის და ყვარლის გაერთიანებული პროკურატურისგან მოითხოვს, საპროცესო დარღვევებით გამოძიებული საქმის საფუძველზე, გულოშვილს ბრალდებები მოუხსნან, ხოლო კახეთის საოლქო პროკურატურისგან კი, ყვარლის შს განყოფილების უფროსი გამომძიებლის გიორგი დათუაშვილის მიმართ, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის გამო, სისხლის სამართლის საქმე აღძრან.

# „რუსული" ამერიკის ყველაზე ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის დაკავება

*ნიუ-იორკში "რუსული" ამერიკის ყველაზე ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი, 55 წლის მონია ელსონი, მეტსახელად მენდელი დააპატიმრეს.*



*მონია ელსონი ყოფილ ადვოკატთან ერთად.*

ელსონსა და მასთან ერთად დაპატიმრებულ, კიეველ ლეონიდ როიტმანს ბრალად ედებათ კიეველი ბიზნესმენების ვიაჩესლავ და ალექსანდრ კონსტანტინოვსკების მკვლელობის შეკვეთა.

საქმე FBI-ისა და უკრაინის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა ერთობლივად გამოიძიეს და გახსნეს. თავის დროზე კიშინიოვის მკვიდრი მონია ელსონი 1982 წელს ისრაელში ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის გაასამართლეს. 1995 წელს ის უკვე იტალიაში დააკავეს და ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულებას გადასცეს, სადაც მას რამდენიმე მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობასა და რეკეტში წაუყენეს ბრალი. ელსონმა თავი დამნაშავედ ცნო და მას სულ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სამი წლის წინ ის ციხიდან გამოვიდა და პოლიციის მკაცრი ზედამხედველობა დაუწესდა.

თავად ელსონმა მისთვის გამოტანილი აშკარად ლმობიერი განაჩენი იმით ახსნა, რომ სასამართლომ მის მიერ დახოცილი პირების ვინაობა გაითვალისწინა – ყველა მათგანი კრიმინალი იყო.

რაც შეეხება მეორე დაპატიმრებულს, სასამართლო დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ 36 წლის როიტმანს დიდი ხნის კავშირი აქვს ცნობილ რუსულ კრიმინალურ დაჯგუფებასთან – "სოლნცევსკისთან". მეტიც, მოპოვებული მასალების თანახმად, 90-იან წლებში ის აწ გარდაცვლილი ოლეგ ასმაკოვის (ალიკ მაგადანის) მარჯვენა ხელი იყო. ასმაკოვის ბანდას კი ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსიში ჩადენილი არაერთი გახმაურებული მკვლელობა და თავდასხმა ბრალდება, მათ შორის თავდასხმა თვით ელსონზე, რომელიც მაშინ მსუბუქი ჭრილობების მიღებით გადარჩა. თავდასხმისას კი ელსონის მეუღლეც და მისი თანამოსაქმეც დაიჭრნენ.

ელსონს მიაჩნია, რომ მასზე თავდასხმაში ძმები კონსტანტინოვსკებიც მონაწილეობდნენ და, როგორც კიევის პროკურატურა ირწმუნება, სწორედ ამიტომ სცადა მან ბიზნესმენი ძმების მკვლელობის შეკვეთა კიევში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ კონსტანტინოვსკები. თუმცა, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ელსონს პირადად არ შეეძლო კიევში ჩასვლა და ამიტომ როიტმანს დაუკავშირდა, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ბიზნესმენია და ხშირად უწევს ნიუ-იორკსა და კიევს შორის ფრენა.

პროკურატურის მონაცემებით, როიტმანი შარშან, წლის დასაწყისში კიევში შეხვდა პირს, რომლის ვინაობასაც გამოძიება არ ასახელებს და 100 ათასი დოლარის საფასურად კონსტანტინოვსკების ლიკვიდაციის თაობაზე მოელაპარაკა. მეტიც, გარდა ამისა, შემსრულებელს ის ძმების ქონების 5 პროცენტსაც დაჰპირდა – მთელი ქონების ხელში ჩაგდებას კი თავად როიტმანი და ელსონი აპირებდნენ. მაგრამ დაქირავებულმა მკვლელმა და მისმა პარტნიორმა შეკვეთა არ შეასრულეს და როიტმანისგან წინასწარ მიღებული 50 ათასი დოლარიც მიახარჯეს. შიშმა, რომ ელსონი და როიტმანი ამას არ აპატიებდნენ, ისინი სამართალდამცველ ორგანოებთან მიიყვანა. FBI-ის ცნობით, ახლა ორივე მათგანი მზად არის, ჩავიდეს ამერიკაში და ჩვენება მისცეს დამკვეთების წინააღმდეგ.

მანამდე კი, კონსტანტინოვსკების მკვლელობის შეკვეთის გამო საერთაშორისო გამოძიება დაიწყო. გამოძიების პროცესში უკრაინელმა სამართალდამცველებმა, სპეციალურად ელსონისთვის, ვიაჩესლავ კონსტანტინოვსკის მკვლელობის ინსცენირება მოახდინეს. შეკვეთის შესრულებისთვის ფულის გადასახდელად ელსონი ბრუკლინში, სავაჭრო ცენტრში ჩანთით მივიდა. ჩანთაში 30 ათასი დოლარი იდო – კიეველმა "ქილერებმა" ელსონს სთხოვეს, კუთვნილი ფულის მათი წარგზავნილის, ვინმე გენასთავის გადაეცა, რომელიც სინამდვილეში ნიუ-იორკის პოლიციის რუსულად მოლაპარაკე თანამშრომელი გახლდათ. პოლიციამ სახელგანთქმული ელსონი სწორედ ჩანთის გადაცემის მომენტში დააკავა.

*24 საათი*

# ეჭვმიტანილია ასლან აბაშიძის კრიმინალური დაკვეთების შესრულებაში

აჭარის პოლიციამ მკვლელობებსა და ყაჩაღობებში ეჭვმიტანილი დააკავა. ჯემალ ვერულიძე 1992-94 წლებში, აჭარის სასაზღვრო ჯარების მეთაური იყო. იგი თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების, გამოძალვისა და 30-მდე ადამიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. სამართალდამცავების მტკიცებით, ვერულიძე ასლან აბაშიძის კრიმინალურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა და უშუალოდ ახორციელებდა აბაშიძის კრიმინალურ შეკვეთებს. ვერულიძეს ასევე საკუთარი დისშვილის 16 წლის ვლადიმერ მოწყობილის მკვლელობაში სდებენ ბრალს. მის სახელს უკავშირდება ასევე ციური კაიკაციშვილის მძევლად გატაცება და წამება. ვერულიძეს 2004 წლის ორ ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების დროს, ბათუმში ერას ქუჩაზე ესროლეს. მას შემდეგ იგი ბათუმში აღარ გამოჩენილა. ჯემალ ვერულიძეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

*ინტერპრესნიუსი*

BP საქართველო-ს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

bp

საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგო კომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4 თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

•მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

•მიწის და მიწის რეგულირების საკითხები

•კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

•შესყიდვები

•ფინანსები და საბუღალტრო საქმე

მოთხოვნები

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.

განცხადების ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია - ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38

შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე

ტელეკრიტიკა

# მედია - როგორც ბრძოლის იარაღი თუ...?

## ოპონენტის გარეშე დარჩენილი ძლიერი ორატორები

ნინია კაკაბაძე



უკანასკნელი ორი კვირის სატელევიზიო დებატები განსხვავებული გახდა, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. ამას მრავალი მიზეზი აქვს, ერთ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს უარი დებატებში მონაწილეობაზე და მეორე შემთხვევაში - ოპოზიციის ლიდერებმა. ამ მიზეზების გამო თოქ შოუს ავტორებმა და წამყვანებმა სხვადასხვა სახის გამოსავალი იპოვეს. ხოფერია გადაცემაში "თავისუფალი თემა" ცვლის მთავარ თემას, ინგა გრიგოლია კი ერთ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენელთათვის განკუთვნილ სკამებს მათი სტუმრების გარეშე წარმოგვიდგენს, მეორე შემთხვევაში კი - პოლიტიკოსებისგან მთლიანად ათავისუფლებს შოუს და დარბაზს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებით ავსებს. ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ სატელევიზიო ფანჯრიდან, ხანმოკლე ჩართვის პირობებში ახერხებენ უპასუხონ წამყვანის და არა დარბაზში მსხდომთა კითხვებს. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე, უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე განსხვავებული სახის თოქ-შოუები იყო: 1. მხოლოდ ერთი მხარე, ცარიელი სკამების პირისპირ, 2. თემა, სადაც კამათის ობიექტის უბრალო გულშემატკივრები, პასუხისმგებლები და მონაწილეები უპირისპირდებიან ერთმანეთს და 3. პოლიტიკური განცხადების შეფასება საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკოსები ხანმოკლე ჩართვის მეშვეობით ცდილობენ პოზიციის დაფიქსირებას.

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე გაჩნდა განსხვავებული, სხვადასხვა სახის მოსაზრებები არსებულ თოქ-შოუებთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი მთლიანად მიესალმება ფორმას, სადაც გადაცემას არა საბრძოლო რინგის, არამედ მეტად კონსტრუქციული დიალოგის ან, თუ გნებავთ, მონოლოგების სახე აქვს. მეორე მხარე კი დაჟინებით მოითხოვს ისევ ცხარე დებატების "აღდგენას". ალბათ, მათი შენაცვლება დღევანდელ საქართველოში საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ვინაიდან უკანასკნელი კვირის განმავლობაში ბევრი სიახლის შესახებ გახდა ცხადი. ვეცდებით, ჩვენი მოსაზრებები ყოველი მათგანის, ანუ უკანასკნელი კვირის გადაცემების მეშვეობით გავაანალიზოთ.

**"პირველები",** სადაც უმრავლესობის ლიდერი, მაია ნადირაძე მოწინააღმდეგის გარეშე აღმოჩნდა და საპირისპირო მხარის პოზიციების თუ არგუმენტების გამოყენებას გადაცემის წამყვანი ცდილობდა. მაგრამ, ბუნებრივია წამყვანის მიერ დასმული კითხვები, ჟურნალისტური ეთიკის გათვალისწინებით, ვერ იქნებოდა ისეთი ფორმის და სიმწვავის, როგორც საპირისპირო ბანაკიდან, ნებისმიერი მოწინააღმდეგის. ამ, და არა მხოლოდ ამ გადაცემის მეშვეობით, აღმოჩნდა, რომ ყველაზე სუსტი ორატორი ყველაზე ძლიერი სწორედ კამათის დროს არის, სადაც ყველაზე საჭირო იარაღს, რომელსაც დემაგოგია ეწოდება, სათანადოდ ვერ იყენებენ. იგივე შეიძლება ითქვას გიგა ბოკერიასა და ლევან რამიშვილის თაობაზე, მხოლოდ სხვა გადაცემებში, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. მსგავსი შთაბეჭდილება შეიქმნა, საქართველოს პრეზიდენტის უკანასკნელი გამოსვლის შემდგომ, სადაც ის რამდენიმე უსუსური ჟურნალისტის პირისპირ, ყველაზე უსუსურად გამოიყურებოდა. აქედან გამომდინარე ჩნდება სრულიად ლოგიკური კითხვა, ხელს ხომ არ უწყობს მედია სუსტი პოლიტიკოსების "გაძლიერებას", ეს შეეხება, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლებს. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მედიას, როგორც ვირტუალური და ნატურალისტური ხელოვნების სინთეზს, აქვს შესაძლებლობა შექმნას წარმოსახვით-ვირტუალური პოლიტიკური პერსონები (შესაძლებელია არა მხოლოდ პოლიტიკური) და ამავე დროს წარმოგვიდგინოს მათი ნამდვილი სახე. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია, იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე სამყაროში ისტორიული ცვლილებები და ისტორიის აქტიური მონაწილეები მთლიანად მედიის მიერ მანიპულირებადი არიან.

კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად. ეკა ხოფერიას უკანასკნელი გადაცემა **"თავისუფალი თემა"**, მთავარი თემა – ცვლილებები საზოგადოებრივ ტელევიზიაში და გადაცემის მთავარი სტუმარი, საკვანძო ფიგურა ლევან რამიშვილი. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოების წევრი, სახელისუფლო უმრავლესობის ერთი ფრთის აქტიური მოკავშირე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებისთვის ცნობილი ორატორი, ძლიერი მოწინააღმდეგე ყველა ვერბალურ დაპირისპირებაში და ა.შ. და ა.შ. მთავარი სტუმარი მკვეთრად გამოხატულ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად სრულ მზადყოფნაშია. მისი მზადყოფნა სრულიად გამართლებული და მისაღებია, მისი მოწინააღმდეგე ამ შემთხვევაში რელიგიურ-ფანატიკური ჯგუფის წევრია, რომლის ბრალდებები, უნდა აღინიშნოს, რომ სრული უვიცობისა და არაჯანსაღი აზროვნების აშკარა შედეგია. მგრამ, ხდება ისე, რომ გადაცემის წამყვანი სრულ მზადყოფნაში არსებულ რამიშვილს, სტუდიაში არ ახვედრებს პირდაპირ ადრესატს. რაც სრულიად გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლობაში, დღეს შექმნილ სიტუაციაში წმინდა ხატების ჩამოხსნა-არჩამოხსნის, ჯოჯოხეთში დამზადებული რეპორტაჟების და სხვა ამ შინაარსის პრეტენზიები სრულიად არ არის საინტერესო და აქტუალური. ამიტომ, კამათის მცდელობა არასაგნობრივ თემაზე, ფასს და მნიშვნელობას კარგავს. მაგრამ, რა ქნას ცნობილმა და კომპეტენტურმა ორატორმა, რომელიც სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ არის მომზადებული?! შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ორგვარი გამოსავალია; ან ვიჩემებთ, ზემოხსენებული ფანატიკური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართულ თემას, ან კი უნდა დავიწყოთ არსებითი პრობლემების განხილვა. არსებითი პრობლემების განსახილველად მზად არ არის საზოგადოებრივი ტელევიზიის არც ერთი "მცველი", ამიტომ საკმაოდ მომზადებული მბრალდებლების წინააღმდეგ, რეალური არგუმენტების არქონის გამო, საკვანძო სტუმარს ისღა დარჩენია ამოიჩემოს პრობლემა და გადაამისამართოს სხვაზე. უფრო ნათელი რომ გახდეს ჩვენი საუბრის შინაარსი, დავაზუსტებ - ლევან რამიშვილი მთელი გადაცემის მსვლელობისას თითს უქნევს და რელიგიური ფანატიზმისთვის კიცხავს ადამიანს, (ნანა ზარდიაშვილს) რომელმაც გადაცემის დასაწყისში დანანებით აღნიშნა, რომ ის, სამწუხაროდ, რწმენაში საერთოდ არ იმყოფება. აქედან გამომდინარე, ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ დადგმული, წინასწარ მომზადებული დაპირისპირება, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არგუმენტირებული და მენტორული ტონით სრულდება, რეალური მოწინააღმდეგის გარეშე სასაცილო და უსუსური ხდება. ამიტომ, ეს უკვე მეორე მაგალითია, როდესაც, ამ შემთხვევაში, უმრავლესობის ერთი ფრთის არაოფიციალური წარმომადგენელი, სასტიკად მარცხდება მაყურებლის წინაშე და მომდევნო დღეებში მისი ნალაპარაკები, მხოლოდ ირონიულ შეფასებებს იწვევს. კიდევ ერთი მითი, რომელსაც მედია პოლიტიკოსების დახმარებით ანგრევს - ძლიერი, ორატორი პოლიტიკოსები, რომელთაც უარი განაცხადეს სატელევიზიო დებატებზე, ან კი უცაბედად აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგის გარეშე, გამოაჩინეს რეალური სახე და შესაძლებლობები.

დაბოლოს, უკანასკნელი პარასკევის **"რექცია":** დარბაზი პოლიტიკოსების გარეშე და ორი პოლიტიკური ჩართვა "ფორტოჩკიდან". თუკი პოლიტიკოსების ერთ შემთხვევაში ერთი, მეორე შემთხვევაში კი მეორე ფრთა უარს აცხადებს დებატებში მონაწილეობაზე, ხოფერია ცვლის თემას, გრიგოლია ცდილობს გადაცემა პოლიტიკოსების გარეშე გააკეთოს. მხოლოდ ორი "პოლიტიკური" ჩართვა მონოლოგის სახით. დაპირისპირება აქაც ჩაიშალა, ამიტომ არც ერთი მხარე, გარდა ერთიორი მკვეთრი რეპლიკისა, (დარბაზში) არ იყო მოსალოდნელად მძაფრი. პოლიტიკოსებმა კი ვერ აღმოაჩინეს მიწვეულ სტუმრებში აშკარა "მტრები", რომელნიც პასუხს სალარო, და არა საკასო აპარატების თაობაზე, ან კი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ, ამიტომ სნობური სინდრომით შეპყრობილი ერთი წარმომადგენლის, რომელიც შოუბიზნესის წევრის "მოყვრობას" ვერ ელევა და მეორე, უმრავლესობის კიდევ ერთი "დაუმარცხებელი" ოპონენტის გამოსვლა ერთნაირად სუმბურული, ტრაფარეტული და უკვე ანეგდოტად ქცეული პროპაგანდისტული პათოსით დასრულდა.

ერთი სიტყვით, უკანასკნელი ორი კვირის გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ ამგვარი დებატების არსებობა, სადაც არ არის დაპირისპირება და წარმოდგენილ სტუმრებს საშუალება ეძლევათ მოწინააღმდეგის გარეშე გამოხატონ საკუთარი პოზიციები თუ პრეტენზიები - აუცილებელია. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების მიერ შექმნილი მითების მსხვრევას, წარმოგვიდგენს პოლიტიკოსების მეორე, მაყურებლისათვის შედარებით უცნობ სახეს და საზოგადოებას საშუალება ეძლევა უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ მხარის რეალურ არგუმენტებსა თუ შესაძლებლობებზე. მაშინ, როდესაც გიორგი არველაძემ, მთელი უმრავლესობის სახელით ამაყად გამოაცხადა უარი სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე, მისი წარმატებისათვის გამიზნული ნაბიჯი, სატელევიზიო მედიამ წარუმატებელ მცდელობად აქცია. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ როგორც აუცილებელია ცხარე დებატების არსებობა, სადაც გარაჯვებული და დამარცხებული ვლინდება, ასევე აუცილებელია მონოლოგების ტიპის დანერგვა, იმისათვის რომ გამოვაჩინოთ უმრავლესობის, უმცირესობის თუ მათი მხარდამჭერების რეალური სახე. ასე, რომ თუკი არსებობს სრულიად გამართლებული მოსაზრება, რომ მედია პოლიტიკოსების საბრძოლო იარაღია, უკანასკნელ მაგალითებზე დაყრდნობით ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური მიმართულება შეიძლება აღმოჩნდეს მედიის ხელში, რომელსაც თავად მედია გამოიყენებს იარაღად.

# აჟიოტაჟი „არაფრის" გამო

თამარ მაისურაძე

**"ჩემი გოგონა ამ სკოლაში 3 მიზეზის გამო შევიყვანე: 1. ნორმალური მასწავლებლები და შედარებით მაღალი სწავლის დონე; 2. სკოლა ჩემს სახლთან ახლოსაა, და ბავშვებს ტრანსპორტი ემსახურება; ბავშვი 5 საათამდე სკოლაშია, ჩვენ კი სამსახურში ვართ...; 3. მე თვითონ ვმუშაობ ESM-ში..."** – ასე იწყება ინტერნეტ-საიტზე "თბილისის ფორუმი" ერთ-ერთი მშობლის მიერ დაწერილი ამბავი.

**"13 მარტს, ჩემ მეუღლეს დაურეკეს სკოლიდან და უთხრეს, რომ "ბავშმა თითი იტკინა". ლექცია შევწყვიტე და ნუცუბიძის ქუჩის ბოლოში მდებარე სკოლისაკენ გავექანე. ამ დროს ისევ დამირეკა მეუღლემ და მითხრა, რომ მასწავლებელს თურმე ჩემი შვილი საავადმყოფოში მიჰყავს... ჩემს გოგონას მარცხენა ხელი რაღაც ჩვრებით ჰქონდა გადახვეული, საიდანაც უხვად მოდიოდა სისხლი... მარცხენა ხელის დიდი თითის ფალანგა გადაჩეხილი იყო და რაღაც ნაფლეთზე ეკიდა...**

**აფხაზეთის ომში სამხედრო საველე ექიმი ვიყავი, ბევრი რამ მაქვს ნანახი. მაგრამ ეს იყო კოშმარული სანახაობა... ჩემს 7 წლის გოგონას ასეთი რამ დაემართა! ექიმებმა ბავშვს მიუკერეს ის, რაც თითისგან ფრჩხილის გარეშე დარჩა.**

**საქმე ის არის, რომ ჩემ შვილს რკინის კარში, პეტლების მხარეს თითი შერჩა, მეორე ბავშმა კი კარი მიხურა... რა უნდა მოქმედ რკინის კარს ცეკვის დარბაზში? ყველა კარი პეტლების მხარეს დამცავი ლენტებით უნდა იყოს დაფარული, რათა ბავშვს ამ გილიოტინაში შემთხვევით არ ჩაჰყვეს თითი, ხოლო კარებზე უნდა იყოს დაყენებული სპეციალური დამხურავი მოწყობილობები.**

**მეორე დღეს სკოლის დირექტორს ვეწვიე და პასიური უსაფრთხოების ზომების მიღება მოვითხოვე. მარინა დირექტორმა გამომიცხადა, რომ "ისედაც ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია".**

**პირველკლასელები სწავლის საფასურად, წელიწადში 1 400 ლარს იხდიან. აქედან მასწავლებლებს, უკეთეს შემთხვევაში, 200-300 ლარს უხდიან. ასე რომ, მხოლოდ ჩემი შვილის გადასახადიდან ანაზღაურებულია მასწავლებლის ნახევარი წლის ხელფასი. კლასში კი 20 ბავშვია. წიგნებს მე ვყიდულობ და ცეკვა-ხატვის ან სხვა წრეზე სწავლის საფასურს 14 საათის მერე ისევ მე ვიხდი. სად მიდის დანარჩენი ფული? ამ სკოლას ფინანსური გაჭირვება არ გააჩნია და ისმის კითხვა - რატომ არ არის დაცული ამ სკოლაში ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება? რატომ არ არის დამონტაჟებული კარებზე დამცავი ტექ-საშუალებები? რატომ არ იყო სკოლაში ექიმი, როდესაც მოხდა ეს ინციდენტი?**

**სამაგიეროდ, მარინა მიბედავს იმაზე ლაპარაკს, რომ მე თურმე თვითონ მოვაწერე ხელი კონტრაქტს!!!**

**გასაგებია, მოხდა უბედური შემთხვევა. ნუთუ არ უნდა იყოს მსგავსი ინციდენტი დეტალური განხილვის საგანი?"** – კითხვას სვამს 7 წლის გოგონას მამა.

მარინა დირექტორი, სკოლა-ლიცეუმ ESM-ის ხელმძღვანელი მარინა დეკანოიძე გახლავთ. **"ისეთი სკოლების ფუნქციონირებას, როგორიც სკოლა-ლიცეუმი ESM-ია, საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს. კარში თითის მოყოლისგან, არც სკოლაში და არც სახლში არავინაა დაზღვეული. ბავშვებისა და მათი მშობლების მიმართ რამდენად ვიჩენთ ყურადღებას, ეს შეგიძლიათ თავად მათ ჰკითხოთ. ეს გახლავთ აჟიოტაჟი არაფრის გამო, რადგან ბავშს ჭრილობა შეუხორცდა. ეჭვი ჰქონდათ, რომ თითის ძვალი გაბზარული იქნებოდა, მაგრამ არც ეს დადასტურდა. სკოლის დირექტორის ლაფში გასვრას არავის ვაპატიებ,"** – აცხადებს მარინა დეკანოიძე.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროს პოზიცია შემდეგია: **"ამ სამწუხარო ფაქტის შემდეგ დავუკავშირდით პატარა ბელას. საბედნიეროდ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ვიმედოვნებთ, რომ ბავშვის უფლებები ბოლომდე იქნება დაცული. პატარა ბელას მალე გამოჯანმრთელებას და მის თანატოლებთან დაბრუნებას ვუსურვებთ,"** – განაცხადა განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა მარიამ გერსამიამ.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კერძო, ან სახელმწიფო სკოლა, რათა მან ფუნქციონირებისთვის ლიცენზია მიიღოს – ამაზე განათლების სამინისტროს კომუნიკაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ შემდეგი პასუხი გაგვცა: **"კერძო სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს ერთადერთ პირობას, მოსწავლეს უნდა ასწავლოს გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით. მართალია, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლები მიიღებენ აკრედიტაციას, სადაც დამატებითი კრიტერიუმებიც იქნება შემოღებული, თუმცა, სამინისტრო მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას გააკონტროლებს. კერძო სკოლებში, მსგავსი, უბედური შემთხვევები ვერ იქნება ჩვენი ადმინისტრირების სფერო. რაც შეეხება საჯარო სკოლების დირექტორებს, რომლებსაც განათლების სამინისტრო ნიშნავს, მათ მოეთხოვებათ პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში კი ლაპარაკია კერძო დავაზე. ანუ მოხდა გარიგება, გაფორმდა ხელშეკრულება ორ კერძო პირს, - მშობელსა და ESM-ის ხელმძღვანელობის შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პასუხისმგებლობას მხოლოდ ეს უკანასკნელი იღებს."**

მოკლედ

### მინისტრი ნერვიულობის საფუძველს ვერ ხედავს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ლადო ჭიპაშვილმა გუშინ იაშვილის სახელობის კლინიკაში ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მოინახულა.

საავადმყოფოში მინისტრის ვიზიტი ორი დღის წინ გავრცელებულ ინფორმაციას უკავშირდებოდა, რომლის მიხედვით ლეიკემიით დაავადებული პატარა პაციენტებისთვის აუცილებლად საჭირო პრეპარატ ასპარგინოზას მარაგი ამოწურული იყო.

ლადო ჭიპაშვილმა პაციენტების მშობლები დაამშვიდა და აღნიშნა, რომ პრეპარატების შემოტანასთან დაკავშირებით, საბაჟოზე არსებული პრობლემები უკვე მოგვარებულია. ამ დროისთვის, საავადმყოფოში პრეპარატის 6-თვიანი მარაგი არსებობს და მკურნალობის კურსის შეფერხება არ მოხდება. **ინტერპრესნიუსი**

### მრგვალი ბაღის რეკონსტრუქცია

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ქველაძის ინფორმაციით, მრგვალი ბაღის რეკონსტრუქცია, დაახლოებით, თვენახევარს გასტანს. კეთილმოეწყობა ბაღი, დაირგვება ახალი ნერგები და, რაც მთავარია, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება პატარა უფლისწულის ქანდაკებას, რომლის ავტორია მოქანდაკე - ირაკლი ჟვანია. ირაკლი ჟვანიას განცხადებით, პატარა უფლისწულის ქანდაკება, რომელიც ერთი ცენტრალური და 6 მცირე ზომის (40 სმ სიმაღლის) ბრინჯაოს ქანდაკებებისგან შედგება, 2001-04 წლებში 2-ჯერ გაიძარცვა. მისივე თქმით, ბრინჯაოს ექვსივე ფიგურა ჯართის მიმღებ პუნქტში 36 ლარად იყიდებოდა, მაშინ, როდესაც თითოეული მათგანის დამზადება 700-800 დოლარამდე ჯდება. "სახელმწიფომ როგორმე უნდა დაარეგულიროს ჯართის მიმღები პუნქტების მუშაობა. იმ პერიოდში, როცა მე დაკარგულ ფიგურებს ვეძებდი, ამ პუნქტებში გამაოგნებელი სურათები ვნახე. მაგალითად, მთელი სასულე ორკესტრი, რომლის ინსტრუმენტები სულ რაღაც 20 ლარად იყიდებოდა, მაშინ როცა თითოეულის ფასი 2 000 დოლარს აჭარბებს. ფაქტია, რომ ჯართის მიმღები პუნქტების არსებობა, ქალაქში ქანდაკების და არა მარტო მათ არსებობას, უქმნის საფრთხეს. ქურდმა ელემენტარულად იცის, რომ მოპარული ნივთი გაეყიდება," - განუცხადა ირაკლი ჟვანიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თბილისი არ დაიტბორება

გაზაფხულზე შესაძლო წყალდიდობას თბილისის ქუჩები გადაურჩება. დედაქალაქის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი კობა სუბელიანი აცხადებს, რომ თბილისის სანიაღვრე სისტემა გამტარუნარიანია და მზადაა დიდი რაოდენობით წყლის გასატარებლად. მისივე თქმით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მუხიანში, სადაც სანიაღვრე სისტემა საერთოდ არ არსებობდა. ასევე პრობლემები იყო სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებით ვარკეთილსა და ვაზისუბანში. გზის საფარის შეცვლის პერიოდში ამ უბნებში დამონტაჟდა სანიაღვრე სისტემებიც, რაც ქუჩაში წყლების დაგროვების შანსს ამცირებს. "ასე რომ, დედაქალაქი გაზაფხულის დიდ წვიმებს მომზადებული შეხვდება," - აცხადებს კობა სუბელიანი. **ჯი-ეიჩ-ენი**



ფიგურული სრიალი

# ელენემ მსოფლიო ათეულს ჩაუსრიალა

გიგა გურასაშვილი



*ტურინის ოლიმპიური თამაშებიდან ერთი თვეც არ გასულა, რომ ფიგურული სრიალის დიდოსტატებსა თუ ახალბედებს კალგარის მსოფლიოს ჩემპიონატზე სრიალი მოუწიათ. თუ აქამდე სპორტის ქართველი გულშემატკივრისთვის ფიგურულ სრიალს უფრო თავშესაქცევი დატვირთვა ჰქონდა, ელენე გედევანიშვილის გამოჩენის შემდეგ, მან წმინდა სპორტული დატვირთვაც შეიძინა. ელენემ პირველად თავი დაგვამახსოვრა წლეულს ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად მეხუთე ადგილი დაიკავა და ოლიმპიური თამაშებისთვის მადაზეც მოგვიყვანა. პატარა ქართველმა ტურინში მოკლე პროგრამაში დაკავებული მეხუთე ადგილის შემდეგ უფრო გაგვიმძაფრა თუ ჩაგვისახა იმედი. მართალია, თავისუფალ პროგრამაში დაშვებულმა შეცდომებმა ქართველი მოციგურავე საბოლოოდ მეათე ადგილზე გაამწესა, მაგრამ უმთავრეს ასპარეზობაზე, ამასთან, თამაშების ყველაზე პატარა მონაწილისგან მსოფლიო ელიტაში შესვლაც რომ უდიდესი წარმატება იყო, ამაზე ენა არავის მობრუნებია. ოლიმპიური წარმატების შემდეგ, გედევანიშვილისგან კალგარიში კიდევ უკეთეს შედეგს ველოდით, მაგრამ…*

ოლიმპიური თამაშების შემდგომი პირველი უმსხვილესი საერთაშორისო ასპარეზობა რომ ტურინული შტრიხებით ჩაივლიდა, აშკარა იყო. ისიც ცხადი იყო, რომ კალგარიში ასპარეზობისგან თავს შეიკავებდა საუკეთესო მოციგურავეთა ერთი ნაწილი, რომლებმაც შესვენება გამოაცხადეს, ანაც ტურინის თამაშების შემდეგ სამოყვარულო სპორტში კარიერის დასრულება გადაწყვიტეს. აქედან გამომდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით მეტმა ახალგაზრდამ იასპარეზა. ერთი სიტყვით, თაობათა ცვლასთან გვაქვს საქმე. თავად განსაჯეთ, კალგარიში არც ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს არ უასპარეზია. მეტიც, იმ რუს მოციგურავეთაგან, რომლებმაც ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე მედლები მოიხვეჭეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე უარი თქვეს. მათ შორის, ტატიანა ტოტმიანინასა და მაქსიმ მარინინის ოლიმპიურ ჩემპიონთა წყვილმა, ისევე როგორც ტატიანა ნავკასა და რომან კოსტომაროვის მოცეკვავეთა დუეტმა, რომელმაც ასევე გაუსინჯა გემო ტურინულ ოქროს. ისიც ვთქვათ, რომ ტოტმიანინამ, მარინინმა და ნავკამ ტურინის შემდეგ სამოყვარულო სპორტიდან წასვლა გადაწყვიტეს.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოს პირველობა მაინც ძალზე დაძაბული გამოდგა.

ეს რაც შეეხებოდა ზოგად სურათს, ჩვენთვის კი, რა თქმა უნდა, ქალთა ერთეულთა თანრიგი იყო მნიშვნელოვანი, სადაც ელენე გედევანიშვილმა იასპარეზა. ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შედეგების გათვალისწინებით ელენესგან კანადურ ყინულზე მეტს ველოდით, მაგრამ არც ისაა ურიგო შედეგი, რომელსაც ქართველმა მოციგურავემ მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის მე-14 ადგილიც მიუთითებს იმაზე, რომ გედევანიშვილი სტაბილურად ასპარეზობს. ანუ ტურინული მე-10 ადგილი შემთხვევითობა არ იყო.

კალგარიშიც, ისევე როგორც ტურინში, ელენემ მოკლე პროგრამაში უკეთ ისრიალა, ვიდრე თავისუფალში. სავალდებულო პროგრამაში მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო თავისუფალში დაშვებული თვალშისაცემი შეცდომებით - მე-17. ორივე პროგრამის ჯამში კი მე-14 ადგილით დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატი.

ახლა იმათზეც, ვინც გედევანიშვილს უწევდა მეტოქეობას.

16 წლის ამერიკელი კიმი მეისნერმა, რომელსაც ქართველის მსგავსად დებიუტი ჰქონდა მსოფლიოს პირველობაზე, უახლოეს მდევარს იაპონელ ფუმი სუგურის თითქმის ცხრა ქულით აჯობა და დამსახურებულადაც მოიპოვა ჩემპიონობა.

"აშკარად საუკეთესოდ ვიასპარეზე. ყოველივე ძალზე ამღელვებელია და სასაცილო, რადგან შარშან მსოფლიოს ჩემპიონატს მაყურებლის სტატუსით ვუცქერდი, ახლა კი კვარცხლბეკზე ვდგავარ. შარშან საკმარისად დიდი არ ვიყავი საიმისოდ, რომ მსოფლიოზე გამოვსულიყავი, - ვითარებაში გვარკვევს მეისნერი. არაერთხელ მსმენია, რომ ზენიტში ყოფნა უფრო რთულია, მაგრამ მართალი გითხრათ, არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა მომავალში მეც მომიწევდა, რადგან ამას დღეს მივაღწიე!

…ბრინჯაოც ამერიკელის საშა კოენის საკუთრება გახდა, რომლისგანაც, ისევე როგორ ტურინში, კალგარიშიც ჩემპიონობას ელოდნენ. ასეთ მოლოდინს ისიც ამძაფრებდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი იაპონელი შიძუკი არაკავა და წინა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული რუსი ირინა სლუცკაია ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ. ყოველივეს გათვალისწინებით კი ტურინული ვერცხლის მფლობელი 21 წლის კოენი ითვლებოდა გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად. მეტიც, ფაქტობრივად იგივე ისტორია განმეორდა, რაც ტურინში, როდესაც მოკლე პროგრამაში საუკეთესო ქულათა მარაგი მოიხვეჭა, მაგრამ თავისუფალში ამგვარი უპირატესობა ველარ შეინარჩუნა.

**მსოფლიოს ჩემპიონატი. კალგარი, კანადა**

**ქალები:**

| | |
|---|---|
| 1. კიმი მეისნერი (აშშ) | 218,33 |
| 2. ფუმი სუგური (იაპონია) | 209,74 |
| 3. საშა კოენი (აშშ) | 208,88 |
| 14. ელენე გედევანიშვილი (საქ.) | 164.92 |

**სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვისათვის 2006 წლის 21 თებერვალს გამოცხადებული ტენდერის შედეგები:**

| | |
|---|---|
| **ლოტი N1 -** მაგიდა | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N2 -** თარო | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N3 -** კარადა | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N4 -** კარტოთეკის კარადა | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N5 -** ცეცხლგამძლე კარადა | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N6 -** რბილი სავარძელი | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N7 -** სკამი | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N8 -** სამზარეულოს მაგიდა სკამებით | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N9 -** ტუმბო | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N10 -** დახლი | გამარჯვებული: შპს "ჯეოსტილი" |
| **ლოტი N11 -** სკამები მოსაცდელი დარბაზისათვის | გამარჯვებული: შპს "ოფის 1" |

ფეხბურთი

# დუვალისტური მმართველობა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-20 ტურმა ოქროს მედლებისთვის ბრძოლას დამატებითი ინტრიგა შესძინა. ცენტრალურ შეხვედრაში, რომელიც მცხეთაში, სტადიონ "არმაზზე" გაიმართა, გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" წაიბორძიკა. ამით ისარგებლეს უშუალო კონკურენტებმა - თბილისის "დინამომ" და ბოლნისის "სიონმა", რომლებმაც პროგნოზირებად გამარჯვებებს უწიეს და, დროებით მაინც, ოქროს მედლებს "ბურუსის ფარდა" ჩამოაფარეს.

მატჩი საქართველოს ძველ დედაქალაქში მართლაც უკომპრომისოდ და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა, რაც მოულოდნელი არავისთვის იყო. მას შემდეგ, რაც თანამედროვეობის საუკეთესო ქართველ მწვრთნელს, თემურ მახარაძეს ერთპიროვნულად მიანდეს "ზესტაფონის" მართვა, ეს გუნდი შესაშურ შედეგებს აღწევს და თამაშს თამაშზე იგებს. რაც მეორე წრე დაიწყო, ამ გუნდმა სამ ტურში ორი გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ერთი მატჩი დაასრულა ფრედ. საყაიმო შედეგით მახარაძის შეგირდებმა თბილისის "დინამოსთან" გასვლითი თამაში დაამთავრეს. ვეტერინარებს კი, ქულა რომ ქულაა, მეორე წრეში ისიც არ ჰქონდათ დაკარგული – 3 თამაშში 9 ქულა – მართლაც შესაშური შედეგია. შესაბამისად, წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება უმადური საქმე იყო, რაც თამაშმა სრულიად დაადასტურა. 84 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავი ბრძოლა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ფეხბურთელებისგან მატჩში, რომლის ძირითადი მოვლენები მეორე ტაიმის ბოლო ათ წუთში განვითარდა. დიახ, 84-ე წუთამდე ანგარიში ნულით ნული იყო და ზესტაფონელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, გოგი ფიფიას შედეგიანი დარტყმა სტადიონზე შეკრებილთა დიდმა ნაწილმა "3-ქულიანად" მიიჩნია. თუმცა ვიტელებმა სულ რაღაც ორ წუთში აღადგინეს ანგარიშში თანაფარდობა (იმედაშვილი) და უკვე ალბათ მართლაც ველარავინ იფიქრებდა, რომ დარჩენილ ორიოდ წუთში კიდევ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდებოდა. და მაინც, მსაჯის მიერ კომპენსირებულ წუთებში ვეტერინარებმა ვერ მოთოკეს ნერვები, საკუთარ საჯარიმოში წესი დაარღვიეს, და პენალტის სახით ბრწყინვალე საჩუქარი უძღვნეს იმერლებს. თერთმეტმეტრიანის შესრულება ზესტაფონელთა საუკეთესო თავდამსხმელმა, ვეტერანმა იონანიძემ ითავა და მისი დარტყმა ზუსტი გამოდგა. საბოლოოდ, სტუმრებმა იმარჯვეს ანგარიშით 2:1 და გარდა იმისა, რომ ლიდერს მეტად საჭირო ქულები დააკარგინეს, თავადაც ლიდერთა მარაქაში გაერივნენ.

ბოლნისის "სიონმა" სოხუმის "დინამოს" უმასპინძლა და, ერთი შეხედვით, დიდად არ უნდა გასჭირვებოდა აუტსაიდერის დამარცხება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, აუტსაიდერები გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევას ლამობენ და თვითგადარჩენის ინსტინქტი მათ ლიდერებთანაც კი უშელავათო ბრძოლისკენ უბიძგებს. ამჯერადაც ასე მოხდა. მართალია, კახა ცხადაძის შეგირდებმა დაგეგმილი სამი ქულა მაინც მოიპოვეს, მაგრამ ამისთვის დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ. საგრძნობი სათამაშო, ტერიტორიული უპირატესობის და სოხუმელთა კართან შექმნილი არაერთი სახიფათო მომენტის მიუხედავად, "სიონმა" მხოლოდ ერთხელ შეძლო გოლის გატანა. ეს მეორე წრეში გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, მიკუჩაძემ გააკეთა. მოპოვებული გამარჯვების წყალობით, "სიონი" ქულებით წამოეწია "ვიტ ჯორჯიას" და სატურნირო ცხრილში დუვალისტური მმართველობა დამყარდა.

ასევე, ბრძოლის გადატანა მოუწია "ოქროს" კიდევ ერთ მაძიებელს – თბილისის "დინამოს". ჩერნიშოვის გუნდიც აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ "ცხინვალს" სტუმრობდა. მართალია, მეგრელაძემ უკვე 36-ე წუთზე დააწინაურა "დინამო", მაგრამ შიდაქართლელები მხოლოდ 90-ე წუთზე გატყდნენ, როცა მათ კარში მეორე გოლი ბობოხიძემ გაიტანა. ამ გოლმა ჩერნიშოვს და კომპანიას შვებით ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

აღსანიშნავია "ბორჯომის" ახალწვეული ლეგიონერის, გონსალოს ორი გოლი, რისი წყალობითაც "ბორჯომმა" 2:0 დაამარცხა "თბილისი" და მე-6 პოზიციაზე მყარად დამკვიდრდა.

**მე-20 ტური**

| | |
|---|---|
| ტორპედო – კოლხეთი | 0:0 |
| ბორჯომი – თბილისი | 2:0 |
| ამერი – დილა | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი | 1:2 |
| ცხინვალი – დინამო (თბ) | 0:2 |
| სიონი – დინამო (სხ) | 1:0 |
| ლოკომოტივი – დინამო (ბთ) | 1:2 |
| სპარტაკი – კახეთი | 0:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 20 | 15 | 3 | 2 | 39-12 | 48 |
| სიონი | 20 | 15 | 3 | 2 | 38-14 | 48 |
| დინამო (თბ) | 20 | 13 | 3 | 4 | 34-13 | 42 |
| ამერი | 20 | 13 | 2 | 5 | 27-13 | 41 |
| ზესტაფონი | 20 | 12 | 4 | 4 | 28-16 | 40 |
| ბორჯომი | 20 | 13 | 1 | 6 | 34-17 | 37 |
| დინამო (ბთ) | 20 | 10 | 5 | 5 | 25-15 | 35 |
| ლოკომოტივი | 20 | 11 | 4 | 5 | 31-19 | 34 |
| კოლხეთი | 20 | 7 | 4 | 9 | 16-21 | 25 |
| კახეთი | 20 | 7 | 2 | 11 | 19-27 | 23 |
| დილა | 20 | 5 | 3 | 12 | 21-27 | 18 |
| ცხინვალი | 20 | 5 | 3 | 12 | 18-38 | 18 |
| ტორპედო | 20 | 4 | 6 | 10 | 14-26 | 17 |
| დინამო (სხ) | 20 | 3 | 2 | 15 | 17-45 | 11 |
| სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 4-33 | 11 |
| თბილისი | 20 | 1 | 2 | 17 | 12-40 | 5 |

ცხენოსნობა

# მეშვიდეც გამოჩნდა!

ნოდარ ებრალიძე



*გიორგი აფციაურს პრიზს გადასცემს კახაბერ კიკიანი.*

ცხენოსნობის ხელოვნების დაუფლება შეუძლებელია აღმზრდელის, შუამავლის გარეშე! - წერს მე-20 საუკუნის ცნობილი გერმანელი მწვრთნელი ვილჰელმ მიუზერელი. ეს კარგად იცის ყოველმა მხედარმა, ვისაც თავისი ცხოვრების რაღაც მონაკვეთზე კავშირი ჰქონია საცხენოსნო სპორტთან. ოსტატისა და მოწაფის ურთიერთობის მნიშვნელობა, ცხადია, სპორტის ნებისმიერი სახეობისთვის ნიშანდობლივია, მაგრამ ცხენოსნობაში, როცა მათ შორის მესამე სულიერი დგას, ეს კავშირი უფრო რთული და ფართო მასშტაბისაა.

"ცხენოსნობაში ბედნიერი გამონაკლისია, როცა მწვრთნელი თანაბრად ფლობს ბედაურისა და მხედრის აღზრდის საიდუმლოებას..." - ეს უკვე ჩვენი დროის მხედარმა და აღმზრდელმა, ოჩამჩირის საცხენოსნო კლუბის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ნარმანიამ მითხრა 2000 წლის აპრილში, როდესაც დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე პირველად გათამაშდა იმ წელს გარდაცვლილი გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის ავთანდილ კიკიანის მოსახსენებელი პრიზი. ავთანდილი სენაკის საცხენოსნო კლუბის აღზრდილი იყო. ჯერ ბალღობიდან მარულით დაიწყო; შემდეგ ეროვნულ სახეობებში უმშვენებდა მხარს ვეტერანებსა და თანატოლებს. თბილისის საცხენოსნო ბაზაში კლასიკურ ცხენოსნობაში - სამჭიდსა და ცხენის გაწვრთნილობაში დაოსტატდა; 1978 წელს კი 45 წლის მოწიფული მხედარი ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და საერთოდ, რვა წლის მანძილზე იყო საერთაშორისო ასპარეზზე იმ ქვეყნის ერთი უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი ნაკრები გუნდის წევრი.

ავთანდილ კიკიანის მხედრული მადლი დიდხანს გაჰყვება თაობებს. თვით გარდამავალი პრიზი კი აშშ-ის მოქალაქეების, ცოლ-ქმარ ელენე რომან-პოგორჟელსკაიასა და გრიგორი გოლოსოვის დაწესებულია. გოლოსოვი გამოცდილი კონკურისტი იყო. ხოლო ელენე თბილისში ავთანდილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა გაწვრთნილობის (იმავე - ცხენოსნობის უმაღლესი სკოლის) ურთულეს ხელოვნებას: "8 თვის მანძილზე ჩემი ახალი მაესტროს ხელმძღვანელობით ბევრად ავიმაღლე მხედრული კლასი. ამას ვერასოდეს დავივიწყებ. გვიხარია, რომ ქართველ ცხენოსნებს ავთანდილ კიკიანის ხსოვნის პრიზს ვუტოვებთ, რომელზეც ყოველ წელს აღიბეჭდება ამ მემორიალში გამარჯვებულის სახელი..."

გუშინდელ ასპარეზობამდე უკვე 6 მხედარი იყო ამ პრიზის მფლობელი. პირველად ავთანდილის ვაჟმა კახაბერმა გაიმარჯვა. წლევანდელ ტურნირში ადრე გამარჯვებულთაგან ოთხნი მონაწილეობდნენ - 38 წლის კახაბერ კიკიანი, ჩემი ღრმა რწმენით დროებით დაეთხოვა აქტიურ სპორტს, ზაზა ჩიტრეკაშვილი ცხენის დაკოჭლების გამო ველარ გამოვიდა. დანარჩენები კი ჩვენი მოქმედი მხედრების გუნდის ძირითადი წევრები არიან და ამიტომაც ასეთი კითხვაც გასდევდა დელისის ღია საკონკურო მოედანზე გამართულ ასპარეზობას: კვლავაც ახალი გამარჯვებული შეემატებოდა წინა ექვსეულს, თუ ამჯერად რომელიმე გაიმეორებდა ადრინდელ წარმატებას?

ეს კითხვა მემორიალის პირველ კონკურსზევე ("სისწრაფე და მართვა") გამოიკვეთა, როდესაც გიორგი აფციაური (ჟოკეიკლუბი, "ფანდური") ლიდერთა სამეულში მოხვდა (მათ თითო დაბრკოლება დააზიანეს). დამატებით ხტომებშიც ამ სამეულმა იგივე შედეგი გაიმეორა, მაგრამ აფციაური დროით ჩამორჩა, ხოლო გიორგი სამხარაძემ და ცოტნე ლაბაშიამ მძაფრ ორთაბრძოლაში, სადაც იგრძნობოდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდა მხედრებმა ალღო აუღეს თანამედროვე სწრაფი კონკურის სპეციფიკას, პირველი ადგილი გაიყვეს. ახალგაზრდა ცხენების ეს კონკური (110 სმ) უჯარიმოდ მოიგო შალვა გაჩეჩილაძემ ("გედი") მეორე და მესამე ადგილები სხვადასხვა ცხენებით დაიკავა როინ მარგიანმა (ცხენოსანი ესკადრონი, "ზეცა", "ხედი").

საკუთრივ "ავთანდილ კიკიანის თასის" გარდამავალი პრიზის ახალი მფლობელი კონკურსს უნდა გამოევლინა. აქვე განვმარტავთ, რომ "თასი" დაბრკოლებათა გადალახვაში აღნიშნავს ასპარეზობის სხვადასხვა სიძნელის ერთ-ერთ ძირითად სახეობას, რომელსაც ბარიერების განლაგების მონახაზის გამო ეწოდება ეს სახელი და მას უძღვის კონკრეტული განსაზღვრება ასაკობრივი მიჯნის, რეგიონის, ქვეყნის, ქალაქისა თუ პიროვნების მინიშნებით.

გუშინდელ ნაწვიმარ მოედანზე 130 სმ სიმაღლე საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა საგაზაფხულო კონკურისთვის. მით უფრო სასიხარულოა, რომ პრიზს ამჯერადაც (მეშვიდედ) ახალი მხედარი - "ჟოკეიკლუბის" სპორტსმენი გიორგი აფციაური დაეუფლა (4 საჯარიმო ქულა - "ფანდური"). გამარჯვებული საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია. მეორე ადგილზე გიორგი სამხარაძე გავიდა (-8; "პეპელა"), მესამეზე შალვა გაჩეჩილაძე (-12; "ასპარეზი").

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ**

შპს "კანარგო დეველოპმენტი"-ს ადმინისტრაცია იწვევს სამშენებლო ორგანიზაციებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერის ობიექტი: "ნავთობპროდუქტების ბაზის რეკონსტრუქცია-განვითარება".

მისამართი: ქ. თბილისი, ლილო, იუმაშევის ქ. N 23.

სამუშაოების დაწყების სავარაუდო ვადაა 2006 წლის 1 მაისი.

იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები 2 (ორი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 მარტიდან 2006 წლის 5 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 46/50.

მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა). იურიდიული პირის რეკვიზიტები - მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;

ბ). სასამართლოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გ). ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან) და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან);

დ). ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**დამატებითი მოთხოვნები:**

ა). ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ). ინფორმაცია ანალოგიური პროექტების განხორციელების შესახებ.

გ). ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება (საბანკო გარანტია).

- ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლიარად: ერთი ეგზემპლიარი - ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლიარი - ქსეროასლის სახით;

- იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ზემოაღნიშნულ ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის შერჩევა მოხდება 2006 წლის 5 აპრილს. შერჩევის შედეგები საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს ეცნობებათ წერილობით.

2. პირებს, რომლებმაც გაიარეს საკვალიფიკაციო შერჩევა, 2006 წლის 6 აპრილიდან 8 აპრილის 18 სთ-მდე გადაეცემათ პროექტის ელექტრონული ვერსია და შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი სამშენებლო-სამონტაჟო მოცულობების მითითებით. ტენდერში მონაწილე პირი ვალდებულია შეავსოს ხარჯთაღრიცხვის ფორმა, შეადგინოს სამუშაოთა წარმოების გეგმა სამშენებლო ვადების მითითებით და წარმოადგინოს ხელშეკრულების შევსებელი ფორმა.

შენიშვნა: მონაწილეს ეძლევა საშუალება, პროექტის განხილვისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავების სტადიაში დააფიქსიროს შესაძლო საპროექტო ხარვეზები ან უზუსტობები და წარმოუდგინოს სატენდერო კომისიას წინადადებებისა და ანგარიშის სახით სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს დამკვეთის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას ტენდერის სხვა პირობებთან ერთად.

მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადება გამარჯვებული პირის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულების გაფორმების დროს.

პუნქტ 2-ში აღნიშნული დოკუმენტაციის (ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა, ხელშეკრულების ფორმა) წარმოდგენა ტენდერის მონაწილეებს ევალებათ 2006 წლის 19 აპრილის 1700 საათამდე ორ ეგზემპლიარად, დალუქულ კონვერტში მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. N 46/50.

2006 წლის 19 აპრილის 1700 საათზე სატენდერო კომისია განიხილავს მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს მათივე თანდასწრებით. მონაწილეებს საჯაროდ განეცხადებათ მათ მიერ წარმოდგენილი მასალების შინაარსი. კონვერტების გახსნის შემდეგ დაგვიანებული პირების მიერ წარმოდგენილი მასალები კომისიაში განსახილველად არ მიიღება.

3. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

ტენდერის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ მონაწილეებს 2006 წლის 23 აპრილს.

**გამარჯვებულ პირს გადაეცემა პროექტის 1 (ერთი) ეგზემპლიარი.**

4. დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების გაფორმების სავარაუდო ვადაა 2006 წლის 25-დან 28 აპრილამდე.

**საკონტაქტო ტელეფონები: 33-46-60; (77) 41-27-25.**
**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ე. მამალაძე**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **bjojua@potiseaport.com,** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს ფოთის საზღვაო ნავსადგურის შემოსასვლელი არხისა და ნატანდამჭერი ხაფანგის სარემონტო დასაღრმავებელი სამუშაოების შესყიდვაზე.

2. ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა - ფსკერდასაღრმავებელი კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.

2.1 ფსკერდასაღრმავებელი კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარების სასურველი ვადაა: არაუმეტეს 6 ექვსი (თვისა).

3. შესასრულებელ სამუშაოთა ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და პირობები

3.1 შემოსასვლელი არხი საერთო სიგრძით 1600მ, მათ შორის I მუხლი სიგრძით - 950მ, ქვედა კიდეებს შორის სიგანით - 100მ; II მუხლი სიგრძით - 650მ, ქვედა კიდეებს შორის სიგანით - 50მ; სიღრმე - 12,5მ;

3.2 ნატანდამჭერი ხაფანგი "-650"-დან "+400" პროფილამდე; მაქსიმალური სიგანე - 115მ; სიღრმე - 12,5 მ;

3.3 შემოსასვლელი არხის მთლიან მონაკვეთზე მცურავი ერთეულების მოძრაობა არის ერთ მიმართულებიანი;

3.4 საანგარიშო დონე - ფოთის ნავსადგურის "0" - დან;

3.5 შემოსასვლელ არხში აფეთქების საშიშროება არ არის;

3.6 წინასწარი მოცულობა დასაღრმავებელი სამუშაოებისა შეადგენს - 500 000მ3 (მოცულობა დამატებით დაზუსტდება სამუშაოების დაწყების წინ);

3.7 მოსახსნელი გრუნტის დასაშვები უთანაბრობის სისქე - 0,3მ (დამატებით დაზუსტდება მცურავი საშუალების არჩევის შემდეგ - მრავალჩამჩიანი მიწახაპია, მიწისმწოვი);

3.8 დასაშვები ცდომილება

- სიღრმეზე 0,3 - 0,5 მ.
- სიგანეზე 2,0 მ მუშა ჭრილის ორივე მხარეს;
- დასამუშავებელი ფერდის დახრა - 1:6;

3.9 ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან (დამცავი მოლო) მიახლოების საზღვარი არა უმცირეს 30მ;

3.10 ამოსაღები გრუნტის დასახელება - მტვერისებრი ქვიშა, ქვიშნარი;

3.11 გრანულომეტრული კლასი და გრუნტის ჯგუფი - III; 3-მ;

3.12 მანძილი ნავსადგურის შესასვლელიდან დადგენილ წყალქვეშა გრუნტსაყარამდე (კანიონი) შეადგენს - 2კმ;

3.13 გრუნტის დაყრა უნდა განხორციელდეს წყალქვეშა (კანიონი) საყარის ფარგლებში;

3.14 მცურავ საშუალებებს (მრავალჩამჩიანი მიწახაპია, მიწისმწოვი) უნდა გააჩნდეს "ლოიდი"-ს რეგისტრის დოკუმენტაცია;

4. კონკურსში მონაწილეო ორგანიზაციას სამუშაოების ჩასატარებლად უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის აღჭურვილობა:

4.1 სარემონტო დასაღრმავებელი სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მცურავი საშუალებათა ქარავანის კომპლექტაცია შესაბამისი ტიპის მიწახაპიით ან მიწისმწოვით, შემოსასვლელი არხისა და ნატანის დამჭერის აუცილებელი გაბარიტების უზრუნველსაყოფად.

**5. სამუშაოთა წარმოების განსაკუთრებული პირობები:**

5.1 ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია შემსყიდველის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე საკუთარი ძალებით ამუშავებს სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ნაოსნობის უსაფრთხოებას, ტექნიკური უსაფრთხოების წესებს, სახანძრო უსაფრთხოებასა და შრომის დაცვას.

6. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე, **(რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი)** თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული კანცელარია.

**7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**

7.1 იურდიული პირებისათვის;

**საქართველოში რეგისტრურებული კომპანიებისათვის:**

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო **მსჯავრდადებული. (ან მისი ხელმძღვანელი იყო თუ არა მსჯავრდებული).**
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა ტენდერში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)
- მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.
- უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს სახეობა | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

- სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მცურავი საშუალებებისა და მექანიზმების ჩამონათვალი.

| N | მცურავი საშუალებებისა და მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |

- ტენდერში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| N | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |

**- "მიმწოდებელ" ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ფსკერდასაღრმავებელი სამუშაოების წარმოების ლიცენზია;**

**- მცურავი ერთეულის ეკიპაჟს უნდა გააჩნდეს სამუშაოთა წარმოების სათანადო კვალიფიკაცია;**

**- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას სასურველია ჰქონდეს საერთაშორისო ხარისხის სტანდარტის სერთიფიკატი.**

**8.** იურდიული პირი ვერ გაივლის შერჩევას (საკვალიფიკაციო მონაცებები და სატენდერო წინადადება) თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

10. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის 10 აპრილიდან 12 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

11. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 21 აპრილის 1700 საათამდე განცხადების მე-6 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

12. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

14. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

16. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

17. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: მობილიზაციის ვადებსა და შესასრულებელი სამუშაოების ხანგძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს, მიმწოდებლის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, სამუშაოების ღირებულებას 1მ3 ამოსაღებ მოცულობაზე და მთლიანად ხელშეკრულების შესაბამისად.

18. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ - ბესარიონ ჯოჯუასაგან ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48), ელ ფოსტა: bjojua@potiseaport.com, ხოლო სამუშაოების ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ ხოხობაიასაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს დირექტორი წარმოებისა და ექსპლუატაციის დარგში ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-02 მობ/ტელ: 8(99) 57-01-03, ელ. ფოსტა: contact@potiseaport.com ან admin@potiseaport.com ასევე გენადი კაჭაროვსკისაგან (ჰიდროტექნიკური და საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების უფროსი) ტელ: (+995 393) 7-01-35 ელ. ფოსტა: g-kacharovski@Yahoo.com ნ. ნიკოლაძის მოედანი N1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

საკანცელარიო საქონლის შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტის შესაბამისად:

**ლოტი N1**
**საკანცელარიო საქონელი**

| ლოტი N | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1.01 | ბაინდერი დიდი A-4 ფორმატის | ცალი | 2042 |
| 1.02 | ბაინდერი პატარა A | ცალი | 238 |
| 1.03 | საბეჭდი ქაღალდი A-4 (500ფ.) 80/გ/მ$^2$ | შეკვრა | 5765 |
| 1.04 | საბეჭდი ქაღალდი A-3 (500ფ.) 80/გ/მ$^2$ | შეკვრა | 50 |
| 1.05 | საწერი ქაღალდი(150ფ)-A-4 60/გ/მ$^2$ | შეკვრა | 1856 |
| 1.06 | კონვერტი A-4 | ცალი | 36719 |
| 1.07 | კონვერტი A-5 | ცალი | 32589 |
| 1.08 | კონვერტი დიპლომატიური | ცალი | 25213 |
| 1.09 | ფაილი (100ც.) A-4 | შეკვრა | 981 |
| 1.10 | მშრალი წებო 8 გრამიანი. | ცალი | 914 |
| 1.11 | მელანი (ბეჭდის) | ცალი | 48 |
| 1.12 | ბეჭდის ბალიში | ცალი | 28 |
| 1.13 | საკანცელარიო ჯამი (ფერადი) | ცალი | 252 |
| 1.14 | სკრეპი დიდი | ყუთი | 1683 |
| 1.15 | სკრეპი პატარა (N3) | ყუთი | 654 |
| 1.16 | ბლოკნოტი A5 | ცალი | 289 |
| 1.17 | ჩასანიშნი (500 ფურ.) | შეკვრა | 1006 |
| 1.18 | ჩასანიშნი ფურცლები (100ფ.) 75/75 წებოვანი | შეკვრა | 1812 |
| 1.19 | სწრაფჩამკერი ფაილი | ცალი | 42346 |
| 1.20 | მარკერი | ცალი | 1535 |
| 1.21 | კორექტორი (ბურთულიანი) | ცალი | 740 |
| 1.22 | კორექტორი (ჩვეულებრივი) | ცალი | 421 |
| 1.23 | საკანცელარიო დანა | ცალი | 204 |
| 1.24 | წებოვანა (სკოჩი) პატარა | ცალი | 242 |
| 1.25 | წებოვანა (სკოჩი) დიდი | ცალი | 188 |
| 1.26 | ჭიკარტი | ყუთი | 671 |
| 1.27 | მაკრატელი | ცალი | 119 |
| 1.28 | ორგანაიზერი (საშუალო) | ცალი | 214 |
| 1.29 | ანტისტეპლერი | ცალი | 104 |
| 1.30 | საქაღალდე (ბაფთიანი) | ცალი | 5398 |
| 1.31 | საქაღალდე (30 ფაილით) | ცალი | 264 |
| 1.32 | საშლელი | ცალი | 769 |
| 1.33 | ფანქარი საშლელით | ცალი | 2047 |
| 1.34 | პლასტმასის სახაზავი (30სმ) | ცალი | 342 |
| 1.35 | სახვრეტელა (25 ფურ.) | ცალი | 347 |
| 1.36 | სტეპლერი (პატარა) N10 | ცალი | 206 |
| 1.37 | სტეპლერი (საშუალო) N24/6 | ცალი | 309 |
| 1.38 | სტეპლერის ტყვია (24/6) | Yყუთი | 1989 |
| 1.39 | სტეპლერის ტყვია (10) | ყუთი | 2063 |
| 1.40 | საწერკალამი (ლურჯი) | ცალი | 10151 |
| 1.41 | საწერკალამი (წითელი) | ცალი | 643 |
| 1.42 | საკანცელარიო ჟურნალი | ცალი | 1099 |
| 1.43 | კლიფსი (საშუალო) | ცალი | 1108 |
| 1.44 | კლიფსი (დიდი) | ცალი | 933 |
| 1.45 | მაგიდის კალენდარი | ცალი | 132 |
| 1.46 | მოსანიშნი ფურცლების ჯამი | ცალი | 143 |
| 1.47 | ფაქსის ქაღალდი (25მ) | ცალი | 387 |
| 1.48 | გამომთვლელი მანქანა | ცალი | 148 |
| 1.50 | სტეპლერი დიდი | ცალი | 20 |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობაში (მის: რუსთაველის გამზ. N30) და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში (მის: ჟორესის ქ. 10) 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობის და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 17 აპრილის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის N30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მე-2 სართული, ოთახი N101.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საკანცელარიო საქონელი , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 18 აპრილის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.
პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ამ დოკუმენტებთან ერთად, როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

- ცნობა შსს-დან ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ;
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

***შენიშვნა:*** *ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების შემცველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის) სახით.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-82-89. საკონტაქტო პირი: ქეთევან სირაძე

*სატენდერო კომისია*

# რეცენზიის სანაცვლოდ...

ნანა ჭრელაშვილი




24 მარტს, რუსთაველის თეატრში რამდენჯერმე გადადებული პრემიერის შემდეგ, მაყურებელს ჯერ კიდევ შერჩენოდა წინასაპრემიერო განწყობა. ფოიეში თავი მოეყარათ საგანგებოდ მომზადებულ, სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ადამიანებს.

ამჯერად, თეატრი რეჯინალდ როუზის პიესას "თორმეტი განრისხებული მამაკაცი" გვთავაზობდა. რუსთაველის თეატრში მიმავალი მაყურებელი მუდამ არაჩვეულებრივისა და უჩვეულო სანახაობისათვის ემზადება. ასე მოხდა იმ დღესაც... მხოლოდ ერთი განსხვავებით, ის სანახაობას ფოიეში ელოდა, რადგან პარტერისაკენ მიმავალი კარი მათთვის დახურული აღმოჩნდა, მაშინ, როცა ჩვენი დროით საათი ზუსტად 19:00 საათს უჩვენებდა...

მიზეზი მიმდინარე რეპეტიცია გახლდათ. წუთები მიდიოდა, მაყურებელთა მღელვარებაც თანდათან მატულობდა. განსაკუთრებით ღელავდა ჭაღარაშეპარული თაობა, აღნიშნავდნენ, რომ ასეთ შემთხვევას ამ თეატრში ვერ იხსენებდნენ. მეტიც, მომუშავე პერსონალს აფრთხილებდნენ, რომ ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. უფრო ახალგაზრდები კი სპექტაკლის დაგვიანებას ნახევრად იუმორით უყურებდნენ და თეატრს თანამედროვე მეთოდებით - სასამართლოში ჩივილით "ემუქრებოდნენ", მათი ყმაწვილური ფანტაზიის ბოლო ნაყოფი სპექტაკლის გადადების შესახებ ინფორმაცია გახლდათ, მაგრამ ვიდრე ეს ამბავი მაყურებლის ფართო მასებამდე მიაღწევდა პარტერის კარიც გაიღო..

მაშინ ჩვენი დროით საათი ზუსტად 19:12 საათს უჩვენებდა...

პარტერი კიდევ დიდხანს გავდა პაემანზე მისულ, დაგვიანებულ შეყვარებულზე ცოტა განაწყენებულ, აფორიაქებულ, მომლოდინე ადამიანს....როცა სცენაზე სპექტაკლის რეჟისორი რობერტ სტურუა გამოჩნდა, მომეჩვენა, რომ სპექტაკლი იმ წუთიდან დაიწყო, როცა თეატრის კარში შემოვაბიჯეთ, თითოეული მაყურებელის როლი კი მოლოდინი გახლდათ. ჩვენი რეჟისორი მოგვესალმა და გვაუწყა, რომ **"ეს გენერალური რეპეტიციაა. ჩვენ მთელი დღეა ვმუშაობთ. მსახიობები ძალიან ღელავენ, თუ რამე მოხდა და სპექტაკლი გაჩერდა, მე გამოვალ და მოგიყვებით დარჩენილ ამბავს. გმადლობთ".**

ფარდა გაიხსნა და სცენაზე დაკიდებული საათიც ჩვენი დროით 19:35 წუთს უჩვენებდა, სცენოგრაფიის ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა დეტალმა გვამცნო, რომ სანახაობაც, იქ გათამაშებული ამბავიც და მისი მაყურებელიც ერთ დროსა და სივრცეშია თავმოყრილი. როგორც ამ წუთამდე სხვა ყველაფერი, სცენოგრაფიაც უჩვეულოა, ლეონარდო და ვინჩის გენიალური ტილო "საიდუმლო სერობა" სახეცვლილი, მეტიც, გაძარცვული, ჩამოხეულია. იქ არც მოძღვარია და არც მოწაფეები, ავანსცენაზე კი თორმეტი სკამი ერთ მწკრივშია, რაც გვამცნობს, რომ საიდუმლო სერობა ჩვენს წინ გათამაშდება...

"წინასწარ განზრახული მკვლელობა. ხანგრძლივი და უაღრესად რთული სასამართლო პროცესი. ბრალდებულს, ახალგაზრდა კაცს უნდა გამოუტანოთ სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ თუ მის დანაშაულში ეჭვი გეპარებათ, მაშინ უდანაშაულოდ უნდა ცნოთ. გახსოვდეთ, გადაწყვეტილება ერთსულოვანი უნდა იყოს. თქვენ თორმეტივე მამაკაცს დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ" - ასეთი პირობა აქვს თორმეტ სხვადასხვა თაობის მამაკაცს, რომლებიც, ერთი შეხედვით, დახვეწილი, ერუდირებული, განათლებული ადამიანები არიან. დიახ, მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ისინი ძალიან მალე ნიღაბს, რომელსაც საგულდაგულოდ უვლიან, თავადვე ჩამოიხსნიან. მათთვის უცხოა იმ ადამიანების ბედი, რომლებიც, როგორც თავადვე უწოდებენ, "სანაგვეზე არიან გაზრდილნი" ეს თაობა კარგს ვერაფერს მოუტანს მათ "სამართლიანად" აწყობილ ცხოვრებას... ისინი ყოველგვარი განსჯის, დაფიქრებისა და სინანულის გარეშე გამოუტანენ პატარა მამისმკვლელს სიკვდილით დასჯის ბრალდებას. ისინი, ამ გადაწყვეტილების მსგავსად, ერთსულოვნად ივიწყებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც დაეკისრათ. რადგანაც აგვიანდებათ ფეხბურთის მატჩზე, სახლში, სამსახურში და ვინ იცის კიდევ.... მათთვის ამ უსახელო, დანომრილი ადამიანებისთვის სიმართლის დადგენისაკენ მიმავალი გზა დამღლელი და მოსაწყენია, მაგრამ... 1:11 ანუ არის ადამიანი, ვისთვისაც უსამართლო გადაწყვეტილება იმაზე მძიმეა, ვიდრე მთელი დღე და იქნებ მთელი ცხოვრებაც სიმართლისათვის ბრძოლა. ამიტომაც, არ თმობს იმ გადამწყვეტ ხმას, რომელსაც 11 მამაკაცის გათავისუფლება შეუძლია. მას სჯერა, რომ ბიჭი უდანაშაულოა, ვერ იმეტებს 18 წლის ახალგაზრდას, რომლისთვისაც ცხოვრება და ოჯახი დაუნდობელი აღმოჩნდა. მუდმივად აწუხებს კითხვა - ხომ შეიძლება ვცდებოდეთ?! — ხომ შეიძლება მკვლელობის მოწმეები ცრუობდნენ?! და ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდეს?! ყველაფერი შეიძლება, ოღონდ ამის დანახვის უნარი და სურვილი უნდა გაგაჩნდეს. უნდა შეძლო შენში აღმოაჩინო ადამიანი, რომელსაც თანამდებობის, მდგომარეობის გარდა, სხვა ღირებული ღირსებებიც გააჩნია. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ არჩეული პროფესია ადამიანების ბედის გადაწყვეტას გავალდებულებს.

სცენაზე უთანასწორო ჭიდილი იწყება, სამყაროში სიმართლისათვის ბრძოლის წესებიც ხომ ასეთივეა, მაგრამ სცენაზე საათი საქართველოს დროით ზუსტად 20:00 საათს უჩვენებს. აღნიშნული მეტაფორა ზუსტად მიგვანიშნებს, თუ რატომ აირჩია რეჟისორმა სწორედ ეს პიესა დღეს რეპერტუარისთვის და განსაზღვრავს მის ჩანაფიქრს – შეახსენოს სახელმწიფოს და განსაკუთრებით, რეპუტაციაშერყეულ მართლმსაჯულებას, რომ შეცდომების უფლება მათ არ აქვთ, მაშინ როცა ადამიანის, შენი ქვეყნის მოქალაქის ბედი წყდება.

საბედნიეროდ, სპექტაკლში ჭიდილის შედეგად ანგარიში თანდათან თანაბრდება, მერე კი ანგარიში დაუჯერებელია 12:0. ფაქტების სიღრმისეული ძიება ყველას აიძულებს სიმართლეს თვალებში შეხედონ – ბიჭი უდანაშაულოა!

რეჟისორის ირონიანარევი "შიში" სპექტაკლის შეჩერების შესახებ არ გამართლდა. მან რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ჯგუფთან, მსახიობების სამ თაობასთან ერთად გვიამბო რა ხდება ჩვენს სამყაროში, ჩვენს ქვეყანაში, მის გვერდით. იმედია, ის ადამიანები, რომლებიც უმრავლესნი არიან და ქვეყნის, ადამიანების ბედი აბარიათ, ამ ერთ ამბავთან, ერთ სპექტაკლთან შეჭიდებას შეძლებენ, საკუთარ თავს აღმოაჩენენ და სიმართლის ძიებას უფრო მეტ დროს დაუთმობენ.

პრემიერა დასრულდა. ჩვენი დროით 9:00 საათზე, ემოციებისგან დაცლილი, დაღლილი 12 მსახიობი მაესტროსთან ერთად მაყურებელს დაემშვიდობა, მათ შეძლეს ინდივიდუალური, საინტერესო სახეები შეექმნათ. ეს კი ცალკე განსჯასა და ანალიზს მოითხოვს.

# კუზიანი მთა



მსახიობმა რენდი კუეიდმა "კუზიანი მთის" პროდიუსერებს სასამართლოში უჩივლა, რადგანაც, მისი განცხადებით, მათ მისი კუთვნილი 10 მილიონი დოლარი არ გადაიხადეს. აღნიშნული მსახიობი ფილმში რანჩოს მეპატრონის როლს ასრულებს. კუეიდი ირწმუნება, რომ მისი ჰონორარი შეგნებულად შეამცირეს.

ენგ ლის ფილმში, რომელმაც სამი ოსკარი დაიმსახურა, კუეიდმა მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა. მისი პერსონაჟი, ჯო აგირე, მთავარ გმირებს რანჩოზე სამუშაოდ ქირაობს.

გაბრაზებულ მსახიობთან თავის დროზე დადებულ კონტრაქტში "კუზიანი მთა" წარმოდგენილი იყო, როგორც დაბალბიუჯეტიანი პროექტი. მიუხედავად ამისა, ფილმის მესვეურებმა მთლიანობაში მოგების სახით 174 მილიონი დააგროვეს. კრიტიკა, იშვიათად, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ პროდიუსერთა ჯგუფმა ნიჭიერი რეჟისორის ნამუშევარი ეშმაკურად და მრავალი შეფარვითი ინტერესების გატარებით გამოიყენა.

TV5MONDE

## 27 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ამერიკის ფრანკოფონია. კალიფორნია. დოკ. ფილმი. **08.25** ტელეტურიზმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ჩვენი ბაღი. **13.15** რომ გახდე კაცი. აფრიკა. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** პატარა პარიზელი. მხ ფილმი. რეჟისორი სებასტიენ გრალი. 2002. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** პარიკმახერის ქმარი. მხ ფილმი. რეჟისორი პატრის ლეკომტი. 1990. **24.00** მკვლელობის ღამე. ტელესერიალი. **02.20** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

# ეკა და ეკონომიკა

**ეკა კვესიტაძე:** დღეს "დიალოგების თემაა" საქართველოს ეკონომიკა. გადაცემის სტუმარია ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე. რამდენად არის ყველა ის ვალდებულება შესრულებული, რომელიც თავის თავზე აიღო საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდის წინაშე და შეუშლის თუ არა რაიმე ხელს ამ დახმარების გამოყოფას?

**რომან გოცირიძე:** ეს ვალდებულებები აღებული იქნა არა მარტო საქართველოს მთავრობის მიერ, არამედ ეროვნული ბანკის მიერაც. ამ მემორანდუმს ხელს უწყობს სავალუტო ფონდი, ეროვნული ბანკი და პრემიერ–მინისტრი, სადაც ჩამოყალიბებულია როგორც ფინანსური, ასევე ეკონომიური პროგრამა. გამოყოფილია 20 მილიონი დოლარი "სიღარიბის დაძლევის" პროგრამისთვის და თუკი ამ მემორანდუმს დირექტორთა საბჭო მოიწონებს, წელიწადში ორჯერ იქნება თანხა გადმორიცხული.

**ეკა კვესიტაძე:** რამდენად დიდი შანსია, რომ დაიწუნონ?

**რომან გოცირიძე:** ყოველთვის არის შანსი დაიწუნონ. ალბათობით თუ ვიმსჯელებთ, ერთი პროცენტი. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი დადებითად შეფასდება. რაც შეეხება ვალდებულებას, მათი ყველა პირობა შესრულებულია.

**ეკა კვესიტაძე:** " სიღარიბის დაძლევის პროგრამა", ამ სათაურით დაფინანსდა უკვე რამდენიმე პროგრამა და რა შედეგი მოჰყვა ამას?

**რომან გოცირიძე:** ეს იყო წინა ხელისუფლების პროგრამა, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. რაც შეეხება ჩვენს პროგრამას, იგი უფრო რეალურია. 141 მილიონი ლარი მოხმარდება მთლიანად ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნებას. ეს თანხა მთლიანად ეროვნული ბანკის ანგარიშზე იქნება გადარიცხული, რაც გარანტიაა იმისა, რომ დაფინანსდება იმპორტი საქართველოში.

**ეკა კვესიტაძე:** საზოგადოებაში გაჩნდა აზრი: ხომ არ ვდგავართ ინფლაციის წინაშე. რისი ბრალია ეს?

**რომან გოცირიძე:** ეს არის სეზონური პრობლემა, ყოველ წელს ასეა. წლის პირველ ნახევარში ყოველთვის არის მოთხოვნა დოლარზე და გარკვეულწილად იწვევს მცირეოდენ რყევას.

**ეკა კვესიტაძე:** რა კანონზომიერებებს ემყარება ეს მცირე რყევები?

**რომან გოცირიძე:** ზამთრის პერიოდში ნაკლები არის ეკონომიკური და ინვესტიციური აქტივობა ქვეყანაში, იმპორტის მოთხოვნა.

**ეკა კვესიტაძე:** რამ გამოიწვია სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდა?

**რომან გოცირიძე:** ფასები გაიზარდა ჩვენთან მხოლოდ იმ საქონელზე, რომლებზეც მსოფლიოში. მართალია, საზოგადოება მტკივნეულად აღიქვამს, თუმცა ფასები მხოლოდ ექვსი პროცენტით გაიზარდა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის არცთუ ისე დიდია. მითუმეტეს ისეთ ვითარებაში, როცა გავლენას ახდენს ქვეყანაში არა შიდა, არამედ გარე ფაქტორები.

**მსმენელი:** მესტიას ემსახურება სახალხო ბანკი. თანხები დაგვიანებით შემოდის, რის გამოც დიდი პრობლემებია. არსებობს თუ არა მდგომარეობის გამოსწორების რაიმე პერსპექტივა?

**რომან გოცირიძე:** სამწუხაროა თუ ასე ხდება. ჩვენ ვიცით, რომ გამოცხადდა ტენდერი საპენსიო მომსახურებასთან დაკავშირებით და სახალხო ბანკი ერთადერთია, რომელსაც აქვს თავისი ფილიალი საქართველოს ყველა რაიონში. მართალია, კაპიტალით ბევრად მძლავრი ბანკები არსებობს, მაგრამ მათ არა აქვთ ფილიალები, ამიტომ ერთადერთი საშუალებაა, სახალხო ბანკმა თვითონ გამოასწოროს მომსახურება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 800 ათასი პენსიონერია, ერთ ბანკს თავისთავად გაუჭირდება ყველას დროულად მომსახურება. ამ ბანკს მძიმე მისია აკისრია, მაგრამ თუ ძალიან მძიმე პირობებია, მე თავად დავინტერესდები შექმნილი ვითარებით.

**ეკა კვესიტაძე:** მთავრობაში განიხილება პროექტი, რომლითაც კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობა ჩამოერთმევა ეროვნულ ბანკს. რამდენად მართებულია ეს და რა პოზიცია გაქვთ თქვენ?

**რომან გოცირიძე:** სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, ასეთი პროექტი არ განიხილება. შეიძლება რაღაც მოსაზრებები არსებობდეს, მაგრამ მე ასეთ შემთხვევაში კატეგორიული ვარ. სანამ მე ვარ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ზედამხედველობა ეროვნულ ბანკზე იქნება.

**ეკა კვესიტაძე:** როგორია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დინამიკა?

**რომან გოცირიძე:** საკმაოდ დიდი და წარმატებული.

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge




# კლეოპატრას სიმბოლოს სამშობლო ეძახის



ეგვიპტური მემკვიდრეობის დაცვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ზაჰი ჰავასმა ნიუ იორკის მერს, ბატონ მაიკლ ბლუმბერგს განსაკუთრებული მოხოვნით მიმართა: "აშშ-მ უნდა დაუბრუნოს ეგვიპტეს ცენტრალური პარკში მოთავსებული მისი კულტურის ნიმუში და უნიკალური ძეგლი, მეტსახელად "კლეოპატრას ისარი''. ეგვიპტელი ჩინოვნიკი საკუთარ მოთხოვნას იმით ხსნის, რომ ობელისკს ნიუ იორკში სათანადოდ ვერ უვლიან.

თავისთავად ცხადია, რომ მონუმენტისადმი უპატივცემულობას ნიუ იორკის მმართველობა უარყოფს და აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის მუდმოვ მონიტორინგს აწარმოებენ ძეგლთა დაცვის სპეციალისტები. ამავდროულად ისინი სრულიად გამორიცხავენ იმ ძეგლის სამშობლოში დაბრუნებას, რომელიც ცენტრალური პარკის მთავარ მორთულობად ითვლება.

წითელი გრანიტის ქვისგან დამზადებული ობელისკი თავდაპირველად (ძვ. წთ. აღ-ის XV საუკუნის შუა ხანები), ანუ ტუტმოს III-ის დროს ჰელიოპოლისში დამონტაჟდა. ორი საუკუნის შემდეგ მასზე რამზეს II-მ ისტორიული წარწერა ამოაკვეთინა. კიდევ ერთი საუკუნის შემდეგ, ეს და კიდევ ორი სხვა მონუმენტი რომის ჯარებმა ალექსანდრიაში გადაიტანეს. ამ ობელისკისა და კლეოპატრას შორის ერთადერთი კავშირი ის გახლავთ, რომ მისი მორიგი ადგილი იმ ცეზარიუმის ახლოს იყო, რომელიც დედოფალმა მარკ ანტონიუსის საპატივცემულოდ ააგებინა. მიუხედავად ასეთი ისტორიისა და მნიშვნელობისა, 1879 წელს, ეგვიპტის მართველმა ჰედივ ისმაილმა სამი ობელისკი გააჩუქა. ერთი ლონდონს გააფრინა, მეორე პარიზს უსახსოვრა, ეს უკანასკნელი "კლეოპატრას ისარი" კი, უკვე მოგეხსენებათ, ნიუ იორკში გადაისროლა.

ჰავასი, სიძველეთა დაცვის კომისიის თავჯდომარე, უკვე ოთხი წელია ეგვიპტური კულტურის ძეგლების სამშობლოში დაბრუნებისთვის იბრძვის, სწორედ იმ ნიმუშების თავმოყრისათვის, რომელიც ქვეყნიდან მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაყისში აქტიურად გაედინებოდა.



სიახლე
გამაჯანსაღებელ
ცენტრ
"ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი იზრდება

B3

## აფხაზეთში მოქმედ რუსულ ბანკებს FATF შეამოწმებს

## ავსტრიაში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა დაფუძნდება

## სიახლე "საქართველოს რკინიგზისგან"

B3

## რუსული დათვი და ჩინური დრაკონი



B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2981 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0088 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8280 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8500 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1193 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2934 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3189 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1887 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3991 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3515 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3581 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1549 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1659 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,2004 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2546 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3906 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5656 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1355 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3880 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,4072 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2745 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5603 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6141 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0656 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1276 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4068 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5690 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,5136 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6104 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8286 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2571 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1431 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4418 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2340 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3883 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0763 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2277 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2356 |



# რუსეთი ალკოჰოლზე აქციზურ მარკებს ცვლის

## ქართული კომპანიები ფინანსური ზარალის მოლოდინში

- რუსეთში ალკოჰოლურ სასმელებზე ახალი აქციზური მარკების შემოღების ოფიციალურ მიზეზად ამ სფეროს აღრიცხვიანობის მოწესრიგება სახელდება, რადგან ბოლო მონაცემებით ალკოჰოლის ბაზარზე კონტრაბანდა დომინირებს.
- ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის რუსეთი პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარია.
- ღვინის მწარმოებელი კომპანიები გამოთქვამენ ეჭვს, რომ რუსეთის ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ ქართული კომპანიები შესაძლოა, ფინანსურად დააზარალოს.
- აქციზური მარკების ბეჭვდის შეფერხების გამო, თვით რუსეთში არყის მწარმოებელი მსხვილი კომპანიებიც კი ვერ ახერხებენ პროდუქციის რეალიზაციას.

ნინო ნატროშვილი

*2006 წლის პირველი აპრილიდან, ახალი კანონის თანახმად (რომელიც ალკოჰოლური და სპირტის შემცველი სასმელების ბაზარს არეგულირებს), რუსეთის აქციზური მარკების სამსახური ქვეყანაში ალკოჰოლური პროდუქციის იმპორტზე ახალი მარკების შემოღებას იწყებს. ძველი აქციზით ალკოჰოლური სასმელების იმპორტი მხოლოდ მარტის ბოლომდეა შესაძლებელი.*



B2

# ფრანგული უძრავი ქონება – ყველა ყაიდის მყიდველისათვის

B3

- სინამდვილეში კი უძველესი ციხე-კოშკებით, ელიტარული ღვინოებით და დიდებული სამზარეულოთი განთქმული ეს ქვეყანა ყველანაირ, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის მქონე მყიდველს შეეფერება.
- საფრანგეთში უამრავი შესაძლებლობაა როგორც საცხოვრებელ, ასევე ბიზნესისათვის განკუთვნილ ფართში კაპიტალის დასაბანდებლად.

გოჩა ქიმუცაძე

ამბობენ, საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენა რჩეულთა ხვედრიაო. ამგვარი აზრის ჩამოყალიბება ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქვეყანაში შოუ-ბიზნესის, პოლიტიკ-ის და სპორტის განთქმულ წარმომადგენელთა მიერ კაპიტალის დაბანდების შესახებ პრესაში პერიოდულად გავრცელებულმა ინფორმაციებმა განაპირობა.



### აფხაზეთში მოქმედ რუსულ ბანკებს FATF შეამოწმებს

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ ფინანსურ ორგანიზაციებთან რუსული ბანკების უკანონო თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტაციას საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტს (MONEYVAL) წარუდგენს. როგორც სებ-ში განაცხადეს, ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმირებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი გიგა ბოკერია. პარლამენტის დელეგაციას საქართველოს ეროვნული ბანკი რუსული ბანკების მიერ აფხაზურ ფინანსურ სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის ფაქტებზე სათანადო ინფორმაციას მიაწვდის. სებ-ის ცნობით, რუსული ბანკების შემოწმებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი (FATF) მომავალ წელს გეგმავს. აღნიშნულ საკითხზე შეშფოთებულმა რუსმა ბანკირებმა, საფინანსო ექსპერტებმა და სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებმა ტელეარხ პბკ-ს პროგრამა "კაპიტალში" იმსჯელეს.

სებ-ის შეფასებით, ექსპერტების შიშს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლ სპეციალურ ქმედებათა ჯგუფთან რუსეთის მუდმივად გართულებული ურთიერთობაც განაპირობებს. შავ სიაში რუსეთის ფედერაცია, ამ ქვეყანაში საბაზრო რეფორმების დაწყების პერიოდიდანვე მოხვდა და თავი მხოლოდ 2002 წელს დააღწია. რუსეთი FATF-ის წევრი 2003 წელს გახდა, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ “დიდი რვიანის" წევრი ქვეყნის - რუსეთის FATF-ის წევრად მიღება უფრო პოლიტიკური ჟესტი იყო, რადგან რუსეთი ამ ორგანიზაციის სავალდებულო რეკომენდაციების ნაწილს არ ასრულებს. **პრაიმ-ნიუსი.**

### ბათუმში ხუთი ობიექტი იყიდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ბათუმში ხუთი ახალი ობიექტი გამოიტანა გასაყიდად. წერეთლის ქუჩაზე N11-ში მდებარე ორსართულიანი კაპიტალური შენობის პირველის სართულის ნაწილი 28 500 დოლარად იყიდება. ჯავახიშვილის ქ. N55-ში მდებარე ერთსართულიანი კაპიტალური შენობის ნაწილი 6 000 დოლარად იყიდება. 6 000-6 000 დოლარად არის შეფასებული ამავე ნომერში მდებარე მრავალსართულიანი კაპიტალური შენობის პირველი სართულის ორი ნაწილი, რომელიც ცალ-ცალკე იყიდება. ჯავახიშვილის ქ.N80-ში მდებარე ერთსართულიანი კაპიტალური შენობის ნაწილი კი 26 500 დოლარად არის შეფასებული. აღნიშნული ობიექტების პრივატიზაციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ უკვე დაიწყო განაცხადების მიღება. განაცხადების მიღების ვადა 25 აპრილის 17 საათამდე გაგრძელდება, აუქციონი კი ამავე დღეს 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

### თბილისში კიდევ ერთი ობიექტი იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ შპს "ნ. კრასნოვის სახელობის სამედიცინო ბიოფიზიკის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ცენტრი" გამოიტანა. ობიექტი თბილისში, გუდამაყრის შესახვევის N2-ში მდებარეობს. მისი საწესდებო კაპიტალი 245590.00 ლარია. მასში სახელმწიფო წილი 100 პროცენტს შეადგენს. დაწესებულების დებიტორული დავალიანება 13532.00, კრადიტორული დავალიანება კი 18690.00 ლარია. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 200 000.00 ამერიკული დოლარია. საპრივატიზაციო განცხადების შეტანა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 20 მარტს დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდება. ობიექტი აუქციონის ფორმით გაიყიდება, რომელიც 20 აპრილს გაიმართება. **მედიანიუსი.**

### საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტილია

თოვლის გამო საქართველოს სამხედრო გზაზე ზვავსაშიში მდგომარეობა შეიქმნა, რის გამოც ჩაიკეტა გზის მონაკვეთი გუდაურიდან კოდამდე. მართალია, საქართველოს სამხედრო გზის დანარჩენი ნაწილი თავისუფალია, მაგრამ საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგი წერეთელი ურჩევს მძღოლებს, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა, შეძლებისდაგვარად, თავი შეიკავონ ამ მიმართულებით მგზავრობისგან გზის სრულ გახსნამდე. **მედიანიუსი.**

### ავსტრიაში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა დაფუძნდება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას ავსტრიაში თავისი წარმომადგენლობა ექნება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის და სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის ავსტრიაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობის დაფუძნება იგეგმება, რომელსაც მარინა ბურდული უხელმძღვანელებს. როგორც სავაჭრო პალატაში განაცხადეს, მარინა ბურდული განათლებით იურისტია. იგი სხვადასხვა დროს იურიდიულ ფირმებში ადვოკატად მუშაობდა. 1995 წელს მარინა ბურდულმა "ავსტრია-საქართველოს ასოციაცია" დააფუძნა, ხოლო 1996 წელს - "ვენაში საქართველოს პრესისა და ინფორმაციის ბიურო". იგი ავსტრიის მოქალაქეა. **ინტერპრესნიუსი.**

### სიახლე "საქართველოს რკინიგზისგან"

შპს "საქართველოს რკინიგზა" ზაფხულის სეზონისთვის დამსვენებლებს სიახლეებს სთავაზობს. როგორც შპს "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, ზაფხულიდან ქობულეთის რკინიგზის არსებული სადგურის რეკონსტრუქცია და მახინჯაურის ახალი სადგურის მშენებლობაა დაგეგმილი. მახინჯაურის სადგურის მშენებლობა "საქართველოს რკინიგზას" 1 800 000 ლარი დაუჯდება, ქობულეთის სადგურის რეკონსტრუქციისათვის კი 877 000 ლარი დაიხარჯება. ქობულეთის სადგურის რეკონსტრუქციას ტენდერში გამარჯვებული ქართული კომპანია შპს "ოქტანი" განახორციელებს. კომპანია კი, რომელიც მახინჯაურის სადგურს ააშენებს, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს "საქართველოს რკინიგზამ" ტენდერი 22 მარტს გამოაცხადა. აჭარაში ზღვის სანაპიროზე ჩასულ დამსვენებელს მახინჯაურის ახალი, ევროპული დიზაინის რკინიგზის სადგური დახვდება. ტექნიკურად გამართული შენობა დასრულებული სახით, შპს "საქართველოს რკინიგზას" 2006 წლის ივლისში უნდა ჩაბარდეს. შენობა მსუბუქი კონსტრუქციებისგან აშენდება და საათში 600 მგზავრს მოემსახურება. მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისიდან თბილისი-ბათუმის მიმართულებით ახალი, 20 ვაგონიანი სარკინიგზო შემადგენლობა ამოძრავდება. აღნიშნული ვაგონები ამჟამად "დნეპროპეტროვსკის ქარხანაში" რემონტდება. მათი სრული მოდერნიზაციის მიზნით შპს "საქართველოს რკინიგზამ" ტენდერი გამოაცხადა, რაშიც "დნეპროპეტროვსკის ქარხანამ" გაიმარჯვა. გარდა ამისა, საზღვაო სეზონისთვის აღდგება სარკინიგზო რეისი "ბათუმი-ერევანი". მატარებლის ახალი შემადგენლობა 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე იმოძრავებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლა 10 წელზე მეტია, აღარ განხორციელებულა. მომსახურების ტარიფები დადგინდება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# რუსეთი ალკოჰოლზე აქციზურ მარკებს ცვლის

## ქართული კომპანიები ფინანსური ზარალის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის რუსეთი პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული იყო 60 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც 2004 წლის მაჩვენებელს თითქმის 100 პროცენტით აღემატება, რადგან ექსპორტმა 33 მილიონი ბოთლი შეადგინა. რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის მაჩვენებელი, სამინისტროს პროგნოზით, 2006 წელს 65 მილიონ ბოთლს მიაღწევს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზი, შესაძლოა, არ გამართლდეს, რადგან ღვინის მწარმოებელი კომპანიები გამოთქვამენ ეჭვს, რომ რუსეთის ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ ქართული კომპანიები შესაძლოა, ფინანსურად დააზარალოს.

“ამ შემთხვევაში არსებობს ორი საფრთხე - ტექნიკური და პოლიტიკური. ტექნიკური გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, ახალი აქციზური მარკების ბეჭდვა დაგვიანდეს, ამ შემთხვევაში ქართული ღვი-



ნის ექსპორტი რუსულ ბაზარზე შეფერხდება. ფინანსური ზარალის პროგნოზირება რთულია, რადგან ყველა კომპანიას აქვს გათვლები, თუ რამდენი ბოთლი ღვინო უნდა გაიტანოს რუსულ ბაზარზე და შესაბამისად ექსპორტიდან შემოსულ თანხებზეა გათვლილი წარმოების განვითარება და შემდგომი ინვესტიციები. რაც შეეხება პოლიტიკურ პრობლემას, წინასწარი ინფორმაციით, ქართულ ღვინოს ეს არ შეეხება. თუმცა, რამდენიმე წლის წინ მოლდოვასთან დაკავშირებით, რუსეთის ხელისუფლებამ მოულოდნელი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ხუთი თვის განმავლობაში მოლდოვური ღვინო ბაზარზე არ შეუშვა,” - განუცხადა “24 საათს” კომპანია “თელიანი ველის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ გეგენავამ.

კომპანია “თელიანი ველის” ხელმძღვანელის ინფორმაციით, საწარმომ 2006 წელს რუსეთში 1 მლნ. 200 ათასი ბოთლი ღვინის ექსპორტი უნდა განახორციელოს, რაც საერთო გაყიდვების 35 პროცენტია. მისი თქმით, რუსეთში ალკოჰოლურ სასმელებზე ახალი აქციზური მარკების შემოღება პრობლემებს ღვინის მწარმოებელ იმ ქართულ კომპანიებს შეუქმნის, რომელთაც პროდუქციის 90 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გააქვთ.

რუსეთში ალკოჰოლურ სასმელებზე ახალი აქციზური მარკების შემოღების ოფიციალურ მიზეზად ამ სფეროს აღრიცხვიანობის მოწესრიგება სახელდება, რადგან ბოლო მონაცემებით ალკოჰოლის ბაზარზე კონტრაბანდა დომინირებს.

ქართული ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია GWS-ის მარკეტინგის მენეჯერის ლევან კობერიძის ინფორმაციით, რუსეთის ფინანსურ წრეებს აკოჰოლურ სასმელებზე ახალი აქციზური მარკის შემოღება 2005 წლის 1 ივნისიდან სურდათ, თუმცა მაშინ ეს ღონისძიება გადაიდო.

“ახალი აქციზური მარკების შემოღება, ღვინის მწარმოებელ ქართულ კომპანიებს პრობლემებს იმ შემთხვევაში შეუქმნის, თუ აქციზური მარკების დეფიციტი გაჩნდება და ამ პრობლემის მოგვარება სწრაფად არ მოხდება. ჩემი ინფორმაციით, აქციზური მარკების ბეჭდვის შეფერხების გამო, თვით რუსეთში არყის მწარმოებელი მსხვილი კომპანიებიც კი ვერ ახერხებენ პროდუქციის რეალიზაციას, - განუცხადა “24 საათს” ლევან კობერიძემ.

მისი თქმით, ამ დროისათვის GWS-ს პრობლემები არ აქვს (მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის იმპორტი რუსეთის ბაზარზე წარმოებული პროდუქციის 50 პროცენტია, დაახლოებით 2 მილიონი ლიტრი), რადგან კომპანიის მიერ რუსეთში იმპორტირებული ღვინის ნაშთი საკმაოდ სოლიდურია. თანაც, პარტნიორები აცხადებენ, რომ აქციზური მარკების პრობლემა მალე მოგვარდება.

# ბიუჯეტი 2005:

## გაზრდილი შემოსავლების და დაუფინანსებელი ხარჯების ბიუჯეტი

*"ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.*

EPRC Economic Policy Research Center

The Eurasia Foundation Georgia Office

### შემოსავლები და გრანტები

როგორც მთელი წლის განმავლობაში გამოკვეთილი ტენდენცია მიუთითებდა, საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა. ექსპერტების ნაწილი ამ ფაქტორს იმთავითვე ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმარებით ხსნიდა. კერძოდ, ის ფაქტი, რომ წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაზრდის მიმართულებით ოთხჯერ გადაისინჯა, ქმნის ეჭვს, რომ დაგეგმვისას ბიუჯეტში ხელოვნურად შემცირებული საგეგმო პარამეტრები იდებოდა, რაც შემდგომში მათი ხელახალი გადაანგარიშების საჭიროებას აყენებდა დღის წესრიგში.

საბოლოო ანგარიშით, 12 თვის პროგნოზით, მთლიანი შემოსავლების და გრანტების მოცულობა ჯამურად 2 მილიარდ 498 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო. რეალურად კი ამ მაჩვენებელმა 2 მილიარდ 608 მილიონი ლარი შეადგინა, რითაც გეგმა 110 მილიონი ლარის გადაჭარბებით ანუ დაგეგმილის 104%-ით შესრულდა. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი საქართველოს ბიუჯეტისთვის მთელი პოსტსაბჭოთა ისტორიის მანძილზე.

### საგადასახადო შემოსავლები

როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანობაში 2005 წელს მობილიზებული შემოსავლებიდან ყველაზე დიდი ოდენობა საგადასახადო შემოსავლების წილად მოვიდა - 70 პროცენტზე მეტი. ამ მიმართულებით წლის განმავლობაში 1 მილიარდ 836 მილიონი ლარი აიკრიფა, რაც გეგმიურზე 110 მილიონით მეტი აღმოჩნდა. უფრო შთამბეჭდავია ზრდა 2004 წლის მონაცემებთან შედარებით (2004-ში ამ ხაზით სულ 1 მილიარდ 514 მილიონი ლარი იყო მობილიზებული). გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს როგორც საგადასახადო (აიკრიფა 866 მილიონი ანუ გეგმის 108 პროცენტი), ასევე საბაჟო დეპარტამენტებმა (მობილიზებულია 970 მილიონი, გეგმის 105 პროცენტი).

### შემოსავლები გადასახადების მიხედვით

2005 წლის შედეგები ცხადყოფს, რომ 100 პროცენტით ან მეტი ნიშნულით არის შესრულებული ოთხივე ძირითადი გადასახადის გეგმაც: აქედან ყველაზე დიდი მეტობით მობილიზებულია სოციალური გადასახადი (429 მილიონი ანუ დაგეგმილზე 12%-პროცენტით მეტი), შემდეგ მოდის დამატებული ღირებულების გადასახადი (987 მილიონი, გეგმის 105 პროცენტი), აქციზი (286 მილიონი, 102 პროცენტი) და საბაჟო გადასახადი (123 მილიონი, 100 პროცენტი).

დამატებული ღირებულების გადასახადი კვლავაც დარჩა ბიუჯეტის შევსების უპირველეს წყაროდ (2005 წელს საგადასახადო შემოსავლებში დღგ-ს წილმა 54პროცენტამდე მიაღწია). სოციალური გადასახადით საგადასახადო შემოსავლების 23 პროცენტის მობილიზება მოხდა; აქციზის წილად, დაახლოებით 16 პროცენტი, საბაჟო გადასახადიდან კი შემოსავლების 7 პროცენტამდეა მიღებული.

### არასაგადასახადო შემოსავლები

მიღებული შემოსავლების მხრივ სიჭარბე დაფიქსირდა არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილშიც. დაგეგმილი 263 მილიონი ლარის ნაცვლად ამ ხაზით 280 მილიონი ლარის თავმოყრა მოხერხდა, რამაც გეგმის 6 პროცენტიანი სიჭარბით შესრულება უზრუნველყო.

### კაპიტალური შემოსავლები

რაც შეეხება კაპიტალური შემოსავლების ნაწილს, აქ ლომის წილი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან (საპრივატიზებო გარიგებებიდან) მიღებულ შემოსავლებზე მოდის, თუმცა გეგმის (386 მილიონი) შესრულება სრულფასოვნად მაინც ვერ მოხერხდა - გარღვევამ 3 მილიონ ლარს (დაახლოებით, 1 პროცენტს) მაინც გადააჭარბა. თუმცა, კაპიტალური შემოსავლების სხვა პოზიციაზე, კერძოდ, მიწისა და სხვა არამატერიალური აქტივების გაყიდვის ნაწილში გეგმის ყველაზე დიდი გადაჭარბებაა დაფიქსირებული - მთელი 638 პროცენტი. თუმცა, ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია თავდაპირველად დაგეგმილი თანხის (0,6 მილიონი ლარი) სიმცირე, რამაც გამოიწვია კიდეც ამხელა გადაჭარბება.

ზოგადად, არასაბიუჯეტო შემოსავლების ხაზით 452 მილიონის აკრეფა მოხერხდა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია წინა წლების მონაცემებთან შედარებით.

### ჩავარდნები

რაც შეეხება ჩავარდნებს, აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნების შედარებით დაბალი მაჩვენებელი (87 პროცენტი), ასევე გრანტების ნაწილი, სადაც გარღვევამ 14 პროცენტი ანუ ფულად გამოსახულებაში 17 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა (104 მილიონი დაგეგმილი 121-ის ნაცვლად).

### ხარჯები

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 2 მილიარდ 842 მილიონი ლარის მოცულობით იყო განსაზღვრული. თუმცა, როგორც საბოლოო მონაცემებიდან ირკვევა, რეალურად გაწეული ხარჯების მოცულობამ მხოლოდ 2 მილიარდ 617 მილიონი ლარი ანუ დაგეგმილის მხოლოდ 92 პროცენტი შეადგინა (სხვაობა - 225 მილიონი ლარი).

ყველაზე მსხვილი სახარჯო მუხლი მიმდინარე ხარჯები აღმოჩნდა (მთელი გასავლების 83 პროცენტი), თუმცა გეგმიური პარამეტრის შესრულებას აქაც საკმაოდ სოლიდური თანხა - 172 მილიონი ლარი დააკლდა (2 მილიარდ 322 მილიონი ლარის ნაცვლად მხოლოდ 2 მილიარდ 150 მილიონი ლარი გაიხარჯა).

### რეკორდსმენი მხარჯველები

თუ გადავხედავთ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურას, საკმაოდ საინტერესო სურათის მოწმენი გავხდებით: საერთო ხარჯების თითქმის მეხუთედი სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე მიიმართა (საერთო ხარჯების 19 პროცენტი ანუ 529 მილიონი ლარი). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სიდიდით მეორე სახარჯო კატეგორია ე.წ. “სხვა ხარჯების" მუხლით დახარჯული თანხებია, რომელთა მიზანმიმართულობა და გამჭვირვალობა, ტრადიციულად, ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. არადა, ამ ხაზით 2005 წელს 460 მილიონ ლარამდეა დახარჯული. სიდიდით მესამე ხარჯი თავდაცვის სფეროს წილად მოდის, რომელმაც 2005 წელს 390 მილიონს ანუ ბიუჯეტის საერთო ხარჯების 15 პროცენტს მიაღწია (შედარებისთვის: 2004 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 230 მილიონი ლარით არის გაზრდილი).

### დეფიციტი

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა 344 მილიონი ლარის ფარგლებში დაფიქსირდა. უფრო დეტალური ანალიზისას იკვეთება მისი გამომწვევი რამდენიმე ძირითადი მიზეზი: კერძოდ, არ შემოვიდა დაგეგმილი თანხები სახაზინო ვალდებულებების ემისიიდან (ამ მუხლით გათვალისწინებული იყო 20 მილიონი ლარის მობილიზება), სამაგიეროდ, წინა წლებში გამოშვებული ვალდებულებების “ჩასაქრობად" ბიუჯეტიდან 32 მილიონ ლარზე მეტი მიიმართა.

გარდა ამისა, სრული მოცულობით არ გადმოირიცხა მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტით გათვალისწინებული თანხები (37 მილიონი ლარის ნაცვლად ქვეყანამ მიიღო მხოლოდ 24 მილიონი ლარი ანუ 13 მილიონამდე ლარის გარღვევა დეფიციტს აქედანაც დაემატა). და რაც მთავარია, ქვეყანამ ვერ მიიღო ნავარაუდევი ოდენობით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 233 მილიონის ნაცვლად, ამ ხაზით მხოლოდ 103 მილიონის თავმოყრა მოხერხდა, რითაც დეფიციტის მაჩვენებელმა მარტო ამ პოზიციაზე 130 მილიონი ლარი შეადგინა.

### ტრანსფერები

ქვეყნის მხარეების მიხედვით გადაცემული ტრანსფერების მოცულობა ყველგან 90 პროცენტზე მაღალი ნიშნულით ხასიათდება (ყველაზე მცირედ - 93 პროცენტით - ქვემო ქართლის მხარეა დაფინანსებული). საბოლოო ანგარიშითაც, ამ პარამეტრით გასაწევი ხარჯები 92 პროცენტით დაფინანსდა (1 მილიარდ 274 მილიონი ლარით დაგეგმილი 1 მილიარდ 380 მილიონის ნაცვლად). თუმცა, ზოგიერთ რაიონის მაგალითს თუ მოვიხმობთ, ჩავარდნა გაცილებით თვალსაჩინოა: მაგალითად, ხობში (გადაეცა დაგეგმილი ტრანსფერის მხოლოდ 55 პროცენტი), დმანისში (73 პროცენტი), წალკაში (75 პროცენტი) და ა.შ. არასრული სუბსიდირების გამო თანხები ძირითადად მოაკლდა სოციალური ტიპის ღონისძიებების დაფინანსებას. არასრულად დაფინანსებული სოციალური ღონისძიებებიდან ასევე განსაკუთრებით გამოსაყოფია დევნილების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების მდგომარეობაც: მაგალითად, დევნილთა შენახვის ხარჯები ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დაფინანსდა 88 პროცენტით, ლტოლვილთა და დევნილთა შენახვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები კი კიდევ უფრო ნაკლებად - მხოლოდ 85 პროცენტი.

### ნაშთები

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაზინის ანგარიშზე რიცხული გამავალი ნაშთის მოცულობამ 142 მილიონ ლარს გადააჭარბა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არაერთმა სახელმწიფო უწყებამ 2005 წელი ისე დაასრულა, რომ მათ ანგარიშებზე სოლიდური მოცულობის თანხები დაუხარჯავი დარჩა. ყველაზე თვალსაჩინო ამ თვალსაზრისით ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებში შექმნილი ვითარებაა: ფინანსთა სამინისტრომ დაგეგმილი 696 მილიონი ლარიდან მხოლოდ 582 მილიონი ლარი აითვისა, ენერგეტიკის სამინისტრომ კი დაგეგმილი 292 მილიონიდან მხოლოდ 230 მილიონი დახარჯა. იგივე მდგომარეობაა აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ერთეულებშიც: სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში (დაფინანსების გეგმა - 54 მილიონი ლარი, რეალურად დახარჯულის მოცულობა - 41 მილიონი ლარი), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (გეგმა - 33 მილიონი ლარი, რეალური ხარჯი - 25), ასევე სხვა სამინისტროებსა თუ საქვეუწყებო დაწესებულებებში. სახარჯო პოლიტიკის ამ მდგომარეობის გამო, 2006 წლის 1 იანვრისთვის სახელმწიფო უწყებებს თავიანთ ანგარიშებზე სულ დაუხარჯავი დარჩათ 224 მილიონი ლარი.

### დასკვნა

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, თავისი ყველა წინამორბედისგან განსხვავებით, გამორჩეულად მასშტაბური იყო მობილიზებული შემოსავლების მიხედვით. პრაქტიკულად, ყველა მიმართულებიდან ბიუჯეტში თანხები დაგეგმილზე გაცილებით მეტი ოდენობით შემოდიოდა, რის გამოც წლის განმავლობაში ბიუჯეტი არაერთხელ გაზარდა, თანაც საკმაოდ სოლიდურად. თუმცა, შემოსავლების მკვეთრი მატების სრულფასოვანი ასახვა ვერ მოხერხდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. შესაბამისად, ხარჯების გარკვეული ნაწილი დაუფინანსებელი დარჩა, დახარჯული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის მიზანმიმართულობა და აუცილებლობა კი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სამწუხაროდ, იგივე ტენდენცია შეინიშნება 2006 წლის პირველი თვეების განმავლობაშიც. ეს კი უკვე საკმაოდ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა სერიოზული ხარვეზებით იგეგმება და ხორციელდება, რაც უკვე შეუქცევადი მანკიერი პრაქტიკის სახეს იღებს.

პარალელურად, აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ დაბალია ბიუჯეტთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულების განცდა, რაც შესაბამისი ინფორმაციის დაფარვასა თუ დაინტერესებული საზოგადოებისთვის არასრულფასოვნად ან დაგვიანებით წარდგენაში გამოიხატება. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ეჭვს საბიუჯეტო პროცესში საეჭვო გარემოებების არსებობის შესახებ, რაც აუცილებლად მოითხოვს სათანადო საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებასა და ინტენტიფიკაციას.

## მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი იზრდება

24 მარტს ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ღირებულებამ ბარელზე 64 დოლარს გადააბიჯა. გასულ ხუთშაბათთან შედარებით ნავთობის ფასმა 35 ცენტით დაიკლო და 64.26 დოლარს გაუტოლდა.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნავთობის ღირებულების გაზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნედლი ნავთობის მარაგის შემცირებამ განაპირობა. აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში ნავთობის კომერციული მარაგი 1.3 მილიონი ბარელით შემცირდა და დღეისათვის 338.6 მილიონ ბარელს შეადგენს.

ნავთობის ბაზარზე ასეთი ცვლილებები ნიგერიაში შექმნილმა მდგომარეობამაც განაპირობა. აფრიკის უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში "ბოევიკების" ქმედებებმა პრაქტიკულად მთელი ბიზნესის პარალიზება გამოიწვია.

ექსპერტების პროგნოზით, ნიუ-იორკში ნავთობის ფასის მატება მომავალ კვირაშიც გაგრძელდება. მათი ვარაუდით, ერთი ბარელი "შავი ოქროს" ღირებულება 70 დოლარი იქნება. ცნობისათვის, ფასის ასეთი რეკორდული მაჩვენებელი გასული წლის 30 აგვისტოს დაფიქსირდა. მაშინ ბარელი ნავთობის ფასი 70.85 დოლარი იყო.

მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებმა საქართველოზეც ჰპოვა ასახვა. როგორც "საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, ერთი ტონა ბენზინის ფასი ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში 520-530 დოლარიდან 580 დოლარამდე გაიზარდა, დიზელის საწვავის ფასმა კი 519-520 დოლარიდან 555 დოლარი შეადგინა.



"ფასების ზრდა, ერთი მხრივ, გაზაფხულის სეზონის დადგომას უკავშირდება. როგორც წესი, ამ დროს საწვავზე მოთხოვნა იზრდება, რადგან იწყება საგაზაფხულო სამუშაოები, აქტიურდება ტრანსპორტის მოძრაობა. მეორე მხრივ კი, საწვავის ფასის ზრდა ირანში და ნიგერიაში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამაც განაპირობა, რადგან ეს ქვეყნები ნავთობის უმსხვილეს ექსპორტიორებად ითვლებიან," - განაცხადა მთვრალაშვილმა. მისი შეფასებით, თუ მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასის ზრდის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება, ეს საქართველოს ბაზარზეც აისახება, თუმცა ამ ეტაპზე საწვავის ფასები საქართველოში სტაბილურია.

"ქართული ბაზარი აზერბაიჯანული ბენზინით სრულად გაჯერდა. ავტომობილების მძღოლებს ბენზინგასამართ სადგურებზე აზერბაიჯანული ბენზინის თავისუფლად შეძენა შეუძლიათ, რომელიც ევროპულ ბენზინთან შედარებით 5-10 თეთრით იაფია," - განაცხადა მთვრალაშვილმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანული ბენზინის ხარისხი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. მასში შემცირებულია ბენზოლისა და არომატული ნახშირწყალბადების შემცველობა.

ბენზინგასამართ სადგურებზე ამჟამად რეგულარის ტიპის აზერბაიჯანული წარმოების ერთი ლიტრი ბენზინი, რომელსაც მომხმარებელთა 70 პროცენტს მოიხმარს, 1,20 - 1,25 ლარი ღირს. ევროპული წარმოების იგივე ტიპის ბენზინის ფასი კი - 1,35 ლარია. აზერბაიჯანიდან საქართველოში თვეში საშუალოდ 16-18 ათასი ტონა ბენზინის იმპორტი ხორციელდება, რაც საქართველოს მთლიანი მოხმარების 70 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ფრანგული უძრავი ქონება - ყველა ყაიდის მყიდველისათვის

პირველი გვერდიდან

სინამდვილეში კი უძველესი ციხე-კოშკებით, ელიტარული ღვინოებით და დიდებული სამზარეულოთი განთქმული ეს ქვეყანა ყველანაირ, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის მქონე მყიდველს შეეფერება. საფრანგეთი ძალზე მრავალმხრივი გეოგრაფიით გამოირჩევა: აქ არის დიდი, ხმაურიანი პარიზი საოცარი კულტურული ძეგლებით და მუზეუმებით, ძველი, განუმეორებელი ბრეტანი, ციხე-კოშკებით მოკირწლული ლუარის დაბლობი, სადაც საფრანგეთის რომანტიკულ წარსულს სრულად შეიცნობთ, ალპური და ზღვისპირა კურორტები, ნორმანდიისა და ლოტარინგიის წარმტაცი მხარეები...

საფრანგეთში უამრავი შესაძლებლობაა როგორც საცხოვრებელ, ასევე ბიზნესისათვის განკუთვნილ ფართში კაპიტალის დასაბანდებლად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში უძრავი ქონების ფასი ნელა, მაგრამ მყარად იზრდება, რაც ნიშნავს, რომ ინვესტიცია წამგებიანი არავითარ შემთხვევაში არ იქნება.




### ფრანგული ბიუროკრატია

საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა გარიგება ნოტარიუსის საშუალებით ფორმდება, რომელიც რომელიმე მხარეს კი არ წარმოადგენს, არამედ სახელმწიფოს ინტერესებს იცავს. მისი მოვალეობაა დაამოწმოს, რომ გარიგება სუფთად, ყველა იურიდიული ნორმის დაცვით განხორციელდა. ამასთან, სწორედ მისი საბანკო ანგარიშის მეშვეობით ხორციელდება ანგარიშსწორება.

საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი მყიდველსა და გამყიდველს შორის ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმება გახლავთ. მისი ხელისმოწერისას მყიდველი იხდის ერთგვარ ბეს, რომელიც, მინიმუმ შენაძენის ღირებულების 10 პროცენტი უნდა იყოს. ეს თანხა ნოტარიუსის სპეციალურ ანგარიშზე განთავსდება და სრული ღირებულების გადახდამდე, ან კიდევ გარიგების ანულირებამდე იქვე შეინახება.

ხელშეკრულებაში დაწვრილებით უნდა აიწეროს გარიგების დეტალები: ქონების ღირებულება, გადახდის პირობები და ა.შ. ამ ეტაპიდან ქონება უკვე მყიდველის საკუთრებად ითვლება და მას გასაყიდთა სიიდან ამოიღებენ. ბეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აბრუნებენ, თუ მყიდველი შენაძენის გაკეთებაზე უარს ერთი კვირის ვადაში იტყვის. თუმცა, ბეს დაკარგვის დიდი რისკი მაინც არსებობს, რადგან, სანამ ხელშეკრულების ანულირება მოხდება, აუცილებლად უნდა გაირკვეს, რის საფუძველზე ამბობს მყიდველი უარს და რამდენად ზარალდება გამყიდველი.

ამ დოკუმენტის გაფორმების შემდეგ 30-დან 90 დღის განმავლობაში მიმდინარეობს გასაყიდი ქონების წარმომავლობის, საქმის იურიდიული მხარის შესწავლა, გარიგების პატიოსნების დადგენა და შესაძლო მცირე ხარვეზების გამოსწორება. სწორედ ამ ხნის განმავლობაში უნდა მოაგვაროს გარიგების ფინანსური მხარე სრულად მყიდველმა.

შენაძენის გაკეთების მეორე ნაბიჯი გახლავთ ნოტარიუსთან ერთად ყიდვა-გაყიდვის საბოლოო ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შემდეგაც ქონება ახალ მფლობელს გადაეცემა. ამ მომენტისათვის სრული თანხა, რომელიც მყიდველმა ნოტარიუსის ანგარიშზე მოათავსა, გამყიდველს გადაეცემა. ამავდროულად, მომავალში პრობლემების თავიდან აცილების მიზნით ნოტარიუსი იქვე არკვევს ქონების მემკვიდრეობით გადაცემის საკითხსაც. ამისათვის საჭიროა თან გქონდეთ ფრანგულად თარგმნილი, თბილისელი ნოტარიუსის მიერ დამოწმებული და იუსტიციის და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ლეგალიზებული თქვენი და ოჯახის წევრების დაბადების მოწმობები და ქორწინების მოწმობა.

ამის შემდეგ ნოტარიუსი რამდენიმე დღის განმავლობაში ახალ მფლობელს შესაბამის ბიუროში არეგისტრირებს. ცხადია, ქონება აუცილებლად უნდა დაიზღვეს. ამაზე პასუხს უკვე ახალი მფლობელი აგებს.

### ფრანგულენოვანი კომერსანტი

ზემოთ უკვე გაეცანით მთელ ბიუროკრატიულ მექანიზმს, რომლის გადალახვაც საფრანგეთში ქონების შეძენისას მოგიწევთ. თუმცა, თუ საფრანგეთის ან ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქე, ან რეზიდენტი არ ბრძანდებით, წინ დამატებითი სიძნელეები გელით. ამ რანგის პირებს მიწის ნაკვეთის, განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო და საკურორტო ზონაში, შეძენა ფაქტობრივად არ შეუძლიათ.

პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტურისტული ან საქმიანი ვიზით, ან კიდევ მიწვევით საფრანგეთში ყოფნისას უძრავი ქონების ყიდვა სულაც არ გაძლევთ უფლებას, თქვენს შენაძენში დიდ ხანს იცხოვროთ. ანუ, ვიზის ვადის გასვლის შემდეგ თქვენს ქონებას გაურკვეველი დროით ემშვიდობებით და სამშობლოში მიემგზავრებით. შეღავათი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ადგილობრივი პრეფექტურა გარიგების საბოლოოდ გაფორმებამდე საფრანგეთში ლეგალურად ცხოვრების ვადას გაგიხანგრძლივებთ.

მაგრამ თუ საფრანგეთში დარეგისტრირებული ხართ როგორც იურიდიული პირი და ქვეყნის ტერიტორიაზე ბიზნესი გაქვთ, თქვენ კომერსანტის ბარათს, ან კიდევ 5 წლიან სამუშაო ვიზას აიღებთ. ეს კი ქონების მშვიდად შეძენის და მისი გამოყენების საშუალებას მოგცემთ.

გარდა ამისა, ქონების ღირებულების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გადარიცხვის განხორციელებისას პრობლემები შეგექმნათ. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვილი შენაძენის გაკეთებისას ნაღდი ფულით ანგარიშსწორება აკრძალულია, 10 ათასი ევროს და მეტი თანხის გადარიცხვისას კი ოპერაცია გულმოდგინედ მოწმდება.

და კიდევ, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ფრანგები ძალიან აფასებენ მშობლიურ ენას და ეჭვით უცქერენ ინგლისურად მოსაუბრე პირებს. 1994 წელს მიღებული კანონის მიხედვით, ფრანგულის გამოყენება აუცილებელია ყველა საქმიანი გარიგებისას. თუ რომელიმე საბუთში ინგლისურად დაწერილი ერთი სიტყვა მაინც შენიშნეს, უმალ ხელშეკრულების გადახედვის საკითხი დგება.

### მოსამსახურის ოთახიდან ციხე-კოშკამდე

ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, საფრანგეთში განასხვავებენ ორი სახის უძრავ ქონებას: ბინებს, ან აპარტამენტებს და სახლებს. ვილის შეძენა შესაძლებელია დიდი ქალაქის გარეუბანში, ან პროვინციაში.

ბინის ვარიანტიდან გამოყოფის ღირსია წმინდა ფრანგული პროფილის საცხოვრებელი: მოსამსახურის და სტუდენტის ოთახი. პირველი, როგორც წესი, მდებარეობს უკანასკნელ სართულზე და პაწაწინა სააბაზანოსა და სამზარეულოს გარდა სულ რაღაც 8-10 კვადრატული მეტრი ფართობისაა. ამგვარი ოთახი იდეალურია დროებით საცხოვრებლად. ღირებულება, ქალაქის და უბნის მიხედვით, 30-55 ათას ევრომდე მერყეობს და მისი გაყიდვა ყოველთვის შეიძლება, რადგან მასზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა.

რაც შეეხება სტუდენტურ ოთახებს, ისინი, როგორც წესი, ძირითადად ახალ ნაგებობებშია განლაგებული და სპეციალურად ამ კატეგორიის მეპატრონეებისათვის არის განკუთვნილი. როგორც წესი, ეს ოთახები სრულიად კეთილმოწყობილია, მათი ფართობი 18-დან 25 კვადრატულ მეტრამდე, ფასი კი, პატარა ქალაქებში 45-დან 75 ათას ევრომდე, პარიზსა და სხვა დიდ ქალაქებში კი 75-დან 100 ათას ევრომდე მერყეობს.

ფრანგული უძრავი ქონების ღირებულებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მის ფასზე დიდ გავლენას ახდენს მდებარეობა და სახეობა. მაგალითად, პარიზში ბინის ერთი კვადრატულის ფასი 2-დან 9 ათას ევრომდე მერყეობს. ყველაზე იაფად უძრავი ქონების შეძენა შეგიძლიათ სამრეწველო და ე.წ. ცუდ უბნებში, სადაც ძირითადად არაფრანგი მოსახლეობა ცხოვრობს, ელიტარულად კი ელისეის მინდვრების, ეიფელის კოშკის, ორსოს მუზეუმის, სენ-მიშელის მახლობლად მდებარე ტერიტორიები ითვლება.

რაც შეეხება საფრანგეთის პროვინციებს, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის შეძენა საშუალოდ 2 ათას ევროდაა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, ისეთ დიდ, კულინარიული მიღწევებით განთქმულ და პარიზთან ახლოს მდებარე ქალაქში, როგორიც ლიონია, გვარიანი სიიაფეა და იქ კვადრატული მეტრი 1-დან 2,5 ათას ევრომდე დაგიჯდებათ. კიდევ უფრო დაბალი ფასებია ევროპის პოლიტიკურ ცენტრ სტრასბურგში, სადაც კვადრატული მეტრი 500-დან 1500 ევრომდე ღირს. არადა, აქვეა ლუქსემბურგი, გერმანია და შვეიცარია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, იმავე სტრასბურგში ფენეშენებელური ვილა 2-3 მილიონამდე ღირს.

სამაგიეროდ, გვარიანი სიძვირეა საპორტო და სამრეწველო, კოლორიტულ მარსელში, სადაც კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 1,5-დან 3 ათას ევრომდე ფასობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პარიზთან ერთად, მარსელში უძრავ ქონებაზე ფასი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება და თქვენი შენაძენი საკმაოდ წარმატებული კაპიტალდაბანდება იქნება.

თავისთავად ცხადია, გაცილებით სიძვირეა საკურორტო ზონაში. მაგალითად, ნიცასა და კანის საშუალო პრესტიჟულობის უბნებში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 6-დან 10 ათას ევრომდე დაგიჯდებათ. ხოლო ვისაც სურს, საფრანგეთის სანაპიროზე, ან ალპებში ვილა შეიძინოს, ანგარიშზე, სულ მცირე, მილიონი ევრო მაინც უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ძველ ციხე-კოშკებს, მათი ფასი ასტრონომიულად მაღალია და შეიძლება 100 მილიონსაც აღწევდეს. თუმცა, ვილას ან კოშკის ყიდვა მიწის ნაკვეთის შეძენასაც გულისხმობს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

### გადასახადი და კრედიტი

საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენის შეთხვევაში მზად უნდა იყოთ საკმაოდ მაღალი გადასახადის გადახდისათვის. საერთოდ, ფრანგული საგადასახადო სისტემა მთელს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე რთულად არის აღიარებული.

გარდა იმისა, რომ ქონების შეძენისას მისი ღირებულების 8 პროცენტს იხდით, კიდევ ათასგვარი ყოველწლიური გადასახადით იბეგრებით. უძრავი ქონების გადასახადი ფიქსირებული არ არის და საკუთრების ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით იცვლება. გარდა ამისა, სახელმწიფო ცხოვრების ბეგარასაც ითხოვს. ამ ორმა წლიურმა გადასახადმა შეიძლება 1000-დან 10 ათას ევრომდე შეადგინოს.

გარდა ამისა, არსებობს საკუთრების გადასახადი, რომელსაც ის ფიზიკური პირი იხდის, რომლის ფრანგული კაპიტალი (უძრავი ქონება და საბანკო ანგარიში) 700 ათას ევროს აჭარბებს.

თქვენი ქონების გაყიდვის შემთხვევაში მიებული მოგებიდან გადასახადის გადახდა მოგიწევთ, რომლის ოდენობა წლიდან წლამდე იცვლება. კერძოდ, ქონების შეძენიდან ერთი წლის, ან უფრო მცირე დროის შემდეგ მისი გაყიდვის შემთხვევაში შემოსავლის 33,3 პროცენტს იხდით, ყოველი შემდეგი წლის გასვლის შემდეგ ამ რიცხვს 1 პროცენტი აკლდება. მინიმალური გადასახადი კი 13 პროცენტი გახლავთ.

როგორც წესი, ფრანგული ბანკები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე კრედიტს ძალიან უხალისოდ და მეტად მცირე რაოდენობით გასცემენ. თანაც, პროცედურა იმდენად რთული და ბიუროკრატიულია, რომ ყველა სიძნელის გადალახვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთ დროს ძალიან დაგეხმარებათ საფრანგეთის მოქალაქის, განსაკუთრებით ამავე ბანკის საპატიო კლიენტის რეკომენდაცია. თუ თქვენი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, შეგეძლებათ აიღოთ შესაძენი ქონების ღირებულების 30 პროცენტი, რაც რეზიდენციის ქონის შემთხვევაში ორჯერ იზრდება. აღებული სესხის პროცენტული გადასახადი საკმაოდ მაღალია და 4-დან 6 პროცენტამდე მერყეობს.

სამაგიეროდ, ფრანგულ ბანკში თავისუფლად შეგიძლიათ გახსნათ ანგარიში და ფინანსური ოპერაციები აწარმოოთ. მართალია, ფრანგული ბანკები ანაბრებზე ძალზე მწირ, წლიურ 3-4 პროცენტს თუ არიცხავენ. მაგრამ როცა ევროპის ამ მშვენიერ ქვეყანაში ქონებას ფლობთ, მსგავს წვრილმანებზე, ალბათ, აღარ იფიქრებთ.

## აშშ-ს და ევროპის საფონდო ბირჟებზე ზრდა დაფიქსირდა

აშშ-ს საფონდო ბირჟა პარასკევს ზრდის ტენდენციით დაიხურა, რაც ძირითადად ინტერნეტპორტალ Google-ს აქციების 7 პროცენტით გაძვირებამ და უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ გამოქვეყნებულმა მონაცემებმა განაპირობა. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ფრანგული სატელეკომუნიკაციო გიგანტი Alcatel Lucent Technologies-ს შეიძენს, ამ უკანასკნელის აქციებმა 8,5 პროცენტით მოიმატა.

კერძოდ, Dow Jones industrial averaje index 0,09 პროცენტით 11.279,97-მდე გაიზარდა, Standard & Pool's 500 index-მა 0,1 პროცენტით 1.302,95-მდე მოიმატა, ხოლო, 0,55 პროცენტით გამყარებულმა Nasdaq Composite Index-მა 2.312,82 პუნქტს მიაღწია.

ევროპულ საფონდო ბირჟებზე კი ზრდა იმავე Alcatel-ის მომავალი გარიგების და ნედლეულის გაძვირების წყალობით დაფიქსირდა. ანუ, წარმატებით გაგრძელდა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში დაფიქსირებული ტენდენცია. კერძოდ, ევროპული საფონდო ინდექსი FTSEurofirst 300 0,5 პროცენტით გაიზარდა და 1.383,19 პუნქტს მიაღწია, რაც 2001 წლის შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებელია.

*27 მარტი. 01:00.*










## Lucent Technologies-ს Alcatel ყიდულობს

სატელეკომუნიკაციო აპარატურის ფრანგული მწარმოებლის Alcatel-ის და მისი ამერიკული კოლეგის Lucent Technologies-ის შერწყმა პირველის მიერ მეორის შეძენის სახით გაფორმდება. ახალი ჯგუფის შტაბ-ბინა საფრანგეთში განთავსდება. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ Alcatel ფრანგული თავდაცვის კომპანია Thales-ის თითქმის 10 პროცენტის შენარჩუნებას აპირებს. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ფრანგული გიგანტი ამ წილის აეროკოსმოსური კორპორაცია EADS-ისათვის მიყიდვას აპირებდა.

ეს ორი კომპანია შერწყმის შესახებ მოლაპარაკებებს ჯერ კიდევ 2001 აწარმოებდა, მაგრამ მაშინ გარიგება არ შედგა. ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია, ოფიციალური ინფორმაციით, გარიგება საბაზრო ფასების მიხედვით განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ შერწყმის შემდეგ ახალი კომპანია ამერიკული Cisco Systems-ზე მსხვილი იქნება. **24 საათი.**

## Philip Morris-ს უჩივლეს

თამბაქოს მწარმოებელ ერთ-ერთ გიგანტურ კომპანია "Philip Morris"-ს ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მოტივით საკმაოდ დიდი კომპენსაცია დაეკისრა. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა კალიფორნიის სააპელაციო სასმართლოს ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც რიჩარდ ბოკენის ქვრივი კომპენსაციის სახით 82 მილიონ დოლარს მიიღებს. აქედან 5,5 მილიონი პირად კომპენსაციას, 50 მილიონი დოლარი საჯარიმო გადასახადებს, ხოლო დარჩენილი 26 მილიონი დოლარი სასამართლო დაქვითვებს მოხმარდება.

რიჩარდ ბოკენმა "Philip Morris"-სს მას შემდეგ უჩივლა, რაც 1999 წელს ფილტვების და თავის ტვინის კიბო აღმოუჩინეს. ექიმებმა დაავადების გამომწვევ მიზეზად სწორედ სიგარეტი დაასახელეს. რიჩარდ ბოკენი 40 წლის განმავლობაში დღეში 2 კოლოფ "მალბოროს" ეწეოდა. 2002 წელს იგი გარდაიცვალა და მისმა ქვრივმა სასამართლოს მიმართა. მისი აზრით, "philip Morris"-ი მომხმარებლებს სიგარეტის მავნებლობის შესახებ სათანადოდ არ აფრთხილებდა.

თუმცა, კომპანია "philip Moris"-ის წარმომადგენლები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და აცხადებენ, რომ ისინი საზოგადოებას ყოველთვის ახსენებდნენ მოწევის მავნებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ სიგარეტის მწარმოებელ კომპანიას მატერიალური კომპენსაცია მაინც დააკისრა. **24 საათი.**

## ბიზნესისა და სამართლის ახალი ქართულ-ამერიკული უნივესიტეტი

საქართველოში, ამერიკის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ბიზნესისა და სამართლის ახალი ქართულ-ამერიკული უნივესიტეტი (GAU) დაარსდა. 25 მარტს, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტმა და ამერიკის უნივერსიტეტმა ოფიციალური პარტნიორობის თაობაზე ხელშეკრულება საზეიმო ვითარებაში გააფორმეს.

ახალი სასწავლო ცენტრი 2005 წლის თებერვალში დაარსდა. პირველი სრული სასწავლო პროცესი კი სექტემბერში დაიწყო.

ბიზნესისა და სამართლის ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. შენობა თანამედროვე კომპიუტერული და დისტანციური სწავლების ტექნიკითაა აღჭურვილი. ამასთან, უნივერსიტეტი მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. GAU-ს ლექტორთა შორის ბიზნესისა და სამართლის სფეროში მოღვაწე როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არიან.

უნივერსიტეტში თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი წიგნების მაღაზიაა. განსაკუთრებული ყურადღება სპორტულ და გამაჯანსაღებელ პროგრამებს ეთმობა. უნივერსიტეტის ბაზაზე კალათბურთის გუნდიც არსებობს.

ახალი უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სასწავლო გაცვლით პროგრამებს სთავაზობს და ამასთან, წარჩინებულ სტუდენტებს სამუშაო ადგილებითაც უზრუნველყოფს.

GAU-ში სწავლება ორ საფეხურიანია: ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. სწავლის ღირებულება უნივერსიტეტში 1800-2000 აშშ დოლარია. **24 საათი.**

## ბანკების მიერ გაცემული სესხები 116,7 მილიონი ლარით გაიზარდა

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები 2006 წლის იანვარ-თებერვალში 116.7 მლნ ლარით გაიზარდა და 1.853 მილიარდი ლარი შეადგინა. როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში განაცხადეს, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 36.3 მილიონი ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 80.4 მილიონი ლარით არის გაზრდილი. მიმდინარე წლის თებერვალში, იანვართან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 83 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები გაზრდილია 31.8 მილიონი ლარით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების მოცულობა 51.2 მილიონი ლარით.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობას დარგობრივ ჭრილში თუ განვიხილავთ, მთლიანად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ აგრარული სფერო, ტრადიციულად, დაკრედიტების თვალსაზრისით მაღალი რისკის სექტორად ითვლება, 2006 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორის დაკრედიტების მასშტაბები 2 მლნ ლარით გაიზარდა და 12.9 მლნ ლარი შეადგინა; საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი ტემპით (პროცენტულ გამოსახულებაში) 234 პროცენტით გაიზარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორის დაკრედიტება და 2006 წლის თებერვლის ბოლოსათვის 55 მლნ ლარი შეადგინა; ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს დაფინანსების მოცულობამ 78.3 პროცენტით მოიმატა 586.4 მლნ ლარამდე, მშენებლობის სექტორისათვის გაცემულმა სესხებმა - 119.5 პროცენტით, 123.4 მლნ ლარამდე, ხოლო 32.3 პროცენტით - 198 მლნ ლარამდე გაიზარდა სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის დაკრედიტება (კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ანალიზისას დაკრედიტების მაჩვენებლები (დარგობრივ ჭრილში) გამოთვლილია როგორც სახელმწიფო სექტორს დაქვემდებარებული საწარმოებისათვის, ისე კერძო სექტორისათვის). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## საბერძნეთში ტურიზმის პერსპექტივებს განიხილავენ

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტურიზმის მინისტრები საბერძნეთში, 31 მარტს დაგეგმილ შეხვედრაზე ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივებს განიხილავენ. როგორც ორგანიზაციის სამდივნოში ჟურნალისტებს აცნობეს, შეხვედრის მსვლელობისას მინისტრები თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს და როდოსის დეკლარაციას განიხილავენ, რომელიც პრიორიტეტების მნიშვნელობას განსაზღვრავს.

შეხვედრაში ორგანიზაციაში შემავალი თერთმეტივე სახელმწიფოს მინისტრის მონაწილეობა იგეგმება. ეს სახელმწიფოებია: საქართველო, ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, უკრაინა და თურქეთი. **პრაიმ-ნიუსი.**

## ამინდი

| | 27/03 | 28/03 | 29/03 |
|---|---|---|---|
| კიევი | 1 | 5 | 9 |
| რიგა | -3 | 3 | 4 |
| ვილნიუსი | -4 | 3 | 5 |
| მოსკოვი | 0 | -1 | 7 |
| მინსკი | -2 | 4 | 6 |
| პარიზი | 13 | 5 | 10 |
| რომი | 20 | 21 | 19 |
| ლონდონი | 11 | 8 | 10 |
| მადრიდი | 21 | 18 | 21 |
| ბონი | 15 | 9 | 8 |
| ვარშავა | 2 | 10 | 3 |
| ათენა | 21 | 22 | 23 |
| ბერნი | 16 | 12 | 11 |
| ამსტერდამი | 12 | 5 | 4 |
| ოსლო | -5 | 5 | 5 |
| ანკარა | 15 | 17 | 22 |
| ვარნა | 12 | 15 | 18 |
| ასტანა | 0 | -2 | -8 |
| ჰელსინკი | -10 | -5 | -2 |
| დუბლინი | 6 | 5 | 3 |
| ლისაბონი | 21 | 20 | 21 |
| პრაღა | 11 | 6 | 4 |
| სოფია | 17 | 21 | 20 |
| ბუდაპეშტი | 13 | 16 | 8 |
| ბუხარესტი | 17 | 19 | 21 |

# რუსული დათვი და ჩინური დრაკონი

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### სად არის მსოფლიო ეკონომიკის მომავალი ცენტრი?

გასულ კვირას რუსეთის ორთავიანი არწივი აღმოსავლეთით იყურებოდა. პრეზიდენტი პუტინი ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების დიდი ამალით მზისქვეშა იმპერიას ეწვია. დასავლური პრესაც მაშინვე ალაპარაკდა "დათვისა და დრაკონის" ალიანსსა და ევრაზიაში ძალთა ბალანსის შესაძლო ცვლილებაზე. თუმცა ვიზიტი გამოკვეთილად ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა. გაფორმდა მთელი რიგი ხელშეკრულებები ენერგეტიკის სფეროში. გარდა ამისა, გაიხსნა რუსეთის წელი ჩინეთში. პუტინსა და ჩინეთის ლიდერს, ჰუ ძინტაოს დასავლეთისათვის უსიამოვნო განცხადებები პრაქტიკულად არ გაუკეთებიათ. მოკლედ, საგანგაშო თითქოს არაფერია.

მართლაცდა, თუკი ვიზიტს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ, რუსეთის აზიისკენ სწრაფვა გასაკვირი არანაირად არ უნდა იყოს. აზიის ეკონომიკა ევროპისაზე გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება. იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური თუ ტაილანდი უკვე დიდი ხანია, სერიოზულ როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკაში. თუკი გავითვალისწინებთ, რომ რეგიონის აღმავალი ეკონომიკები - ჩინეთი და ინდოეთი, ზემოთჩამოთვლილ სახელწიფოებს ერთად აღებულებს სიდიდით რამდენჯერმე აჭარბებენ, გასაგები გახდება რაოდენ დიდი მომავალი აქვს აზიას. ოდესღაც მსოფლიოს ეკონომიკა ხმელთაშუა ზღვის აუზში ტრიალებდა (ჯერ რომის იმპერია, შემდეგ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები), ახლა ცენტრი დიდი ხანია ატლანტიკის ოკეანეში მდებარეობს (ევროპა და აშშ), არაა გამორიცხული, მომავალი ცენტრი ინდოეთის ოკეანეში იყოს. თუმცა, ერთი რამ კი ცხადია, ყველა შემთხვევაში ეს ცენტრი ევრაზიის გარშემო იტრიალებს. ევრაზია ხომ განვითარებული დასავლეთ ევროპაცაა და იაპონიაც, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რუსეთიცა და ახლო აღმოსავლეთიც, ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდოეთიცა და ჩინეთიც.

ჩინეთის ეკონომიკა დღესდღეობით სიდიდით მეოთხეა (აშშ-ს, იაპონიისა და გერმანიის შემდეგ) და რუსეთისაზე (მე-12 ადგილი) გაცილებით წინ დგას. ასეთ ქვეყანასთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება თითქოსდა სრულიად ბუნებრივია. ჩინეთი ბევრის მიერ მომავლის ზესახელმწიფოდ მოიაზრება, რომელმაც შესაძლოა აშშ-ც კი ჩაანაცვლოს. თუმცა, ასეთ მოსაზრებას არაერთი "მაგრამ" ახლავს თან. ერთ-ერთი ასეთი "მაგრამ" ჩინეთის გეოგრაფიაა. მზისქვეშა იმპერია ძლიერი სახელმწიფოებით და პოტენციური მეტოქეებითაა გარშემორტყმული, ისეთებით, როგორიცაა იაპონია, ინდოეთი თუ იგივე რუსეთი. მაშინ როცა აშშ იდეალურადაა დაცული ორი ოკეანით. ხოლო რაც შეეხება აშშ-ს მეზობლებს (კანადა და მექსიკა), მათგან რაიმე მეტოქეობასა და საფრთხეზე ხომ ფიქრიც კი სასაცილოა.

მეორე "მაგრამ" კი ჩინეთის ეკონომიკაა. ამქვეყნად მუდმივი არაფერია და შეუძლებელია, რომ ჩინური პროდუქციის კონკურენტუნარიანობა არ დაეცეს. როგორც ავტორიტეტული კვლევითი ჯგუფები აცხადებენ, ჩინეთმა უკვე პიკი გაიარა და დაღმასვლისაკენ მიდის. ჩინური პროდუქციის უმთავრეს ღირსებად დღემდე სიიაფე რჩება, რაც, უპირველესად, ცხადია, იაფი მუშახელის დამსახურებაა. მაგრამ ჩინეთში ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად უკვე ცხოვრების დონემაც აიწია, რის გამოისობითაც მუშახელიც თანდათანობით ძვირდება. ამასობაში კი ჩინური მეთოდოლოგია კარგად აითვისეს ისეთმა ღარიბმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ბანგლადეში და კამბოჯა (აქაური მუშახელი რომ ჩინურზე უფრო იაფია, ამაზე, ალბათ, საუბარი არ ღირს). აქაური მრეწველობა თანდათანობით იკრებს ძალებს. ქსოვილებისა თუ ფეხსაცმელების წარმოებაში ჩინეთს უკვე აღარ გააჩნია ე.წ. შედარებითი უპირატესობა. ამ მხრივ პირველობას ღარიბი ქვეყნები იკავებენ, რომელთაც ჩინეთმა თავად დაანახა სწორი გზა. ღარიბი ქვეყნების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ დიდ ყურადღებას არავინ აქცევს, მაშინ როცა ჩინური ნაწარმის ექსპანსიას ყველა ფხიზლად ადევნებს თვალყურს. მაგალითად, ევროკავშირმა რამდენიმე კვირის წინ 19.4 პროცენტამდე ასწია ბაჟი ჩინურ ფეხსაცმელზე. ამგვარი სანქციები ბანგლადეშის ნაწარმზე, ალბათ, წარმოუდგენელია.

თუმცა, ამის მიუხედავად, ჩინეთი დიდია და ღარიბი ქვეყნები მას ბაზრის არც ისე დიდ სეგმენტს წაართმევენ. თუკი, რასაკვირველია, მთელი ღარიბი სამყარო წარმატებით არ დაადგა ჩინეთის მიერ გაკვალულ გზას. ხოლო სანამ ამგვარ სასწაულებს ექნება ადგილი, ჩინეთი სწრაფად მიიწევს წინ. ერთადერთი, რამაც მას შეიძლება სერიოზულად შეუშალოს ხელი, ეს ენერგორესურსების უკმარისობაა. ჩინეთის რეგიონული პოლიტიკაც სწორედ აქეთკენაა მიმართული. პეკინმა უკვე მიაღწია სარფიან გარიგებებს ყაზახეთთან (შენდება ყაზახურ-ჩინური ნავთობსადენი, ჩინეთმა ხელთ იგდო ყაზახური ნავთობკომპანია), მაგრამ მის მთავარ სამიზნედ, ცხადია, ენერგორესურსებით ყველაზე მდიდარი ქვეყანა, რუსეთი რჩება.



"ვაითუ ხელი შემომიბრუნოს"

### იდეალური თავსებადობა

წლინახევრის წინ გამართულ რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების შეხვედრაზე 2010 წლისათვის ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის სამჯერ გაზრდის მიზანი იქნა დასახული. პრეზიდენტმა პუტინმა იქვე დასძინა, რომ ეს გაზრდა უპირველესად რუსული ტექნიკისა და სამანქანო ნაწარმის ექსპორტის გაზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს. თუმცა, რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს. ჩინეთს რუსეთისაგან მხოლოდ ენერგორესურსები სჭირდება. ხოლო რაც შეეხება ტექნიკასა და სამანქანო ნაწარმს, ამ მხრივ ჩინეთი არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ლამის დასავლეთსაც აღარ საჭიროებს. ამიტომაც, როცა გასულ კვირას შეხვედრისას ჰუ ძინტაომ პუტინის თანდასწრებით განაცხადა, რუსეთი და ჩინეთი ერთიმეორეს ეკონომიკურად ავსებენო, რუსეთის პრეზიდენტს რუსულ ტექნიკასა და სამანქანო ნაწარმზე ხმა აღარ ამოუღია. რუსეთი თანდათანობით თანხმდება ჩინეთისათვის ნედლეულის წყაროს როლზე. თუკი აქამდე რუსეთი აშშ-ს უმცროს პარტნიორად მოიაზრებოდა, ახლა იგი ჩინეთის უმცროსი პარტნიორის როლს ირგებს.

მაგრამ რომელი როლი ჯობს? აშშ რუსეთისაგან შორსაა და მასთან არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია. აშშ-მ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, მაშინ როცა ჩინეთის ძალა და ამბიციები სულ უფრო და უფრო სწრაფად იზრდება და იგი რუსეთის მეზობელია. განა მოსკოვში ვერ ხვდებიან, რომ თუკი რომელიმე სახელმწიფოსგან რაიმე საფრთხე ემუქრებათ, ეს სახელმწიფო სწორედ ჩინეთია.

ცხადია, ესმით და რუსეთს შეგნებული აქვს ეს საფრთხე. ამის ერთი-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ დეკემბერში მოსკოვმა "ჩაინა ნეშენალ ოფშორ კომპანის" ერთ დროს რუსეთის უდიდესი ნავთობკომპანიის, "იუკოსის" ნარჩენების შესყიდვის უფლება არ მისცა. იგივე "იუკოსის" თავკაცის, ხოდორკოვსკის დაპატიმრებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ "იუკოსი" ჩინეთისაკენ მიმავალი ნავთობსადენის აგებას აპირებდა. "ჩაინა ნეშენალ ოფშორ კომპანის" დარად რუსები ალბათ ასევე უარით გაისტუმრებენ ჩინეთის კუთვნილ "სინოპეკ გრუპს," რომელიც "ტეენკა-ბიპის" ფილიალის შესყიდვითაა დაინტერესებული. აღსანიშნავია, რომ იგივე "ბიპის" (ანგლოამერიკულ გიგანტს) რუსეთში უარს არ ეუბნებიან ხოლმე კაპიტალდაბანდებაზე, მაგრამ ჩინურ კომპანიებთან საქმე სხვაგვარადაა.

დღესდღეობით რუსეთი საერთოდ არ ეწევა გაზის ექსპორტს ჩინეთში, მაშინ როცა ევროპისათვის იგი გაზის უმსხვილესი მიმწოდებელია და ცდილობს, ამ მიწოდების მოცულობა კიდევ უფრო გაზარდოს. ლოგიკა ისევ და ისევ მარტივია: რუსეთს ევროპისგან არანაირი საფრთხე არ ემუქრება; ევროპა ცივილიზებული პარტნიორია, ევროპელებს მრავალრიცხოვანი ჩინელებისგან განსხვავებით ახალი მიწები არ ესაჭიროებათ და რუსეთის ტერიტორიაზე არ სახლდებიან; ევროპამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი აქ ნელია. რაც შეეხება ჩინეთს, იგი დღითიდღე მეტ ენერგიას მოიხმარს. საქმე იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი ქარხანა ღამით მუშაობს, რადგან დღისით ელექტროენერგია ყველას არ ჰყოფნის. მაგრამ ამ პირობებშიც კი ჩინეთის ეკონომიკა არნახული ტემპით იზრდება. ჩინური ექსპანსია გაფართოებისათვის აუთვისებელ და ნაკლებად განვითარებულ სივრცეებს ეძებს და საამისოდ იდეალურ ვარიანტს ციმბირი წარმოადგენს. აქაურ მაცხოვრებელთა თქმით, რეგიონი უკვე წალეკა ჩინურმა ნაწარმმა. "მაღაზიებში არაჩინურ საქონელს ვერ ნახავთ, ხალხი უკვე ჩინურ ენას სწავლობს," - ასე ჩივის ქალაქ ნოვოსიბირსკის მერიის წარმომადგენელი. ექსპანსია მხოლოდ საქონლის ექსპორტითა და ჩინელების ჩასახლებით არ ამოიწურება. პეკინს თვალი უჭირავს ნოვოსიბირსკის ცნობილ უბანზე, აკადემგოროდზეც, სადაც 52 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია. აქაურ მეცნიერებს რუსეთის ხელისუფლებამ ვერ უპატრონა და ახლა ამ ფუნქციას საკუთარ თავზე ჩინეთი იღებს. შედეგად, მსოფლიო სახელის რუსი ფიზიკოსები თუ ქიმიკოსები სიამოვნებით მუშაობენ სხვადასხვა ჩინურ შეკვეთებზე - დაწყებული ლაზერის გამოყენებით დამთავრებული დნმ-ზე ცდებით.

მოკლედ, წარმოვიდგინოთ რა მოხდება, როცა ჩინეთი რუსულ გაზსაც მიიღებს და თავის ეკონომიკას კიდევ უფრო დიდი ბრუნვებით აამუშავებს. რაც შეეხება რუსეთის კიდევ ერთ სიმდიდრეს - ნავთობს, ჩინეთის მიერ იმპორტირებული ამ ნედლეულიდან რუსულ ნავთობზე მხოლოდ 5 პროცენტი მოდის. მოკლედ, ალბათ ყველაფერი გასაგებია. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე რუსეთსა და ჩინეთს არაერთხელ ჰქონიათ ამა თუ იმ დონის მოლაპარაკება ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარების თაობაზე, მაგრამ კონკრეტული შედეგი ამას აქამდე არ მოჰყოლია. ერთ-ერთი რუსი დიპლომატის აღიარებით, "ჩინელთა მოთმინების ფიალა ამოიწურა." ამოწურვას შედეგად ის მოჰყვა, რომ ახლა თავად პრეზიდენტი პუტინი ეწვია მზისქვეშა იმპერიას და გაფორმდა უამრავი ხელშეკრულება ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ჩინეთზე გაზსადენის მშენებლობას გულისხმობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერად რუსეთი თამაშს ველარ გააგრძელებს და ამ გარიგებებს კონკრეტული შედეგი ნამდვილად მოჰყვება. ყოველ შემთხვევაში, ჩინეთი რამდენიმე წელიწადში გაზს ნამდვილად მიიღებს. რაც შეეხება ნავთობს, ამ მხრივ პეკინმა რუსებს ვერანაირი კონკრეტული დაპირება ვერ გამოსტყუა, თუმცა ჩინელთა მხრიდან დაწოლა ამ ფრონტზეც აუცილებლად გაგრძელდება.

### "ვაითუ ხელი შემომიბრუნოს"

ალბათ, ბუნებრივად ისმის ლოგიკური შეკითხვა: თუკი რუსეთი ჩინურ საფრთხეს გრძნობს, მაშინ რატომ არ რეაგირებს იმ ვითარებაზე, რომელიც ციმბირშია შექმნილი? რატომ თანხმდება ჩინეთისათვის ენერგორესურსების მიწოდებაზე (აქედან დამატებითი შემოსავალი რუსეთს დიდად აღარ სჭირდება, რადგან ენერგორესურსების გაყიდვებიდან უკვე ისედაც ნახევარ ტრილიონ დოლარამდე დაუგროვდა, რომელიც არ იცის, რაში დახარჯოს)? რატომ მართავს რუსეთი ჩინეთთან ერთად სამხედრო მანევრებს და რატომ აწვდის მას ახალ შეიარაღებას?

ამ შეკითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. თუმცა, ამავე დროს ბევრი რამ ცხადი და გასაგები გახდება, თუკი გავეცნობით გასულ კვირას ჟურნალ "ფორინ ეფეარზში" გამოქვეყნებულ წერილს სათაურით "აშშ-ს ბირთვული პირველობის აღზევება" (The Rise of US Nuclear Primacy). ამ წერილის მიხედვით, დღესდღეობით აშშ-ს შეუძლია, სრულიად უმტკივნეულოდ გაანადგუროს რუსეთის ბირთვული არსენალი. 80-იანი წლების ბოლოდან რუსეთში გამეფებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთის ბირთვული არსენალი დააძველა, მაშინ როცა აშშ ამ სფეროში დიდძალ თანხებს დებდა და უკვე არნახულ უპირატესობას მიაღწია. შედეგად, ყველაზე პესიმისტური გათვლებითაც კი, რუსეთი აშშ-ს ტერიტორიას ვერც ერთ ჭურვს ვერ მიაწვდენს. რუსული ბირთვული არსენალის დაძველების ამბავი არახალია. რამდენიმე წლის წინ ცნობილმა ამერიკულმა კვლევითმა ჯგუფმა "რენდ კორპორეიშენმა" ასეთი სცენარიც იწინასწარმეტყველა: ჩინეთი რუსეთის რამდენიმე პროვინციის ოკუპაციას მოახდენს (რომლებზეც პეკინს ისტორიული პრეტენზიები აქვს) და რუსეთი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს იმის გამო, რომ მისი ბირთვული არსენალიცა და ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებიც ჩინურთან შედარებით ერთობ ჩამორჩენილი იქნება.

"რენდის" ამ პროგნოზს ერთი ნაკლი ჰქონდა: მასში გათვალისწინებული არ იყო ნავთობის ფასების აწევა, რის წყალობითაც დღესდღეობით რუსეთს უკვე დიდძალი ფული აქვს. მაგრამ, ამავე დროს, ბირთვული არსენალის განახლება დიდძალი ფულის გარდა დიდძალ დროსაც მოითხოვს და რუსეთს მილიარდების გარდა საამისოდ წლებიც დასჭირდება. სანამ ეს წლები გავა, რუსეთს საკმარისზე მეტი საფუძველი აქვს, დაუცველად იგრძნოს თავი უპირველესად სწორედ ჩინური (და არა ამერიკული) საფრთხისგან. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ზემოთჩამოთვლილი დათმობები, რომლებზეც მოსკოვი პეკინთან მიდის. ახლა მთავარია, ჩინური დრაკონი არ გაღიზიანდეს. საამისოდ რუსეთი მას ციმბირშიც შეუშვებს, იარაღსაც მიაწვდის და გაზსაც. სანამ დრაკონი ამით კმაყოფილდება, რუსეთი ენერგორესურსებიდან დაგროვილ მილიარდებს ბირთვულ არსენალში გადაისვრის და რამდენიმე წელიწადში თავს გაცილებით უფრო დაცულად იგრძნობს.

მანამდე კი ფრთხილად! ჩინური ვიზიტისას პუტინი სახელგანთქმულ შაოლინის მონასტერსაც ეწვია. აღსანიშნავია, რომ იგი პირველი უცხოელი ლიდერია, ვინც ჩინური საბრძოლო ხელოვნების ეს ცენტრი მოინახულა (გასულ წელს კი რუსეთი პირველ ქვეყნად იქცა, რომელმაც ჩინეთთან ერთად საომარი მეცადინეობები გამართა). მონასტერში ყოფნისას პუტინს ერთ-ერთმა შაოლინელმა ბერმა შესთავაზა, მისთვის მუცელში დაერტყა (და პრესის სიმტკიცე შეემოწმებინა). მაგრამ გამოცდილმა ძიუდოისტმა და კიდევ უფრო გამოცდილმა პოლიტიკოსმა ბერს პასუხად მხოლოდ ბეჭებზე ხელი მოუთათუნა და თქვა: არა, ჯობს არ დავარტყა, ვაითუ ხელი შემომიბრუნოსო.

## სამეგრელო-ზემო სვანეთში ბანკების ფილიალების მოგება 70 პროცენტით გაიზარდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის (ფოთის გამოკლებით) რეგიონში მოქმედი კომერციული ბანკების ფილიალების წლიურმა მოგებამ 2005 წელს, დაახლოებით, 70 პროცენტით გადააჭარბა 2004 წლის ჯამურ მაჩვენებელს და 1.4 მილიონი ლარი შეადგინა. როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში განაცხადეს, მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ თითქმის 300 000 ლარს მიაღწია. რეგიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა საბანკო დაწესებულების 14 ფილიალი ფუნქციონირებს. 2005 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მოგების მაჩვენებლების ზრდა ძირითადად საკრედიტო დაბანდებების ზრდით იყო განპირობებული. კერძოდ, 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების საერთო მოცულობამ 17,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16 მლნ ლარით, დაახლოებით, 94 პროცენტით სჭარბობს 2004 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. სებ-ის ცნობით, როგორც ბაზრის ტენდენციები გვიჩვენებს, სესხების მოცულობის ზრდის ტემპი მიმდინარე წელსაც შენარჩუნდება: მხოლოდ იანვარში თითქმის 2 მლნ ლარის მოცულობის სესხები გაიცა. ამ კრედიტების დიდი ნაწილი, ანუ დაახლოებით 75 პროცენტი, ვაჭრობის სფეროზე მოდის, 6 პროცენტზე მეტი მიიმართა სოფლის მეურნეობის დასაკრედიტებლად, დაახლოებით 15 პროცენტი - სამომხმარებლო სექტორისათვის, დანარჩენი 4 პროცენტი მომსახურებისა და წარმოების სფეროებზე გადანაწილდა.

გასული წლის მანძილზე შემცირდა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი. რეგიონის მოსახლეობა დანაზოგების შენახვას უპირატესად ეროვნულ ვალუტაში არჩევს. 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების 56 პროცენტი (1.4 მლნ ლარი) ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 44 პროცენტი (1.2 მლნ ლარი) უცხოურ ვალუტაშია განთავსებული. ამასთან, დეპოზიტებმა ეროვნულ ვალუტაში, 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1,3 მლნ ლარით, თითქმის 13-ჯერ იმატა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 0,8 მლნ-ით, 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. ზუგდიდსა და მთლიანად სამეგრელოს რეგიონში, კომერციული ბანკების გარდა, დაკრედიტებას ახორციელებს ოთხი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია - "ნდობის კავშირი", "მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი", "თანადგომა განვითარებისათვის" და "კრისტალი". მათ მიერ საანალიზო პერიოდში კრედიტების სახით გაცემულია: 2004 წელს 9.17 მლნ ლარი, 2005 წელს 11.9 მლნ ლარი, 2006 წლის იანვარში 8.15 მლნ ლარი. 2005 წლის მანძილზე სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემების საშუალებით რეგიონში უცხოეთიდან გადმორიცხული ფულის მოცულობამ 92.3 მლნ ლარი შეადგინა და ეს თანხა ძირითადად ფიზიკურ პირებზე მოდის. რეგიონში ვალუტის ორი გადამცვლელი პუნქტი ფუნქციონირებს. ორივე მათგანი საქართველოს ეროვნული ბანკის ზუგდიდის ფილიალის მიერ 2005 წელს არის ლიცენზირებული. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

## საქართველომ და რუსეთმა მსო-ში პოზიციები ვერ შეაჯერეს

ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებებზე თბილისი და მოსკოვი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, საქართველო მხარს დაუჭერს რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, თუ მოსკოვი თბილისს როკის გვირაბზე და ადლერი-ლესელიძის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე საბაჟო კონტროლის აღდგენაში დაეხმარება. ქართული მხარე ასევე მოითხოვს რუსეთისგან, გააძლიეროს ბრძოლა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქტების, ძირითადად ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ და უარი თქვას ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ცალმხრივ აკრძალვაზე. საქართველო მოითხოვს რუსეთისგან, ნება დართოს ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის ექსპორტზე. რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის მაქსიმ მედვედკოვის განცხადებით, მოლაპარაკებების დროს ქართული მხარის მიერ დასმული ოთხი საკითხიდან შეთანხმება მიღწეული იქნა მხოლოდ ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია რუსეთის ვალდებულებებთან მსო-ს წინაშე. იგი გულისხმობდა რუსულ ბაზარზე ფალსიფიცირებული ქართული პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ წინადადებას. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თამარ კოვზირიძის განცხადებით, ის არგუმენტები, რომლებიც რუსულმა დელეგაციამ დააყენა, ქართული მხარისთვის არადამაჯერებელია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**